ლელა

№134
(12 204)

9 ივნისი შაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი
50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა



რომ მოიგო, უნდა ირწმუნო!

კლაუს ტოპმიოლერი:

ამ ფეხბურთელებს ნამდვილად შეუძლიათ თამაში, მხოლოდ უნდა ირწმუნონ და ისწავლონ. საფრანგეთთან მატჩში გული კინაღამ გამისკდა, პირველ ტაიმში ბურთი იმდენჯერ დავკარგეთ. ჩვენ ფაქტობრივად არ გვქონია ბურთი პირველი 45 წუთის განმავლობაში. ვერავინ დამაჯერებს, რომ საქართველოს ნაკრებს სხვაგვარად თამაში არ შეუძლია. შეუძლია, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუკი ბიჭებს არაფრის შიში არ ექნებათ. რომ შემძლებოდა მე გავიდოდი მოედანზე და ვანახებდი, რომ ფრანგის შიში არ უნდა გქონდეს. ტაქტიკურად გამართულად ვითამაშეთ, მაგრამ ზოგიერთი ფეხბურთელის შებოჭილობისა და იმის უცოდინრობის გამო, ამა თუ იმ კონკრეტულ მომენტში რა უნდა გაეკეთებინა, ჩვენი თამაში ისეთი არ გამოვიდა, როგორიც უნდა ყოფილიყო.

პაატა თოთაძის ინტერვიუ საქართველოს ნაკრების მწვრთნელთან 2

ვინ არის მელვინ სენდერსი?

საქართველოს ნაკრების ახალი კალათბურთელი

11



დღეს და ხვალ: თბილისსა და ბუქარესტში

13

www.kazbegi.com

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

რომ მოიგო, უნდა ირწმუნო!

6 ივნისის ღამეა. საფრანგეთთან თამაშის მერე სასტუმროს ფოიეში ვზივარ. აქვე არიან ნაკრების მწვრთნელები, ფეხბურთელები, ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელები, აქ მცხოვრები ქართველები. სხვათა შორის მათ შორისაა გურჯაანის "ალაზანის" ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ ფურცელაძე.

- მემგონია, ამ გუნდის მთავარი პრობლემა ფსიქოლოგიური მოუმზადებლობაა - იქ მყოფებში ერთ-ერთმა გამოთქვა ასეთი მოსაზრება.

ამას ბევრი დაეთანხმა.

საუბარი ფეხბურთელების ფსიქოლოგიურ მომზადებაზე ადრეც ყოფილა. რამდენიმე დღის წინათ ფედერაციის ხელმძღვანელთა მხრიდანაც გაისმა ასეთი რამ, ზოგისთვის მთავარია, შეცდომა არ დაუშვას და ამის გამო ვერ იხსნება მოედანზეო.

- ჰო, გარკვეული პრობლემა ნამდვილად არის - ამბობს კლაუს ტოპმიოლერი - დღე და ღამე მათ ქებაში ვარ, მუდმივად ვამხნევებ. ვცდილობ, მოვუხსნა დაძაბულობა, მაგრამ სასურველ შედეგს მაინც ვერ ვიღებ. ვარჯიშებზე ყველაფერი კარგადაა, რომ ვსაუბრობთ თითქოს არ არის არანაირი პრობლემა, მაგრამ თამაშისას ეს მაინც შესამჩნევია.

- არსებობს ასეთი მოსაზრება, რომ ზოგიერთი ფეხბურთელისთვის მთავარია, რამე დიდი შეცდომა არ დაუშვას და მის გამო არ გავიდეს გოლი. მუდამ ამაზე მოფიქრალს კი უჭირს გახსნა, შესაძლებლობების გამოვლენა...

- შეცდომა ადამიანის ცხოვრების თანამდევია. მხოლოდ ის არ უშვებს შეცდომას, ვინც არაფერს აკეთებს. შესაბამისად, მუდმივად ამაზე ფიქრი არასწორია. ჩვენთან ზოგიერთი ამაზე მართლაც ბევრს ფიქრობს. ბუნებრივია, ადამიანმა უნდა იფიქროს, რაც შეიძლება ნაკლები შეცდომა დაუშვა, მაგრამ მუდმივად შიშის ქვეშ ყოფნა არ ვარგა. ასე უფრო მეტ შეცდომას უშვებ. აი, ლიტვასთან მატჩში ხომ ჩვენ ვაკონტროლებდით თამაშს, მაინც მქონდა იმის შიში, რომ გოლს ვერ გავიტანდით. ზოგიერთს ჯერ კიდევ არ აქვს მყარი რწმენა - თავისი თავისა და გუნდის. გამარჯვებისადმი ლტოლვა აკლია.

- იქნებ ამის ბრალი ისაა, რომ ზოგიერთს თავის კლუბში არ უწევს ძირითადში თამაში?

- რა თქმა უნდა, ეს ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორია. ფეხბურთელისთვის ყველაზე დიდი მტერი უთამაშებლობაა. მარცვალაძეს თავის კლუბში ძირითად შემადგენლობაში რომ ეთამაშა, მეტი სათამაშო პრაქტიკა ჰქონოდა, საფრანგეთთან მატჩში ბოლო წუთებზე შექმნილ მომენტს გამოიყენებდა. იმ მომენტში მან ვერ მოიფიქრა, რა უნდა ექნა.

- თამაშის მერე თქვენ აღნიშნეთ, რომ უკმაყოფილო იყავით რუსეთსა და მის მსგავს ქვეყნებში მოთამაშეებით. არადა, ქართველთა უმეტესობა სწორედ იქ თამაშობს. რაში ხედავთ გამოსავალს?

- კარგი იქნებოდა, წამყვან ევროპულ ქვეყნებში თამაშობდნენ ჩვენი ფეხბურთელები, მაგრამ რას ვიზამთ... საბოლოოდ მაინც მივაღწევთ წარმატებას. დარწმუნებული ვარ, სწორი გზით მივდივართ, დღითი-დღე ვვითარდებით. ფეხბურთელები ასეთ თამაშებში იწრთობიან, იძენენ საჭირო გამოცდილებას, იმაღლებენ კლასს. ზოგიერთმა მაგალითად აქ უკეთ ითამაშა, ვიდრე ლიტვასთან, არადა, თითქოს პირიქით უნდა ყოფილიყო. კიდევ რომ გვქონდეს თამაში, კიდევ უფრო უკეთ ითამაშებს, იმიტომ, რომ გამოცდილებას მეტს შეიძენს. რაც უფრო მეტი იქნება თამაში, მოთამაშეებს შეცდომებიც მით ნაკლები ექნებათ. სწორედ ამიტომაა ფეხბურთელისთვის მნიშვნელოვანი მუდმივად თამაში და, რაღა თქმა უკეთესია, თუკი ამას რომელიმე ძლიერ ლიგაში გააკეთებს.

- გასაგებია, მაგრამ ეს შორეული პერსპექტივაა. ხვალ რა ვქნათ?

- ჩვენ ამაზე ვმუშაობთ, მაქსიმალურად ვცდილობთ, ბიჭებს რწმენა შევმატოთ, სწორი თამაში ვასწავლოთ. ამ ფეხბურთელებს ნამდვილად შეუძლიათ თამაში, მხოლოდ უნდა ირწმუნონ და ისწავლონ. საფრანგეთთან მატჩი ავილოთ. გული კინაღამ გამისკდა, პირველ ტაიმში იმდენი ბურთი დავკარგეთ. ძალიან გაბრაზებული ვიყავი. ჩვენ ფაქტობრივად არ გვქონია ბურთი 45 წუთის განმავლობაში. ვერავინ დამაჯერებს, რომ საქართველოს ნაკრებს სხვაგვარად თამაში არ შეუძლია. შეუძლია, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუკი ბიჭებს არაფრის შიში არ ექნებათ. რომ შემძლებოდა, მე გავიდოდი მოედანზე და ვანახებდი, რომ ფრანგის შიში არ უნდა გქონდეს. კალაძე ავიღოთ, ხიზანიშვილი, იაშვილი. არავისი ეშინიათ, მეტოქის რიდი არ აქვთ და იციან, როგორ ითამაშონ. არის კიდევ რამდენიმე ბიჭი, ვისაც არ აქვს მეტოქის შიში, მაგრამ არ აქვს საჭირო გამოცდილება და კლასი. ტაქტიკურად გამართულად ვითამაშეთ, მაგრამ ზოგიერთი ფეხბურთელის შებოჭილობისა და იმის უცოდინრობის გამო, ამა თუ იმ კონკრეტულ მომენტში რა უნდა გაეკეთებინა, ჩვენი თამაში იმდენად ეფექტური ვერ გამოვიდა, როგორც უნდა ყოფილიყო. გარდა იმისა, რომ მეტოქეს ბურთს უმალ ვაბარებდით, მას ძალიან ბევრის საშუალებას ვაძლევდით. ბევრი ვესაუბრე ბიჭებს, რომ მეტოქესთან რაც შეიძლება ახლოს ეთამაშათ, პრობლემები მისთვის ბურთის მიღებამდე შეექმნათ. რიბერი ან მალუდა ბურთს რომ მიიღებს და შენკენ დაიძვრება, მისი გაჩერება ძალიან ძნელია.

- რაც სამწუხაროდ არ გამოვიდა. ამ ყველაფრის ფონზე თვლით, რომ წინ მივდივართ?

- დიახ და ამაში დარწმუნებული ვარ. ჩვენ გვყავს რამდენიმე ძლიერი ფეხბურთელი, რომლებიც აქ ვერ წამოგვყვნენ. გარდა ამისა, ვითარდებიან ისინი, ვინც აქაა, თქვენ თვალწინ. პროგრესი შესამჩნევია, მაგრამ იმ დონეზე მისასვლელად, რაც ჩვენ ყველას გვინდა, დრო გვჭირდება. დაბრუნდებიან ასათიანი, სირაძე, დამიჯერეთ საქართველოს ნაკრები სხვა გუნდი იქნება. ძალიან კარგი ბიჭია ლევან მჭედლიძე. მან ახლა საკუთარ თავზე უნდა იმუშაოს და დარწმუნებული ვარ, დიდ ფეხბურთს ითამაშებს. ნიჭიერია მარცვალაძე და საწყენია, რომ სათამაშო პრაქტიკა არ აქვს. კარგი მეკარე დადგება მაკარიძისგან. სათითაოდ რომ ავიღოთ, ნაკრებში მართლაც ნიჭიერი ფეხბურთელები არიან, რომლებმაც თავს უნდა მიხედონ, ყველაფერი გაიღონ ზრდისთვის.

- ამდენმა წაგებამ ზოგიერთი შესაძლოა, გულგრილიც კი გახადოს შედეგის მიმართ...

- არა, ეს ბიჭები არ არიან ისეთები, რომ წაგებას შეეგუონ. მათ უბრალოდ თავისი თავის და გამარჯვების რწმენა აკლიათ. დამიჯერეთ, ესეც მოვა და მასთან ერთად მოვა შედეგიც. ჩვენ აუცილებლად გავიმარჯვებთ...

პაატა თოთაძე
ოსერი-თბილისი

გიორგი ლომაია: გადაწყვეტილი ჯერ არაფერია



იენის "კარლ ცაისის" მწვრთნელმა **ფრანკ ნოიბარტმა** ამას წინათ განაცხადა, დამდეგ სეზონში გუნდის კარს ან **კასპერ იენსენი** დაიცავს, ან **კრისტიან პერსინი,** საამისო შანსი **დანიელ კრაუსსაც** ექნებაო.

ნოიბარტს არ უხსენებია საქართველოს ეროვნული ნაკრების მეკარე **გიორგი ლომაია,** ვინც იანვრაში მივიდა "კარლ ცაისში" და მეორე ბუნდესლიგის მეორე წრე რიგიანად ითამაშა, გუნდის პირველი მეკარე იყო და იენელები რეგიონალლიგაში რომ არ დაქვეითდნენ, ლომაიას ამაში არცთუ მოკრძალებული წვლილი მიუძღვის. მაშ, რას უნდა ნიშნავდეს ნოიბარტის განცხადება?

- გადაწყვეტილი ჯერ არაფერია, "კარლ ცაისთან" კონტრაქტი 30 ივნისამდე მაქვს, გუნდი კი 28 ივნისს იკრიბება და მანამდე ყველაფერი გაირკვევა. "კარლ ცაისში" მითხრეს, გვსურს, რომ ისევ ჩვენთან ითამაშოო. ჯერ ისიც არ არის გადაწყვეტილი, ვინ იქნება კლუბის მეპატრონე. "კარლ ცაისის" ყიდვას რუსი ბანკირები აპირებენ. მოკლედ, ჯერჯერობით გაურკვევლობაში ვარ - გვითხრა ლომაიამ, ვინც შვებულებას ახლა თბილისში ატარებს.

რაც ლომაია "კრალ ცაისში" გადავიდა, სათამაშო პრაქტიკა არ მოჰკლებია და სანაკრებო მატჩებშიც ნორმალურად გაისარჯა. თუ მისი "კარლ ცაისში" დარჩენა არ მოხერხდება, 28 წლის ლომაიას არანაკლებ კლუბში გადასვლა, წესით და რიგით, არ უნდა გაუჭირდეს.

დავით თავართქილაძე



www.kazbegi.com

გაზეთი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge



გიორგი ფოფხაძე (4)

ინტერვიუ გიორგი ფოფხაძესთან

დანიაში ბევრად უკეთესი თამაშები ჩამიტარებია

"თბილისიდან" წასვლის შემდეგ გიორგი ფოფხაძემ რამდენიმე კლუბი მოიარა და ბოლოს დანიურ "ვიბორგში" ჩაირიცხა. აშკარად გამოჩნდა, რომ 19 წლის მცველს უქმად არ გაუცდენია დრო, დანიაში გატარებული სეზონი აშკარად წაადგა.

საქართველო-ესპანეთის ახალგაზრდული ნაკრებების შეხვედრისას გიორგი პეტარ სეგრტმა დაცვის ცენტრში დააყენა და ყველა ერთხმად აღნიშნავდა მის საიმედო თამაშს. თუკი ბევრი ქართველივით, სიზარმაცის ჭია არ შეუჩნდა და ნაადრევად ცაში ფრენა არ დაიწყო, დიდი ფეხბურთის თამაში შეუძლია.

- გიორგი, ესპანელებთან მეტისმეტად თავდაჯერებული თამაშობდი. აშკარაა, დანიაში გატარებული სეზონი, ნორმალური გარემო და პირობები კარგად გამოიყენე.

- ასეც ვერ ვიტყვი. მე ჯერ არ ვარ ისე გაზრდილი, როგორც თავად მინდა. თავდაჯერებული კი ნაღდად ვიყავი და საერთოდ, მოედანზე შეშინებული არასდროს გავსულვარ. კი არ ვტრაბახობ, უბრალოდ, ვისაც არ უნდა ხვდებოდე, თავმოყვარეობა და ღირსება უნდა გქონდეს. შიშით რას მოვიგებ? არ ვთვლი, რომ ესპანელებთან მაგრად ვითამაშე.

- ეს სიტყვები ზედმეტ თავმდაბლობას მივაწეროთ?

- უბრალოდ, დანიაში ბევრად უკეთესი თამაშები ჩამიტარებია. საერთოდ, არ მჩვევია ერთი თამაშით "ავარდნა". ნაღდად არ ვფიქრობ, რომ ახლა უკვე ძალიან მაგარი ფეხბურთელი გავხდი და პრეტენზია გამიჩნდეს, გინდა თუ არა ეროვნულში მათამაშეთ-მეთქი. უბრალოდ, დანიაში მწვრთნელი მენდო, თამაშები მომცა, ფეხბურთელი კი მხოლოდ ასე იზრდება. სკამზე ჯდომით თავდაჯერებული ვერ გახდები. სხვათა შორის, ფიზიკურადაც უკეთ ვგრძნობ თავს და არც ეს მიკვირს. დანიაში ნებისმიერი მოთამაშე გაიზრდება. იცით, იქ რა თამაშებია? მეც ნელ-ნელა შევეჩვიე ამ ფეხბურთს.

- საერთოდ, მარცხენა მცველად გიცნობენ და პეტარ სეგრტის გადაწყვეტილებამ გაგვაკვირვა - დაცვის ცენტრში შენს დაყენებას ვგულისხმობ.

- ეს მეც გამიკვირდა, დანიაში მარჯვნივაც მითამაშია და მარცხნივაც. ცენტრში მხოლოდ ერთხელ დამაყენეს. თუმცა სეგრტმა დავალება რომ მომცა, არანაირი შიში და დაძაბულობა არ მიგრძვნია. ნაკრებში თამაში ისეთი სიამოვნებაა, შეიძლება, კარშიც დავდგე.

- ახალგაზრდული ნაკრების შესახებ რას იტყვი, ვითომ ჯგუფიდან "გაფრინდება"?

- ძნელი სათქმელია. მთავარია, რომ გუნდში კარგი ვითარებაა. ძალიან კარგი ბიჭები შეიკრიბნენ, რაც მწვრთნელის დამსახურებაცაა - სეგრტმა გუნდი შეკრა. სხვათა შორის, ძალიან მომეწონა ლევან ყენია. ნიჭიერი ბიჭი რომ არის, ყველამ იცის. თუმცა ყველაზე მეტად იმით მომეწონა, რომ დღეს მასზე მთელი საქართველო ლაპარაკობს, მაგრამ ერთი კვირის განმავლობაში "ვარსკვლავური" ერთხელაც არ გამოუმჟღავნებია. უბრალო, მორიდებული, და გულიანი ბიჭია. თამაშამდე "რუსთავი 2-თან" თქვა, ესპანელებს უნდა მოვუგოთო და მერე ბიჭებთან თქვა, ასე მჯეროდა და სხვას ხომ ვერ ვიტყოდიო. რასაც ფიქრობს, იმას ლაპარაკობს. აქვე ბესო ჩიმაკაძე უნდა გავამხნევო. ბესომ უმძიმესი ტრავმა მიიღო და მინდა იცოდეს, რომ მთელი გუნდი მომხდარს ძალიან განვიცდით. ის ნიჭიერი ფეხბურთელი და გულიანი ადამიანია და დროული გამოჯანმრთელება მინდა ვუსურვო.

- დამეთანხმები, რომ ესპანელებს ბევრად უკეთესი გუნდი ჰყავდათ?

- კი, გვაჯობეს, მაგრამ მათგან გაცილებით უკეთეს ფეხბურთს ველოდი. ფლანგებზე მაგარი "ცქიფინა" ბიჭები ჰყავდათ, განსაკუთრებით მარჯვენაფლანგელი, შვიდი ნომერი მომეწონა. დაცვაც ძალიან ძლიერი ჰყავდათ, თუმცა სიმართლე გითხრათ, თავდამსხმელებზე იმავეს ვერ ვიტყვი, არც ერთი მომწონებია, ელემენტარულად, ვერ ინძრეოდნენ.

- დანიაში საუკეთესო ახალგაზრდა მცველად დასახელება, წესით, კარიერის აწყობაში უნდა დაგეხმაროს.

- ალბათ, მეც ამის იმედად ვარ.

- მერე, საუკეთესო ახალგაზრდა მცველს აუტსაიდერ "ვიბორგში" დაგტოვებენ?

- იმედია, არ დამტოვებენ.

- იმედი რეალურია?

- მენეჯერმა მითხრა, რომ დანიის ბევრი გუნდი დაინტერესდა. თუმცა რჩევაც მომცა - ისევ შენთვის აჯობებს, "ვიბორგში" კიდევ ნახევარი სეზონი მაინც დარჩე, დანიურ ფეხბურთს უკეთ შეეჩვევი და მერე ნებისმიერი გუნდის ძირითადში მოხვედრის პრეტენზია გექნებაო. მე თუ წავალ, მხოლოდ ძლიერ გუნდში და ძირითადში უნდა ვითამაშო. სკამზე ჯდომაზე დიდი ტანჯვა არ არსებობს. ასე "რეალიც" არ მინდა. ფეხბურთელისთვის მთავარია თა-მა-ში!

მერაბ მამულაშვილი

წარმატების მიღწევა დაუგეგმავადაც შეიძლება

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდი „უნივერსიტეტი“ შარშან დაარსდა და პირველ წარმატებას სადებიუტო სეზონშივე მიაღწია. სტუდენტები დასავლეთ რეგიონალლიგაში პირველ ადგილზე გავიდნენ, პირველი ლიგის საგზური მოიპოვეს და გაისად გაცილებით მაღალ დონეზე იასპარეზებენ. უნივერსიტეტის გუნდს სათავეში უდგას გამოცდილი მწვრთნელი ედიკ შავგულიძე, რომელსაც ისეთი ფეხბურთელები ჰყავს აღზრდილი როგორებიცა არიან ზურაბ იონანიძე, დავით ჯანაშია, მიხეილ აშვეთია, ვასო გიგიაძე და სხვები. გუნდში მწვრთნელ-კონსულტანტად მუშაობს 70-იანი წლების „ტორპედოს“ ერთ-ერთი გამორჩეული მოთამაშე ავთანდილ წვერავა. ასეთთა ხელში უნივერსიტეტელთა წარმატება გასაკვირი არ უნდა იყოს, თუმცა რომ არა გუნდის მიმართ ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის დახმარება და ფინანსური ხელშეწყობა, ალბათ პირველივე სეზონში დაწინაურება ცოტა გაჭირდებოდა. „უნივერსიტეტს“ აფინანსებს და ხელმძღვანელობს ქსუ-ს საფინანსო განყოფილების უფროსი გოგი ფოფხაძე. რა გეგმები აქვს სტუდენტურ გუნდს და გეგმავს თუა არა ის მომავალ სეზონში უმაღლეს ლიგაში გადასვლას, ამის თაობაზე გოგი ფოფხაძე გვესაუბრება.

- ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტს აქამდე პროფესიული საფეხბურთო კლუბი არ ჰყოლია. შარშან გადავწყვიტეთ გუნდის ჩამოყალიბება და ამ იდეას მალე ხორციც შევასხით. მწვრთნელად მოვიწვიეთ გამოცდილი სპეციალისტი ედიკ შავგულიძე, რომელსაც არაერთი ძლიერი ფეხბურთელი ჰყავს გაზრდილი და ძალიან კარგი სელექციონერია. კონსულტანტად მოვიწვიეთ ვეტერანი ტორპედოელი ავთანდილ წვერავა, რომელიც 1967 წელს იმ გუნდის კაპიტანი იყო, უმაღლეს ლიგაში ასპარეზობა მოსკოვის „ტორპედოს“ დამარცხებით რომ დაიწყო. მაშინ მოსკოველტა რიგებში მსოფლიო დონის ფორვარდი ედუარდ სტრელცოვი თამაშობდა და წვერავამ მას ფეხი არ გაანძრევინა. სწორედ ასეთ ლეგენდებთან მუშაობით ისწავლიან ახალგაზრდები სწორ თამაშს. გუნდი ძირითადად სტუდენტებით და იმ ფეხბურთელებით დავაკომპლექტეთ, რომლებიც უგუნდოდ იყვნენ დარჩენილნი, თუმცა მწვრთნელებმა უმოკლეს ვადაში შეძლეს ბიჭების შეთამაშება და საინტერესო გუნდის ჩამოყალიბება.

- როგორ პირობებში ემზადებოდა "უნივერსიტეტი" სეზონის განმავლობაში?

- ჩვენი გუნდი ძირითადად „დინამოს“ სტადიონზე ვარჯიშობდა. ცუდ ამინდში კი უნივერსიტეტის დარბაზს ვიყენებდით, რომელიც ძალიან კარგად არის მოწყობილი. მას ჩვენ გარდა ქუთაისის „ტორპედოც“ იყენებს ხოლმე. გარდა ამისა სასწავლებლის ეზოში ეზოში ხელოვნურსაფარიანი საფეხბურთო მინიმოედანიც გვაქვს და საჭიროების დროდ მასაც მოვიხმარდით. მოკლედ, ამ მხრივ პრობლემები არ შეგვქმნია. ამ ეტაპზე გუნდში ხელფასები არ იყო, მაგრამ ტრანსპორტირების, კვებისა და შეკრებების მოწყობის მხრივ შეფერხება არ გვქონია. პირველ ლიგაში რა თქმა უნდა მეტია საჭირო და შეძლებისდაგვარად ჩვენც მეტად დავეხმარებით გუნდს.

- პირველ ლიგაში გადასვლა თავიდანვე დაისახეთ მიზნად?

- სიმართლე გითხრათ უკეთეს ლიგაში დანინაურებაზე არ ვფიქრობდით. ახლადჩამოყალიბებული გუნდი იყო, თანაც მოსამზადებლად დროც არ იყო, ამიტომ ვფიქრობდით, რომ ცხრილის შუაში მოვიპოვებდით ადგილს, მაგრამ მოვლენები სულ სხვანაირად განვითარდა. თამაშს თამაშზე ვიგებდით და მთელი გათამაშების განმავლობაში ლიდერობა არ დაგვიკარგავს.

- თუ არ ვცდები ზედიზედ 16 მატჩში გაიმარჯვება მოიპოვეთ...

- ნამდვილად ასეა, ტემპი ისე ავკრიფეთ ვეღარ გაგვაჩერეს. პირველი ტურიდან დაწყებული 16 ტურის ჩათვლით ყველა შეხვედრა მოვიგეთ. შემდეგ „ზესტაფონი 3-თან“ ვითამაშეთ ფრე-1:1 და ერთადერთხელ დავმარცხდით „სამტრედიასთან“.

- მომავალ წელს პირველ ლიგაში იასპარეზებთ და ალბათ შემადგენლობის გაძლიერებასაც გეგმავთ?

- რა თქმა უნდა შემადგენლობა უნდა გაძლიერდეს. ნიჭიერი ფეხბურთელები გამოჩნდნენ „მართვეში“, კარგი შემადგენლობა ჰყავს სამტრედიის „ლოკომოტივს.“ გვინდა, რომ ამ გუნდებიდან რამდენიმე მოთამაშე ავიყვანოთ და გავძლიერდეთ. ყველაფერი ფინანსებზეა დამოკიდებული. სხვათა შორის ჩვენს გუნდში არის 5-6 ისეთი ფეხბურთელი, რომლებიც უმაღლესი ლიგის გუნდში შეძლებენ თამაშს. ზოგიერთის მიმართ ინტერესიც არის და თუ სერიოზული მსურველი გამოჩნდა, ჩვენ არავის დაბრკოლებას არ შევუქმნით...

- უმაღლეს ლიგაში გადასვლის ამბიცია თუ გაქვთ?

- ამ ეტაპზე უმაღლესში გადასვლის ამბიცია არ გვექნება, მაგრამ ჩვენ არც პირველ ლიგაში ვგეგმავდით გადასვლას. მოკლედ, წინასწარ რაიმეს თქმა ძნელია. წარმატების მიღწევა დაუგეგმავადაც შეიძლება.

დავით კოხრეიძე
ქუთაისიდან

გილანი პერსპექტივის ნაცვლად?

2009 **წლის** ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის მატჩს საქართველოსა და ესპანეთის 21-წლამდელთა ნაკრებებს შორის აზერბაიჯანული კლუბის, "გილანის" მთავარი მწვღთნელი **რამიზ მამედოვი** დასწრებია. ალბათ ამ ცნობას ყურადღებასაც არ მივაქცევდით, რომ არა ერთი ინფორმაცია - "აზერი ფუტბოლის" ცნობით, რამიზ მამედოვს ამ თამაშზე საკუთარი კლუბისთვის ორი ქართველი ფეხბურთელი მოსწონებია, რომელთა გვარებსაც ჯერ არ ასახელებენ, რადგან მათთან თურმე მოლაპარაკება მიმდინარეობს. ჩვენი წყაროებით გავიგეთ, რომ საუბარია საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრების ერთ-ერთ მცველსა და ფორვარდზე. კაბალის "გილანმა" სეზონი 16 ქულით მე-11 ადგილზე დაასრულა აზერბაიჯანის 13-გუნდიან ჩემპიონატში. გაკვირვებას იწვევს, თუ რა უნდა შესთავაზოს სამაგიეროდ საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრ ფეხბურთელს, რომელიც მომავალში ეროვნულ ნაკრებში მოხვედრაზე აცხადებს პრეტენზიას დაბა კაბალის კლუბმა. ცნობილია, რომ კლუბში კვლავ რჩება ფორვარდი **გიორგი კრასოვსკი,** ჯერ უცნობია დარჩება თუ არა "გილანში" მცველი **დიმიტრი კაპანაძე**. ამასობაში "ბაქისთან" კონტრაქტი ერთი წლით გააგრძელეს **ალეკო გოგობერიშვილმა** და **ამირან მუჯირმა**. "ბაქი" ინტერტოტოს თასზე ითამაშებს და პირველი მეტოქე აზერბაიჯანულ კლუბს მოლდოვური "დაჩია" ეყოლება. ალეკო გოგობერიშვილი, რომელიც სამშობლოში მკურნალობს და ფეხბურთს მხოლოდ ერთ თვეში დაუბრუნდება, პირველ ეტაპზე თავის გუნდს ვერაფრით დაეხმარება.

ნიკოლოზ ნეფარიძე

რუსთავი ბრიოშ დატოვა

ქვეყნის ახალი ჩემპიონი რუსთავის "ოლიმპი" ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპისთვის ემზადება. სამზადისის პროცესს ცვლილებები ყოველთვის ახლავს და ამ მხრივ არც ეს გუნდია გამონაკლისი. მწვრთნელ **რევაზ ძოძუაშვილს** ამ ცოტა ხნის წინათ მოუწია გუნდის დატოვება. მის გარდა რუსთაველთა გუნდი კიდევ სამმა ფეხბურთელმა დატოვა. **ბერუაშვილი, ძამსაშვილი** და **ჩხარტიშვილი** უკვე წავიდნენ გუნდიდან. ამ ტრიოს შესაძლოა მეოთხე რევაზ გოცირიძეც მიჰყვეს. მისი სამსახურით, რამდენადაც გავიგეთ, "ამერი" დაინტერესებულა.

გაბისკირია წავიდა

დაიბადა 1972 წლის 1 სექტემბერს - ასეთია **იური გაბისკირიას** საპასპორტო მონაცემები, ქართულ ფეხბურთში მრავლისმნახველი კაცის, რომელმაც ფეხბურთელის კარიერა დაასრულა. ის მეთვრამეტე ეროვნულ ჩემპიონატში ალბათ უხუცესი ფეხბურთელი იყო.

გაბისკირია ეროვნულ ჩემპიონატში დასაბამიდან, 1990 წლიდან თამაშობდა. ქუთაისის "ტორპედო", სოხუმის "ცხუმი", "ბორჯომი" და თბილისის "ამერი" - მას ამ ქართულ გუნდებში უთამაშია და უცხოეთშიც მოუსინჯავს ძალა - უკრაინული "ტემპი", "კრივბასი" და "შახტარი", რუსული "კამაზი", "ჩერნომორეცი", "ყუბანი" და "ნალჩიკი", ებრაული "ჰაპოელი".

გაბისკირია 2006-07 წლების სეზონში მივიდა "ამერში", სადაც ფეხბურთელიც იყო და გუნდის ერთ-ერთი მწვრთნელიც. ის ისევ "ამერში" დარჩება და მთლიანად მწვრთნელობაზე გადაერთვება.

რაც შეეხება "ამერის" მთავარ მწვრთნელ **გიორგი ჩიხრაძეს**, გუშინ ჰოლანდიაში გაემგზავრა მწვრთნელთა სემინარზე. "ამერიც" უმთავარმწვრთნელოდ დაინყებს დამდეგი სეზონისთვის მზადებას. თუმცა ჩიხრაძე მალევე, ერთ კვირაში დაუბრუნდება გუნდს.

www.kazbegi.com
გახსენი... ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.pfl.ge

საქართველოს ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა. შეჯამება

ჩიხურა

ადგილი ჩემპიონატში: 12

ჩიხურა	მატჩი	ძირითადში	გოლი	ყვითელი	წითელი
გ. მიქაძე	24	21	2	7	-
ბუცხრიკიძე	18	17	2	3	-
ვაშაკიძე	17	12	-	1	-
მამალაძე (მეკ.)*	13	13	-22	-	-
ბურნაძე*	13	13	-	-	-
ჩომახიძე*	13	13	-	1	-
თავბერიძე	13	10	-	-	-
ლ. მერებაშვილი*	12	12	1	2	-
თედორაძე*	12	12	-	-	-
მემარნიშვილი*	12	12	-	-	-
ქემოკლიძე**	12	12	-	-	-
კაკალაძე*	12	11	3	1	-
გვეტაძე	12	6	-	-	-
მესხი*	11	11	1	3	-
სტურუა (მეკ.)**	11	11	-14	-	-
დვალი**	11	11	2	3	-
ბარამიძე**	11	11	-	1	-
ი. ზაბახიძე	11	10	-	-	-
ქუხილავა**	11	9	-	-	-
გიგაური**	10	10	-	-	-
სტეფნაშვილი	10	1	-	-	-
მარგალიტაძე*	9	9	1	3	-
მ. მიქაძე	9	1	-	-	-
ქუცურუა**	8	8	-	2	1
სულთანიშვილი*	8	-	-	-	-
მახარაძე**	7	7	-	3	1
ჩხაიძე*	7	3	-	-	-
სანიკიძე*	6	6	-	1	-
გ. მანწკავა*	3	3	1	1	-
ებაძე*	3	2	-	-	-
ბრეგვაძე*	3	1	-	-	-
ვ. ზაბახიძე	3	-	-	-	-
როგავა	2	2	-	-	-
მწყერაშვილი (მკ.)	2	2	-10	-	-
ხაჭიპერაძე*	2	-	-	-	-
ჩარგეიშვილი**	2	-	-	-	-
ხველელიძე	1	1	-	-	-
მეტონიძე	1	1	-	-	-
გულიაშვილი	1	1	-	-	-
გოდერძიშვილი*	1	-	-	-	-
ივანიშვილი	1	-	-	-	-

* - მხოლოდ პირველ წრეში
**- მხოლოდ მეორე წრეში

შარშან ამ დროს ყველა მოელოდა, რომ უმაღლეს ლიგაში აღზევებული „ჩიხურა“ უმაღლესი მიზნებისთვის იბრძოლებდა. საამისოდ ყველა წინაპირობა არსებობდა, თუმცა მიზეზთა გამო, სპონსორმა კლუბისადმი დამოკიდებულება მალევე კარდინალურად შეცვალა და ჩემპიონატის უდიდესი ნაწილი „ჩიხურამ“ მძიმე პირობებში ჩაატარა.

ავად თუ კარგად, გუნდმა პროგრამა-მინიმუმი შეასრულა და გადათამაშებაში „გაგრას“ ძლევით უმაღლეს ლიგაში ადგილი შეინარჩუნა, თუმცა პირველ ან რეგიონალლიგაში დაქვეითების ალბათობა იმთავითვე დიდი იყო. „ჩიხურას“ მესვეურები დღემდე ამაოდ ეძებენ სპონსორს და თუ დამფინანსებელი უახლოეს დღეებში ვერ იპოვეს, უმაღლესში ადგილს სხვა კლუბს დაუთმობენ. განვლილი სეზონის შესახებ ხვიჩა ქასრაშვილს ვესაუბრეთ. შეგახსენებთ, იგი გუნდიდან ჩემპიონატის დასრულებამდე რამდენიმე ტურით ადრე წავიდა.

ხვიჩა ქასრაშვილი
ყოფილი მწვრთნელი

„სამწუხაროა, რომ გუნდმა სეზონი ასეთ მძიმე პირობებში ჩაატარა. არადა, არ ყოფილა ურიგო შემადგენლობა და მხარდაჭერის პირობებში, რეალურად შეგვეძლო წარმატებით ასპარეზობა. იმდენი და ისეთი სახის პრობლემები გვქონდა, საუბარიც კი მეუხერხულება. ამ თემაზე ბევრს აღარ ვილაპარაკებ, მოკლედ, იმას გეტყვით, რომ ელემენტარულად, ფეხბურთელებს საკმარისი და ხარისხიანი საკვები არ ჰქონდათ. რა შედეგზეა საუბარი, როცა ბიჭები მოედანზე ხშირად მშივრები გადიოდნენ.

სანამ მოთმინება მეყო, ვუძლებდი ამ გარემოს, ბოლოს კი საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ დროს ტყუილუბრალოდ ვკარგავდი და გუნდში დარჩენას აზრი აღარ ჰქონდა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნება დიდი მიღწევაა, მაგრამ უფინანსობის გამო, „ჩიხურა“ ალბათ, მომავალ სეზონს ქვედა ლიგაში გაატარებს“.

საუკეთესო მატჩი

„მიუხედავად იმისა, რომ ფრეს დავჯერდით, საუკეთესოდ „ტორპედოსთან“ შინ ჩატარებული შეხვედრა მიმაჩნია“.

ყველაზე ცუდი მატჩი

„ასეთები მრავლად იყო, განსაკუთრებით ცუდად პირველი წრის ბოლოს, შინ აუტსაიდერ „დილასთან“ ნათამაშები ფრე მახსენდება“.

პლუსი

„ერთადერთი პლუსი ისაა, ბიჭები ასეთ პირობებს რომ უძლებდნენ, მათი მხრიდან ეს ნამდვილი გმირობა იყო“.

მინუსი

„მთავარ პრობლემაზე უკვე გითხარით, არ შეიძლება, მშიერმა გუნდმა უმაღლეს ლიგაში ითამაშოს. ფეხბურთელებს ერთი სული ჰქონდათ, თამაში როდის დასრულდებოდა, რომ შინ მაინც ესადილათ ადამიანურად“.

ჩემპიონატის რჩეულნი

„ჩიხურადან“ მეორე წრეში **სტურუა, ქემოკლიძე, გიგაური, დვალი** და **მახარაძე** გამოირჩეოდნენ, სეზონის პირველ ნახევარში კი – **მიქაძე** და **კაკალაძე**. მთლიანად ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშეებად კი **სანდრო იაშვილი, დავით ბოლქვაძე** და **გიორგი ონიანი** მიმაჩნია“.

ჩიხურა და ქომაგი

„პირველ წრეში საჩხერეში ვთამაშობდით და გულშემატკივარი ნამდვილად არ გვაკლდა, მეორე წრის საშინაო მატჩები კი გორში ჩავატარეთ და შესაბამისად, ჩვენს თამაშებზე ხალხი კანტიკუნტად დადიოდა“.

ჩემპიონატის ფორმატი

„მრავალგუნდიანი უმაღლესი ლიგა კარგი კია, მაგრამ როცა ქვეყანას ცოტა წელგამართული გუნდი ჰყავს, სჯობს მონაწილეთა რაოდენობა მცირე იყოს. ნათლად გამოჩნდა, რომ დღესდღეობით, 14-გუნდიანი უმაღლესიც არაა საჭირო. გავიმეორებ, რომ გაჭირვებული კლუბის არსებობას აზრი არა აქვს. გასულ ჩემპიონატშიც ძალიან დიდი სხვაობა იყო წამყვან 5-6 გუნდსა და დანარჩენებს შორის“.

გამორჩეული კოლეგები

„ყველა კოლეგის შრომას პატივს ვცემ, მაგრამ მათი გამორჩევისგან თავს შევიკავებ, რადგანაც არათანაბარ პირობებში უწევთ მუშაობა და შესაბამისად, იმთავითვე ნათელია, რომ ერთი კარგ შედეგს აჩვენებს, მეორე კი ცუდს. ისე კი, საქართველო კვალიფიცირებული მწვრთნელების ნაკლებობას ნამდვილად არ უჩივის“.

მსაჯობა

„ვფიქრობ, ამ კუთხით საქმე ნელ ნელა წინ მიდის, რაც, რა თქმა უნდა, ძალიან სასიხარულოა. დარწმუნებული ვარ, ჩვენი მსაჯების უმრავლესობა არატენდენციურია“.

გარიგებული მატჩები

„ამ სეზონშიც ძალიან ბევრი საეჭვო შემთხვევა იყო, მაგრამ რადგან ვერაფერს დავამტკიცებ, კონკრეტული ფაქტების გახსენებისგანაც თავს შევიკავებ“.

ლევან ჯანეზაშვილი



გლდანი: ფლეიოფი გაგრასთან

I ტური			
31.07.06	ს	ამერი	0:2
II ტური			
06.08.06	შ	ტორპედო	0:0
III ტური			
20.08.06	ს	სიონი	0:2
IV ტური			
27.08.06	შ	კახეთი	3:1
გოლები: გ. მიქაძე (2), მარგალიტაძე			
V ტური			
09.09.06	ს	ზესტაფონი	0:2
VI ტური			
17.09.06	შ	ოლიმპი	1:1
გოლი: კაკალაძე			
VII ტური			
23.09.06	ს	მერანი	0:0
VIII ტური			
14.10.06	შ	ოლიმპი	0:4
IX ტური			
21.10.06	ს	ვიტ ჯორჯია	2:3
გოლები: კაკალაძე, ბუცხრიკიძე			
X ტური			
29.10.06	ს	ბორჯომი	1:3
გოლი: მესხი			
XI ტური			
05.11.06	შ	ბათუმი	1:0
გოლი: ლ. მერებაშვილი			
XII ტური			
18.11.06	ს	დინამო	1:3
გოლი: კაკალაძე			
XIII ტური			
21.11.06	შ	დილა	1:1
გოლი: გ. მანწკავა			
XIV ტური			
23.02.07	შ	ამერი	0:2
XV ტური			
02.03.07	ს	ტორპედო	0:2
XVI ტური			
10.03.07	შ	სიონი	0:1
XVII ტური			
17.03.07	ს	კახეთი	1:0
გოლი: დვალი			
XVIII ტური			
31.03.07	შ	ზესტაფონი	0:0
XIX ტური			
07.04.07	ს	ლოკომოტივი	0:0
XX ტური			
13.04.07	შ	მერანი	1:0
გოლი: ბუცხრიკიძე			
XXI ტური			
21.04.07	ს	ოლიმპი	0:5
XXII ტური			
27.04.07	შ	ვიტ ჯორჯია	0:1
XXIII ტური			
05.05.07	შ	ბორჯომი	1:0
გოლი: დვალი			
XXIV ტური			
12.05.07	ს	ბათუმი	0:3
XXV ტური			
16.05.07	შ	დინამო	0:5
XXVI ტური			
20.05.07	ს	დილა	0:5
ფლეი ოფი			
27.05.07	ნ	გაგრა	2:1 (დ. დ.)
გოლები: დვალი, გიგაური			

ფლეიოფამდე
26 მატჩი, 5 მოგება, 6 ფრე, 13 წაგება, ბურთები 13-46, 21 ქულა

www.kazbegi.com

გაზეთი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

თემურ შალამბერიძე, თეიმურაზ უგრეხელიძე, ბაგრატ ჩადუნელი, თემურ ჩარკვიანი, დავით კევლიშვილი

თბილისის დინამოს აკადემია

სამივე პირველზეა

მაისურაძე მწვრთნელად მოგვევლინება

5 ივნისს ესპანეთის 21-წლამდელთა მატჩში ჩვენი ახალგაზრდულის შემადგენლობაში კაპიტან მერებაშვილის გარდა არაერთი დინამოელი იყო. ყველა მათგანზე "დინამოს" აკადემია გამოიარა. აკადემია, რომლის სამივე ასაკობრივი გუნდი გასულ სეზონში ჩემპიონი გახდა.

საინტერესოა, რა აზრის არიან აკადემიის გუნდების მწვრთნელები და კოორდინატორი განვლილსა და მომავალზე. ამ და სხვა საინტერესო თემებზე სასაუბროდ საწვრთნელ ბაზას მივაშურეთ და მათ გავესაუბრეთ.

დავით კევლიშვილი (1989-1990 წლებში დაბადებულთა გუნდის მთავარი მწვრთნელი):

- დაძაბული სეზონი გვქონდა. განსაკუთრებით კი სეზონის მეორე ნახევარი. თუმცა მაინც შევძელით ჩემპიონები გავმხდარიყავით. ბოლოსწინა ტურში ჩემპიონობისთვის უშუალო კონკურენტ "ოლიმპთან" გვქონდა თამაში. ქულას ვაგებდით და მხოლოდ მოგება გვინდოდა. ბოლომდე ვიბრძოლეთ და "ოლიმპი" 2:0 დავამარცხეთ.

მთლიანობაში, განვლილ სეზონში ჩვენი გუნდის ასპარეზობას დადებითად შევაფასებდი. ჩატარებული თამაშების 70 პროცენტი დაძაბულ ბრძოლაში წარიმართა. ყველაზე უფრო "ოლიმპთან", ბოლოსწინა მატჩს გამოვარჩევდი. "ოლიმპს" განვლილ სეზონში ორი ნაგება აქვს და ორივე ჩვენთან.

"ოლიმპის" გარდა, ჩვენს ასაკში კარგი გუნდი ჰყავთ, "ლოკომოტივს", "ამერს", "ზესტაფონს". კარგი იყო "ბათუმიც".

ფეხბურთელების გამორჩევა გამიჭირდება, რადგან ყველა მონდომებულია. ყველა ცდილობს ეს ეტაპები გაიაროს, დუბლებში და მერე მთავარ გუნდში მოხვდეს. საერთოდ ძალიან კარგი თაობაა.

ყველაზე მეტი გოლი ჩვენი გუნდიდან ქანთარიამ გაიტანა. ვერც სათამაშო რგოლებს გამოვარჩევდი. ყველა რგოლში დაბალანსებული გუნდი გვყავს.

1989 წელს დაბადებულთა შორის 11 ივნისს სუპერთასზე 35-ე საფეხბურთო სკოლასთან მოგვიწევს დაპირისპირება. ყველანაირად ვეცდებით შარშანდელი წარმატება გავიმეოროთ და კიდევ ერთხელ მოვიპოვოთ სუპერთასი.

"დინამო2-ში" მწვრთნელად დაგვნიშნეს მე და თემურ შალამბერიძე. ასეთი ნდობისთვის კლუბის ხელმძღვანელობის დიდად მადლიერი ვართ და ყველანაირად ვეცდებით იმედები გავამართლოთ.

ბავშვთა ფეხბურთზე ზრუნვა ყველას ვალია. ამ სფეროში მთავარი პრობლემა მოედნების დეფიციტია. გასაგებია, ბავშვებს პატარა მოედანზე ავარჯიშებ, მაგრამ მხოლოდ გარკვეულ ასაკამდე, მერე დიდ მოედანზე თამაშს უნდა მიაჩვიო. ბავშვთა ფეხბურთში კი მოედნების აშკარა დეფიციტია.

როგორც გავიგე ჭაბუკთა ლიგის გათამაშებაში რეფორმებია დაგეგმილი. ამ რეფორმის შედეგად კი 1990 წელს დაბადებულებმა ჭაბუკთა ლიგაში აღარ უნდა იასპარეზონ. ამით ფაქტობრივად ეს თაობა თამაშგარეშე რჩება. ეს პრაქტიკულად თაობის დაკარგვის ტოლფასია. იმასაც ამბობენ კლუბებმა რეგიონალლიგის გუნდი გააკეთონო. ეს ზედმეტი ხარჯია, რაც ისედაც გაჭირვებაში მყოფ კლუბების მგომარეობას კიდევ უფრო დაამძიმებს. ეს ფეხბურთს არ არგებს. საკითხი ჯერ კიდევ არაა გადაწყვეტილი და დიდი დაფიქრება გვმართებს, თორემ აქ თუ დავუშვით შეცდომა და 17 წლის ბიჭებს ხელი ვკარით, ამით ამ თაობის უმრავლესობას დავკარგავთ.

თემურ შალამბერიძე (1990 წელს დაბადებულთა გუნდის მთავარი მწვრთნელი):

- კარგი სეზონი ჩავატარეთ. მთელი სეზონის განმავლობაში ერთპიროვნულად ვლიდერობდით. საეთოდ კარგი ჩემპიონატი იყო, მაგრამ უკეთესი იქნებოდა, მეტი ძლიერი გუნდი რომ თამაშობდეს...

უშუალო კონკურენტები იყვნენ ძლიერები, დანარჩენები კი სუსტად გამოიყურებოდნენ.

ბოლოსწინა ტურში "ოლიმპს" ვეთამაშეთ. მართალია 2 ქულით ვუსწრებდით და ფრეც გვაწყობდა, მაგრამ თამაში მაინც მოვიგეთ.

ჩვენ ყველა რგოლში კარგი ფეხბურტელები გვყავს. მართალი გითხრათ, იმას უფრო მეტ ყურადღებას ვაქცევ რომელმა რგოლმა ან ფეხბურთელმა ითამაშა შედარებით ცუდად. ეს იმიტომ, რომ ამ შეცდომებს გამოსწორება უნდა. ისე კი ყველა რგოლში კარგი ფეხბურთელები გვყავს.

ძალიან კარგი თაობაა და როგორც დათო კევლიშვილმა თქვა, ძალიან დიდი შეცდომა იქნებოდა, ამ ასაკში დაბადებულთა ჭაბუკთა ლიგის გათამაშებაზე არდაშვება. საერთოდ, ჭაბუკთა ლიგა უეფადან ფინანსდება, იმიტომ, რომ ამ ჭაბუკებში გამორჩეულებს გზა გაეხსნათ დიდი ფეხბურთისკენ. ჩვენ ერთი ბავშვის დაკარგვის უფლებაც არ გვაქვს და ამ დროს ვიგებთ, რომ რეფორმაა მოსალოდნელი და ერთი ბავშვი კი არა, მთელი თაობა თამაშგარეშე რჩება... მაღალი თაობა მოდის, რაც თანამედროვე ფეხბურთში აუცილებელია.

მოედნის პრობლემა ბავშვთა ფეხბურთში მართლაც აქტუალურია. კი ბატონო კეთდება მინი-მოედნები, მაგრამ ეს ქუჩის ფეხბურთისთვისაა. ჭაბუკთა ლიგაში საასპარეზოდ კი სტანდარტულ მოედანზე ვარჯიშია აუცილებელი.

სუპერთასზე 12 ივნისს ქუთაისის "კოლხიდასთან' გვიწევს თამაში და გამარჯვებისთვის ყველაფერს გავაკეთებთ.

ბაგრატ ჩადუნელი (1991 წელს დაბადებულთა მთავარი მწვრთნელი):

- გასულ სეზონში დიდი შრომა ჩავდეთ, სამივე ასაკის მწვრთნელებმა და ფეხბურთელებმაც. გარჯაც დაგვიფასდა. პირველიდან ბოლო ტურამდე გათამაშების ცხრილს ვლიდერობდით და ჩემპიონებიც გავხდით.

გამორჩეული მატჩები გვქონდა "ბათუმთან", "ოლიმპთან", "ვიტ ჯორჯიასთან". უფრო რთული თამაშები მეორე წრეში გვქონდა. ერთიც უნდა ითქვას, გუნდები "დინამოს" წინააღმდეგ განსაკუთრებული ჟინითა და მონდომებით თამაშობდენ. ეს კი ჩვენი გუნდის ფეხბურთელთათვის ძალიან კარგია. სწორედ ასეთ მატჩებში იწრთობიან ჭაბუკები.

ახალი გუნდის დაკომპლექტება უკვე დაიწყო. პრესაში კონკურსი გამოცხადებული გვქონდა და შერჩევაც დაიწყო, რომელიც კვირაზე მეტხანს გასტანს. ამხანაგურ თამაშებში ყველას დავაკვირდებით და მათგან საუკეთესოს შევარჩევთ.

თემურ ჩარკვიანი (დინამოს აკადემიის მეკარეების მწვრთნელი):

- სამივე ასაკობრივ კატეგორიაში მიწევს მუშაობა. საქმე შრომატევადია, მაგრამ საინტერესო. სასიხარულოა, რომ გარჯა გვიფასდება და წარმატებებთან ერთად კარგ თაობასაც ვზრდით. საფრანგეთთან მატჩისთვის ეროვნულ ნაკრებში მიწვეულ მეკარე მაკარიძესა და 17-წლამდელთა ნაკრების წევრ გოლკიპერ ნიორაძეს გამოვარჩევდი... დიახ, ჩვენი მეკარეები ხაზზე უკეთ თამაშობდნენ ვიდრე გამოსვლაზე. გამოსვლაზე ახლაც უჭირთ თამაში, მაგრამ ამ მხრივ სურათი აშკარად გამოსწორდა. მეკარეებს დაცვის მოქმედების კოორდინაციასაც ვასწავლით...

ახლა ნიორაძეს, მაკარიძეს, ნაჭყებიას, ლოსაბერიძეს, ნადირაძეს ვავარჯიშებ... კიდევ ერთ-ორ მეკარეს ვაკვირდებით და თუ ჩვენთვის მისაღები კადრი იქნება, დავიტოვებთ კიდეც.

თეიმურაზ უგრეხელიძე (დინამოს აკადემიის კოორდინატორი, სელექციონერი):

- აკადემიის კოორდინატორი ვარ და ჩემს ფუნქციაში სელექციაც შედის. ჩვენს ფეხბურთელებს გუნდების მოძებნაშიც ვეხმარებით. ბედნიერი ვარ, რომ ამ მწვრთნელებთან და ფეხბურთელებთან მიწევს მუშაობა.

უკვე 4 წელია, აკადემია ფუნქციონირებს და ჩინებული შედეგები გვაქვს, როგორც პირველობაზე, ასევე კარგი კადრების აღზრდისა და მიწოდების თვალსაზრისით.

ბოლო ხანს, მწვრთნელი ბაგრატ ჩადუნელი შეგვემატა, რომელიც კარგად ჩაერთო ჩვენს ანსამბლში და წლეულს მისმა გუნდმაც პირველი ადგილი აიღო. ჩვენიდან წავიდა გია ჭიაბრიშვილი, რომელიც 1991 წელს დაბადებულების მწვრთნელი იყო. აკადემიიდან მწვრთნელები დათო კევლიშვილი და თემურ შალამბერიძე "დინამო2-ში" გადავიდნენ. ჩვენთან მწვრთნელად მოდის ვასილ მაისურაძე, რომელმაც უკვე აიღო შესაბამისი ლიცენზია.

აკადემიაში გავაკეთეთ ინტერნატი და რაიონიდანაც ნელ-ნელა ჩამოგვყავს პერსპექტიული ჭაბუკები.

ჩვენი გაზრდილი ფეხბურთელების ნაწილმა უკვე ითამაშა უმაღლეს ლიგაში, ნაწილი კი მალე გამოჩნდება. ჩვენი აკადემიის აღზრდილები არიან: ხმალაძე, ძმები კაშიები, მახარაძე, გრიგალაშვილი, ლობჟანიძე, ჩარგეიშვილი... ჩვენთან იყო 2 წლის განმავლობაში ლევან ყენია. ასევე თარგამაძე, რომელიც "ფრაიბურგში" გადავიდა. ბუნებრივია, ამაში მწვრთნელების როლი უდიდესია. ჩვენი, ყველას დიდი სურვილია "დინამოს" მდიდარი ტრადიციები აღვადგინოთ.

ბავშვთა ფეხბურთი და ჩვენი აკადემია პრესისგან დიდ ინტერესს ვერ გრძნობს და მადლობა "ლელოს", რომ ამ თემით დაინტერესდით.

კიდევ ერთს ვიტყოდი, შარშან ლიგის გამარჯვებულებსა და სუპერთასის მფლობელებს ფეხბურთის ფედერაცია საერთაშორისო ტურნირზე მონაწილეობას დაჰპირდა. ამაზე ჩვენი კლუბის ხელმძღვანელობაც ზრუნავს. იმედი გვაქვს რომ სახსრები გამოინასება და უცხოურ ტურნირში მონაწილეობის საშუალება მოგვეცემა. ეს მხოლოდ "დინამოსა" და მის აკადემიას კი არა, ისევ და ისევ ქართულ ფეხბურთს წაადგება. ფეხბურთელები გამოცდილებას შეიძენენ და ნაკრებ გუნდებს გამოადგებიან.

დავით ცაბაძე

ჭაბუკთა ლიგა

1989 წ. დაბადებულები

XXIX ტური

კახეთი-მერანი	1:0
ცხინვალი-ზესტაფონი	0:3
სიონი-ლოკომოტივი	0:4
ჩიხურა-ამერი	2:7
ვიტ ჯორჯია-ბათუმი	6:0
დინამო-ოლიმპი	2:0
ტორპედო-ბორჯომი	3:1

XXX ტური

ოლიმპი-ტორპედო	1:0
ბათუმი-დინამო	0:5
ამერი-ვიტ ჯორჯია	0:1
ლოკომოტივი-ჩიხურა	2:0
ზესტაფონი-სიონი	8:3
მერანი-ცხინვალი	3:0
დილა-კახეთი	3:0

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1 დინამო	28	24	2	2	99-17	74
2 ოლიმპი	28	23	3	2	76-13	72
3 ლოკომოტივი	28	16	7	5	58-25	55
4 ვიტ ჯორჯია	28	15	7	6	62-20	52
5 ამერი	28	15	4	9	65-37	49
6 ზესტაფონი	28	13	4	11	62-51	43
7 ტორპედო	28	11	9	8	41-35	42
8 მერანი	28	12	3	13	42-36	39
9 ბორჯომი	28	10	4	14	53-58	34
10 ბათუმი	28	9	5	14	43-68	32
11 ცხინვალი	28	8	1	19	30-68	25
12 კახეთი	28	7	1	20	33-91	22
13 ჩიხურა	28	6	3	19	35-64	21
14 დილა	28	6	3	19	33-87	21
15 სიონი	28	6	2	20	40-102	20

1990 წ. დაბადებულები

XXIX ტური

ბათუმი-ვიტ ჯორჯია	0:0
დინამო-ოლიმპი	3:2
ამერი-ჩიხურა	2:0
ლოკომოტივი-სიონი	3:0
ზესტაფონი-ცხინვალი	3:0
მერანი-კახეთი	2:0
ბორჯომი-ტორპედო	2:1

XXX ტური

ვიტ ჯორჯია-ამერი	1:3
დინამო-ბათუმი	4:2
ტორპედო-ოლიმპი	3:0
კახეთი-დილა	4:2
ცხინვალი-მერანი	0:3
სიონი-ზესტაფონი	0:0
ჩიხურა-ლოკომოტივი	2:0

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1 დინამო	28	23	2	3	83-15	71
2 ოლიმპი	28	20	3	5	74-19	63
3 ამერი	28	18	5	5	67-20	59
4 ვიტ ჯორჯია	28	16	6	6	61-23	54
5 ჩიხურა	28	16	5	7	66-26	53
6 მერანი	28	15	3	10	46-43	48
7 ზესტაფონი	28	14	6	8	45-32	48
8 ტორპედო	28	13	8	7	42-18	47
9 სიონი	28	10	5	13	38-49	35
10 ლოკომოტივი	28	10	3	15	52-44	33
11 ბათუმი	28	7	7	14	29-54	28
12 დილა	28	7	4	17	31-63	25
13 კახეთი	28	4	4	20	25-74	16
14 ბორჯომი	28	4	3	21	22-95	15
15 ცხინვალი	28	0	2	27	8-101	2

1991 წ. დაბადებულები

XXIX ტური

ზესტაფონი-ცხინვალი	3:0
ბორჯომი-ტორპედო	4:0
ოლიმპი-დინამო	2:2
ბათუმი-ვიტ ჯორჯია	2:0
ლოკომოტივი-სიონი	3:2
მერანი-კახეთი	1:1
ამერი-ჩიხურა	4:0

XXX ტური

ტორპედო-ოლიმპი	5:0
დინამო-ბათუმი	0:0
ვიტ ჯორჯია-ამერი	3:6
ჩიხურა-ლოკომოტივი	0:1
სიონი-ზესტაფონი	0:2
ცხინვალი-მერანი	0:3
კახეთი-დილა	1:2

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1 დინამო	28	22	4	2	60-15	70
2 ბათუმი	28	21	4	3	57-22	67
3 ოლიმპი	28	18	7	3	78-29	61
4 ვიტ ჯორჯია	28	17	6	5	47-17	57
5 მერანი	28	16	4	8	51-32	52
6 ბორჯომი	28	13	4	11	51-32	43
7 დილა	28	12	7	9	39-35	43
8 ტორპედო	28	12	3	13	42-42	39
9 ამერი	28	12	3	13	36-30	39
10 ლოკომოტივი	28	7	11	10	32-43	32
11 კახეთი	28	8	7	13	36-47	31
12 ზესტაფონი	28	9	3	16	43-61	30
13 ჩიხურა	28	6	1	21	33-70	19
14 სიონი	28	4	1	23	21-65	13
15 ცხინვალი	28	0	1	27	10-96	1

ეროვნული ბიბლიოთეკა

მილანი

ანრის მილანი უხარია

ემერსონმა კაფუს დაურეკა: მოვდივარ!

...ჩვენ გვინდა ერთი ნახევარმცველი და ერთიც ფორვარდი, - თქვა ამასწინათ "მილანის" მწვრთნელმა **კარლო ანჩელოტიმ**. რა თქმა უნდა, კარლეტოს გვარები არ დაუკონკრეტებია, მაგრამ უკვე ცნობილია, რომ შეტევის ფრონტის შესავსებად ერთ-ერთი წონიანი კანდიდატურა **სამუელ ეტო'ოა**. თუ კამერუნელის აგენტს დავუჯერებთ, მისი კლიენტი კატალონიიდან აბარგებას არ აპირებს. მაგრამ ეს არ არის ის სიტყვები, რომელსაც ასი პროცენტით უნდა ვენდოთ. ეტო'ოს რთული ურთიერთობა აქვს **ფრანკ რიიკაარდთან**. პრესა ვარაუდობს, რომ ამათგან ერთ-ერთი აუცილებლად დატოვებს "ბარსას", მაგრამ რომელი? ბევრი რამ სეზონის ფინიშზე იქნება დამოკიდებული. რიიკაარდისთვის მთავარია, ჩემპიონი გახდეს. შესაძლოა, ეტო'ოს ყიდვა გაჭირდეს ორიოდ დღის წინათ კლუბებს შორის მომხდარი სიტყვიერი შეხლა-შემოხლის გამოც, რაც **ადრიანო გალიანის** ერთ-ერთ ინტერვიუს მოჰყვა - თითქოსდა, პრესამ "მილანის" ვიცე-პრეზიდენტს მიაწერა სიტყვები (კამერუნელთან საქმე მოგვარებულიაო), რომელიც არ უთქვამს. ამაზე, იტალიურმა მხარემ სპეციალური განმარტებაც გააკეთა...

გადავიდეთ **ტიერი ანრიზე**. დიახ, ანრიც "როსონერის" თვალთახედვის არეშია. ეს, რბილად რომ ვთქვათ, თორემ ანჩელოტი სულაც არ მალავს, რომ "არსენალის" ფორვარდზე ოცნებობს. კვლავ მის სიტყვებს მოვიშველიებთ - რა თქმა უნდა, ანრი ჩვენს სიაშია და ბედნიერი ვიქნები, თუ მილანში ჩამოვაო. ჩამოვა, თუ გამოუშვებენ. გამოუშვებენ კი? ალბათ, ანრი ამას აღარავის ჰკითხავს. ფაქტობრივად, ბოლო ორი სეზონი "მეთოფეებში" მან მხოლოდ **არსენ ვენგერის** ხათრით გაატარა. ტიერი ამაოდ ელის "არსენალის" გაძლიერებას. მწირი დაფინანსებიდან გამომდინარე, ვენგერის პოლიტიკად კვლავ რჩება ახალგაზრდების დაწინაურება. ეს შედეგს მოგვიანებით მოიტანს (თუ მოიტანს საერთოდ), ანრის კი წლები ემატება, მას ევროტიტულები სჭირდება. "მილანში" საამისო შანსი გაცილებით მეტი ექნება. გუშინ, "სანის" ფურცლებზე ანრი "როსონერის" დაინტერესებას გამოეხმაურა:

"ძალიან სასიამოვნოა, როცა ისეთი კლუბის ინტერესზე ვიგებ, როგორიც "მილანია". მართლაც სასიამოვნოა და როგორ შეიძლება, ასე არ იყოს? ბევრჯერ მითქვამს და კიდევ გავიმეორებ, რომ "არსენალის" მოთამაშე ვარ, მაგრამ ამ ბოლოხანს, კლუბში ბევრი ისეთი რამ მოხდა, რაც არ უნდა მომხდარიყო".

ანრი გულისხმობს "არსენალის" ვიცე-თავმჯდომარე **დევიდ დინის** მოულოდნელ გადადგომას (აპრილში), რის შემდეგაც მთლიანად კლუბი, მწვრთნელი და მოთამაშეები სრულმა გაურკვევლობამ მოიცვა. არაფერია ახალი ამერიკულ ინვესტიციებზეც. ბუნებრივია, რომ ასეთ ვითარებაში ანრიმ წასვლა გადაწყვიტოს. თუმცა პრობლემა ისაა, რომ 29 წლის ფორვარდმა შარშან კლუბთან ახალი, ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ამდენად, "მილანს" სერიოზული თანხის გაღება და ბრძოლა მოუწევს, თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ანრის გადაბირებით "ბარსელონაცაა" მოწადინებული.

"უკვე გამაღი ზიანებელია, რომ მეოთხე ადგილს ვერ ვცდებით. და ფიქრი იმაზე, რომ მომავალ სეზონშიც მეტი პერსპექტივა არ იქნება, ძალიან ცუდ დღეში მაგდებს," - დასძენს ანრი, რომლისთვისაც ზაფხულის სატრანსფერო კამპანია ახალი ცხოვრების დაწყებას შეიძლება მოასწავებდეს. ვნახოთ...

ემერსონის მოლოდინში

ამასობაში, გრძელდება სპეკულაციები **ემერსონთან** დაკავშირებითაც. "მილანს" ეს ბრაზილიელიც მოსწონს. ის აუცილებლად გამოგვადგებაო, თქვა ამასწინათ **კარლო ანჩელოტიმ**. მიუხედავად იმისა, რომ "ემო" **ფაბიო კაპელოს** ძველი ფავორიტია და ტურინიდან მადრიდშიც ამიტომ გაიყოლა (გავიხსენოთ, რომ კაპელო და ემერსონი ერთად იყვნენ "რომაშიც"), ბრაზილიელს "სანტიაგო ბერნაბეუზე" ნამდვილად არ ულხინს. ამის მიზეზი მძაფრი კონკურენცია და საზარდულის ტრავმაა, შეიძლება, ყოფითი პრობლემებიც. იტალიაში დაბრუნების სურვილი თავად ფეხბურთელსაც აქვს. "ჩენელის" ინფორმაციით, ემერსონი მილანში 18 ივნისს იქნება და სამედიცინო ტესტის შემდეგ, 3-წლიან კონტრაქტსაც გააფორმებს. საყურადღებოა მილანელი ვეტერანისა და ემერსონის მეგობარ **მარკუშ კაფუს** სიტყვებიც - დამირეკა და მითხრა, მალე ჩამოვალო.

მიმომხილველები ვარაუდობენ, რომ "მილანმა" გარიგებაში შეიძლება ჩართოს ფორვარდი **რიკარდო ოლივეირაც**. ამავე დროს, "როსონერი" თადარიგს იჭერს და ემერსონის ალტერნატივად ბარსელონელ **ედმილსონს** განიხილავს.

ტიერი ანრი

რომა

მექსე დარჩა, ჟუანი გზაშია...



მასიმო მორატი

ლუჩანო სპალეტიმ ცენტრალური მცველი **ფილიპ მექსე** შეინარჩუნა. ფრანგმა კლუბთან ახალი, 4-წლიანი კონტრაქტი გააფორმა. წინა ხელშეკრულება მას 2008 წლის ივნისში ეწურებოდა. დღევანდელი პირობებით, მექსე წლიურად 1.7 მილიონ გირვანქას მიიღებს. ეს ის ხელფასია, რაც ორიოდ დღით ადრე **კრისტიან კივუსთან** მოლაპარაკებების ჩაშლის მიზეზი გახდა. რუმინელმა "ჯალოროსისგან" 2.8 მილიონი მოითხოვა, მაგრამ უარი მიიღო. შედეგად, კივუ დღე-დღეზე "ინტერის" საკუთრება გახდება (ჯერჯერობით, მხოლოდ წინასწარი კონტრაქტია გაფორმებული "ინტერის" პრეზიდენტსა და ფეხბურთელის აგენტს შორის). ამაზე გუშინდელ ნომერშიც ვწერდით. მექსესთან ახალი კონტრაქტის დაჩქარებული ტემპით გაფორმება, დიდწილად, სწორედ კივუს მოსალოდნელ ტრანსფერს უკავშირდება. მაგრამ მექსეს დარჩენა მარტო ხელშეკრულების პირობების გადასინჯვით არ ყოფილა განპირობებული. ის თავს უკვე ჭეშმარიტ "რომანისტად" თვლის და სხვა გუნდში თამაში ვერც კი წარმოუდგენია.

მაგრამ სპალეტისთვის მარტო მექსე არ ყოფილა პრიორიტეტი. "რომამ" კივუს რეალურ ალტერნატივად ბრაზილიელი **ჟუანი** შეიგულა. როგორც "გაძეტა დელო სპორტი" წერს, ტრანსფერი უკვე მოგვარებულია. "ლევერკუზენის" მცველი "ჯალოროსის" ოთხი წლით დაუკავშირებს ბედს და სეზონურად 2.5 მილიონ ევროსაც მიიღებს. უშუალოდ ჟუანთან ყველაფერი შეთანხმებულია, გასარკვევი დარჩა მხოლოდ რამდენიმე დეტალი. ამას ნათელს მოჰფენს "ლევერკუზენის" ხელმძღვანელობასთან ბოლო მოლაპარაკება, რომელიც მომავალი კვირისთვის იგეგმება. ჟუანის გამოსასყიდი თანხა 8.5 მილიონი ევროა. როგორც ამბობენ, კლუბებმა დაახლოებით 7 მილიონზე მოილაპარაკეს.

ინტერი

მორატის ვენდეტა: შევჩენკო ინტერში?

ახალი დაპირისპირება ნერაძურისა და ადრიანოს შორის

"ილ კუოტიდიანოს" მტკიცებით, "ინტერის" პრეზიდენტი **მასიმო მორატი** ავანტურაზე მიდის. ავტორიტეტული და სოლიდური გამოცემა, რომელიც ჭორაობაში თითქოს შემჩნეული არ არის, სანდო წყაროზე დაყრდნობით გვარწმუნებს, რომ ნავთობმაგნატი ბოსი **ანდრეი შევჩენკოს** ყიდვას აპირებს. იქვე მოყვანილია ციფრებიც: 3-წლიანი კონტრაქტი, ზედაც წლიური 7 მილიონი გირვანქა ხელფასის სახით, რაც შევას ამჟამინდელ ჯამაგირზე მთელი მილიონნახევრით მეტია.

ერთი შეხედვით, დაუჯერებელი (თუმც მოვალენი ვართ, გაუწყოთ) ამბავია, მაგრამ თუ შევას სიტყვებს მოვუხმობთ - ამქვეყნად შეუძლებელი არაფერიაო - შეიძლება, იფიქრო კაცმა, რომ "რაღაც" მართლა შეიძლება მოხდეს. მაგრამ ვიმეორებთ და ვგონებთ, მკითხველიც დაგვეთანხმება, რომ ამ ტრანსფერის ალბათობა მინიმალურზე მინიმალურია და შეიძლება, ამდენიც არა. იმ სიტუაციაში, როცა "მილანსა" და **სილვიო ბერლუსკონის** თავისი "ვვილი" ძლიერ ენატრებათ და "ჩელსიდან" წასვლის შემთხვევაში, ადგილსაც უნახავენ, გამორიცხულია, შევამ "როსონერის" მოსისხლე მტერს დაუმოყვრდეს. მეტიც, ბოლოს შევჩენკომ ისიც თქვა, რომ ლონდონური ყოფით კმაყოფილია და მომავალ სეზონს იმედით ელის. რომელ ერთს დავუჯეროთ?

ისე კი, "ინტერს" ფორვარდი მართლაც შეიძლება დასჭირდეს, თუ **ადრიანოსთან** დაკავშირებული სატრანსფერო ხმები რეალობად იქცევა. ბრაზილიელს "რეალში" გადასვლას უწინასწარმეტყველებენ. "ნერაძურიში" ახლა ოთხი ძირითადი ფორვარდია: **ერნან კრესპო, ხულიო კრუსი, ზლატან იბრაჰიმოვიჩი** და თავად **ადრიანო**. თუ ეს უკანასკნელი წავა, **რობერტო მანჩინი** აუცილებლად მოითხოვს ერთი თავდამსხმელის დამატებას. თეორიულად, ეს შეიძლება იყოს შევჩენკოც, მაგრამ ცნობილია, რომ "ინტერს" **ტიერი ანრიც** აინტერესებს და თან არანაკლებ, ვიდრე "მილანსა" და "ბარსელონას". ეს ვარიანტი კი გაცილებით რეალური და მიღწევადია.

დაბოლოს, ისევ ადრიანოზე. ფორვარდსა და "ინტერს" შორის, შეიძლება, ახალი დაპირისპირება მომწიფდეს. ბრაზილიურ გაზეთ "ჟორნალ და ტარდეს" საშუალებით გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს სამშობლოში მყოფი ადრიანო რამდენჯერმე ეწვია სან პაულუს ჰოსპიტალს და გამოკვლევები ჩაიტარა. "ინტერის" ხელმძღვანელობა აღშფოთებულია, რომ კლუბი საქმის კურსში არ ჩააყენეს. ინფორმაციას ფეხბურთელის აგენტი **ჟილმარ რინალდიც** ეხმაურება და ამტკიცებს, რომ ადრიანოს მუხლის სკანირება ჩაუტარდა, რაც ბრაზილიის ნაკრების ექიმთან იყო შეთანხმებული. სხვა ინფორმაციით კი, ადრიანოს პრობლემა პანკრიატიტია (კუჭქვეშა ჯირკვლის გაღიზიანება). გაზეთი ცეცხლზე ნავთს ასხამს და ვარაუდობს, რომ ამის მიზეზი, შეიძლება, ალკოჰოლის ზედმეტი დოზაც ყოფილიყო...

სატრანსფერო ბაზარზე

ტრეზეგე: ესპანეთი თუ საფრანგეთი?

მალუდა ძვირია, ჟიულის ფიორენტინა ეძახის

"იუვენტუსის" თვალწარმტაცი პროექტი, როგორც ამას პრესა აფასებს და რომელმაც აიძულა **ჯანლუიჯი ბუფონი**, "ბებერ ქალბატონთან" კონტრაქტი გაეგრძელებინა, ჯერჯერობით, საკმარისი არ არის **დავიდ ტრეზეგეს** დასაყოლიებლად. მაგრამ საკითხავია, აპირებს კი "იუვე", კალთები დაახიოს ფორვარდს, რომელსაც ტურინიდან წასვლა უნდა? "გაძეტა დელო სპორტის" ცნობით, ტრეზეგეს ერთი-ერთი ნავსაყუდელი, შეიძლება, "ვალენსია" იყოს. ესპანურ პრესაზე დაყრდნობით ვიგებთ, რომ ფრანგი მეგოლე **დავიდ ვილიას** ალტერნატივად განიხილება. მოგეხსენებათ, ახალგაზრდა ფორვარდი "ინტერის", "ბარსელონის", "ჩელსისა" და "ლივერპულის" ფოკუსშია მოქცეული. როგორც ჩანს, ტურინელთა გააქტიურებაც ამითაა გამოწვეული. ტრეზეგეს სავარაუდო შემცვლელებად იქ აიაქსელი **კლაას იან ჰუნტელაარი** და მილანელი **ალბერტო ჯილარდინო** მიაჩნიათ.

ამასობაში, ტრეზეგეთი დაინტერესებას ამჟღავნებს "ლიონიც". საფრანგეთის ჩემპიონთა პრეზიდენტი **ჟან-მიშელ ოლა** ცდილობს, "იუვე" თავისთვის ხელსაყრელ პირობებზე წამოიყვანოს. "ლიონს" ფორვარდში 17 მილიონ ევროს სთხოვენ. კაცმა რომ თქვას, ოლა წავიდოდა ამ გარიგებაზე, რომ არა ერთი გარემოება: პრობლემას ქმნის "ტრეზეგოლის" ხელფასი. პრეზიდენტი აცხადებს, რომ ფეხბურთელს წლიურად 3.5 მილიონ ევროს ვერ გადაუხდის. ის აპირებს, კიდევ ერთხელ მიმართოს ტურინულ მხარეს და 15 მილიონი შესთავაზოს. ბოლო სიტყვა იქნება არენდის ვარიანტზეც. სავარაუდოდ, "სინორა" ამ წინადადებაზე უარს იტყვის.

ბაზარზე აქტიურად ფიგურირებს **ფლორან მალუდას** პერსონაც. საფრანგეთის ნაკრებისა და "ლიონის" მარცხენა გარემარბი ძალიან მოსწონს "იუვენტუსის" ახალ მწვრთნელ **კლაუდიო რანიერის** და არაა გამორიცხული, ის ტრეზეგეში გაიცვალოს. მაგრამ მალუდა ტრეზეგეზე ძვირი ღირს - არანაკლებ 20 მილიონი ევრო. ასეთ შემთხვევაში, ტურინელებს ან ფულის დამატება მოუწევთ, ან სატრანსფერო ოპერაციაში რომელიმე მოთამაშეს ჩართავენ. "ლიონს" უფრო ფული აინტერესებს. მალუდა მარტო "იუვეში" კი არა, "ჩელსიშიც" მოსწონთ და "ლივერპულიც" არ იტყოდა უარს. ამას გარდა, "ბარსელონის" ინტერესებშია ლიონელი **ერიკ აბიდალი**.



დავიდ ტრეზეგე

კატალონიელები მზად არიან, მარცხენა მცველში 9 მილიონი ევრო გაიღონ, რაც მუსიე ოლას სასაცილოდ არ ჰყოფნის - აბიდალი 20 მილიონად ფასობსო.

"მარსელიდან" **ფრანკ რიბერის** აბარგების შემდეგ, ფრანგული პრესა "ველოდრომზე" **ლუდოვიკ ჟიულის** გამოჩენას წინასწარმეტყველებს. როგორც ირკვევა, ჟიულის სამსახურით "ფიორენტინაცაა" დაინტერესებული. ფლორენციაში მას სამწლიან კონტრაქტს სთავაზობენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლივერპული

ჯერარდმა ჟურნალს სასამართლო მოუგო

ფინანსური სასჯელი ცილისწამებისათვის და ახალი ამბები ენფილდიდან

"სპორტ მეგეზინი" **სტივ ჯერარდს** ცილისწამებისათვის სოლიდურ თანხას გადაუხდის. ლონდონის სასამართლომ გადაწყვეტილება ორი დღის წინათ გამოიტანა. სტატია, რომელშიც ჯერარდის "რეალში" ტრანსფერზე იყო საუბარი, თებერვლის ნომერში გამოქვეყნდა. ავტორი საკუთარი ინფორმაციის გასამყარებლად ლონდონის "პარკ ლეინ მარიოტ ოტელიდან" გამოგზავნილ ფაქსს იშველიებდა. ფაქსში ნათქვამი იყო, რომ ჯერარდს ნამდვილად ჰქონდა დაჯავშნილი ოთახი ამ სასტუმროში. "სპორტ მეგეზინის" სტატიაში კი ეწერა, რომ მადრიდელ ემისრებთან შეხვედრაც "მარიოტში" იყო დაგეგმილი. ჟურნალისტს ინფორმაციის გადამოწმება არც ლივერპულელ ვარსკვლავთან უცდია და არც მის აგენტთან. ამიტომ ჟურნალში დაბეჭდილი ექსკლუზიური მასალა ჯერარდისა და ოჯახისათვის შოკისმომგვრელი აღმოჩნდა. სტივმა დახმარებისათვის ადვოკატ **ჯერარდ ტირელს** მიმართა. ტირელმა სასამართლოში საჩივარი შეიტანა და საქმე მოიგო. "სპორტ მეგეზინმა" გაავრცელა ოფიციალური განცხადება, რომელშიც ცილისწამება აღიარა. მან საჯაროდ მოიხადა ბოდიში, ფეხბურთელისათვის გადასახდელი თანხის შესახებ კი არაფერი უთქვამს. ფულის ოდენობა გასაიდუმლოებულია. მორალური ზიანის კომპენსაციის გარდა, ჟურნალს სასამართლოს ხარჯების ანაზღაურებაც დაეკისრება.

გავაგრძელოთ "ლივერპულზე" საუბარი. "თაიმსის" ცნობით, მერსისაიდელები "ბარსელონასთან" მოლაპარაკებებს მართავდნენ. **რაფა ბენიტესი სამუელ ეტოოს** შეძენას ცდილობდა. "თაიმსი" ამტკიცებდა, კატალონიელებს სანაცვლოდ **ჩაბი ალონსო** შესთავაზესო. ინგლისური მედია ჩაბის მოსალოდნელი აბარგების შესახებ ჩემპიონთა ლიგის ფინალის წინაც საუბრობდა. ისიც კი თქვეს, "მილანთან" მატჩში თუ ჩაბის ძირითადში ვერ ვიხილავთ, ახალი სამსახურის მოძებნა მოუწევსო. მაგრამ ჩაბიმ ის შეხვედრა შეუცვლელად ჩაატარა და გუშინ სპეკულაციებს საბოლოოდ დაესვა წერტილი. ფეხბურთელმა "ლივერპულთან" ახალი კონტრაქტი გააფორმა. ის "ენფილდზე" 2012 წლამდე დარჩება. ალონსო მეოთხეა, რომელსაც მერსისაიდელები ახალ ხელშეკრულებას უფორმებენ. უფრო ადრე ხუთწლიან კონტრაქტებს ხელი მოაწერეს ჯერარდმა, **ჯეიმი კარაგერმა** და **პეპე რეინამ**.

სტივ ჯერარდმა ლივერპულის ერთგულება სასამართლოშიც დაამტკიცა

რაც შეეხებათ სხვა ვარსკვლავებს, "ასტონ ვილამ" 12 მილიონი გირვანქა გაამზადა, რათა **კრეიგ ბელამი** და **ჰარი კიუელი** შეიძინოს. ბენიტესი ტრანსფერების წინააღმდეგი არ არის, მაგრამ 12 მილიონს მარტო უელსელი თავდამსხმელის სანაცვლოდ ითხოვს. ბირმინგემელებს კომენტარი არ გაუკეთებიათ. "ვიგანში" გადასვლას უწინასწარმეტყველებენ ფინელ მცველ **სემი ჰიიპიას**, თუმცა მას მხოლოდ იმ შემთხვევაში გაუშვებენ, თუ კვალიფიციურ ცენტრალურ მცველს იპოვიან.

"ლივერპული" **ფლორან მალუდასათვის** ბრძოლას გამოეთიშა. "ლიონმა" 8 მილიონი გირვანქა მოითხოვა. მერსისაიდელებს ფულის პრობლემა არ ჰქონიათ, მაგრამ როგორც ირკვევა, ფეხბურთელმა გარიგებაზე თვითონ თქვა უარი. მას ახლა "არსენალი" ეპატიჟება. თუ "მეთოფეები" ფრანგ გარემარბს დაისაკუთრებენ, საშუალება ექნებათ, **ტომაშ როსიცკი** ნახევარდაცვის ცენტრში ათამაშონ. "სქაი სპორტის" ცნობით, "ლივერპული" და "ბეტისი" ფეხბურთელების გაცვლას აპირებენ. სევილიელებს ჩილელი გარემარში **მარკ გონსალესი** შეხვდებათ, მერსისაიდელებს კი 20 წლის საყრდენი ნახევარმცველი **ხუანდე**. მხარეებს მოსალოდნელ გარიგებასთან დაკავშირებით კომენტარი არ გაუკეთებიათ.

და კიდევ, ლივერპულელი **ჯერმეინ პენანტი** შვებულებაში ყოფნისას ცუდად გახდა. მან მალაგაში დაისვენა, ბრიტანეთში დაბრუნებისას, თვითმფრინავის ბორტზე გონება დაკარგა და თითქმის ნახევარი საათის განმავლობაში ჟანგბადს ასუნთქებდნენ. პენანტს ჩარლტონელი მცველი **კვინტონ ფორჩუნი** ახლდა. მეორე დღეს ჯერმეინის აგენტმა მიმომხილველებს აუწყა, რომ მისი კლიენტი თავს კარგად გრძნობს და ჯანმრთელობას აღარ უჩივის. ჟურნალისტებმა შეიტყვეს, რომ შვებულებისას ფეხბურთელი დიდი რაოდენობით ალკოჰოლს მირთმევდა და მგზავრობის წინა ღამესაც უგონოდ გამოთვრა.

თავდასხმა ჰერბერტ ფანდელზე

უეფამ შვედეთს დანიასთან მატჩში 3:0 მოგება ჩაუთვალა. გასულ შაბათს, კოპენჰაგენის "პარკენ სტადიონზე" ევროპისათვის უპრეცედენტო შემთხვევა დაფიქსირდა. მავანი დანიელი გულშემატკივარი მინდორზე გადაიჭრა და გერმანელ არბიტრ **ჰერბერტ ფანდელს** დაესხა თავს. ფეხბურთელები არბიტრს გადაეფარნენ. ის ტრავმას გადაურჩა, მაგრამ თამაში მაშინვე შეწყვიტა. მატჩის შეწყვეტისას ანგარიში 3:3 იყო, თუმცა ფანდელს მასპინძლების კარში პენალტი ჰქონდა დანიშნული. საქმეში ჩახებულ გულშემატკივარს მოეხსენება, რომ შვედები მეტოქეს გამანადგურებელი ანგარიშით ამარცხებდნენ, 0:3. დანიამ გასაოცარი ბრძოლის ფინი გამოიჩინა და სამივე გოლი გაქვითა, მაგრამ მატჩის მიწურულს **კრისტიან პოულსენმა** შვედ თავდამსხმელ **მარკუს როზენბერგს** მუცელში უთავაზა, წითელი ბარათი მიიღო და პენალტითაც დაისაჯა. 11-მეტრიანს შესრულება არ ეწერა. ფანმა, რომელსაც მეტისმეტად ბევრი ალკოჰოლი ჰქონდა მიღებული, მსაჯთან ანგარიშსწორება გადაწყვიტა. ის პოლიციამ სტადიონზევე დააპატიმრა. მართალია, ხულიგანმა ჩადენილი საქციელი მოინანია და საჯაროდაც მოიხადა ბოდიში, მაგრამ მონანიებამ საქმეს ვერ უშველა. **მორტენ ოლსენის** შეგირდებს ტექნიკური წაგება გამოუწერეს. უფრო მეტიც, დანიის ნაკრები მომდევნო საშინაო მატჩს (12 სექტემბერს ლიხტენშტაინთან) კოპენჰაგენიდან 155 მილის მოშორებით, თანაც ცარიელი ტრიბუნების წინ ჩაატარებს, ფედერაცია კი ჯარიმის სახით 81 ათას დოლარს გამოუთხოვება. ამ გამარჯვების წყალობით, შვედეთს 18 ქულა გაუხდა, ჯგუფში პირველ ადგილზე გადავიდა და ესპანეთს სამი ქული გაასწრო. დანიელებს მეოთხე ადგილი უკავიათ და ლიდერს რვა ქულით ჩამორჩებიან. ფედერაციამ განაცხადა, რომ განაჩენს აუცილებლად გაასაჩივრებს.

სკანდალის გამოძახილი

დანია vs შვედეთი, 0:3

ოლსენის გუნდი მომდევნო მატჩს შორს და ცარიელ სტადიონზე ჩაატარებს

სამწვრთნელო გადაადგილებები

ბლანი ბორდოში, რიკარდო მონაკოში

"ბორდოს" მთავარ მწვრთნელად **ლორან ბლანი** დაინიშნა. საფრანგეთის ნაკრების ყოფილი ვარსკვლავი მსოფლიოსა (1998) და ევროპის (2000) ჩემპიონია. მას "მარსელში", "ბარსელონაში", "ინტერსა" და "მანჩესტერ იუნაიტედში" უთამაშია. ბლანმა კარიერა 2003 წელს დაასრულა. ოთხი წლის განმავლობაში ყველა კატეგორიის მწვრთნელის ლიცენზია აიღო და აი, ახალი სეზონიდან მუშაობასაც შეუდგება. "ბორდო" მისი პირველი კლუბია. გამოუცდელობის მიუხედავად, მას ორწლიანი კონტრაქტი გაუფორმეს: *"ძალიან ბედნიერი და აღელვებული ვარ. ასეთ შეთავაზებას დიდი ხანი ველოდე. რთული სამუშაოა, თანაც ამ საქმეს ეს-ესაა ვიწყებ, მაგრამ მჯერა, ფეხბურთელობისას მიღებული გამოცდილება დამეხმარება. თანაც რჩევებსაც სიამოვნებით მივიღებ... "ბორდოს" ძლიერი შემადგენლობა ჰყავს. ყველაფრის შეცვლა საჭირო არ არის. ყველაფერს ვილონებ, რათა გუნდმა ერთი ნაბიჯით წინ წაიწიოს."*

მოსიე ბლანმა ბრაზილიელი **რიკარდოს** ადგილი დაიკავა. რიკარდოს ხელმძღვანელობით გუნდმა სეზონი მეექვსე ადგილზე დაასრულა და საფრანგეთის ლიგის თასი მოიგო. ახალ სეზონში ბორდოელები უეფას თასზე ითამაშებენ. მათი წარმატების შემოქმედი მწვრთნელი კი "მონაკოში" გააგრძელებს კარიერას. რიკარდომ პრინსიპატს მიაშურა და "სტად ლუი II-ზე" **ჟოზე ბანიდეს** შეცვლის. ბლანის არ იყოს, მანაც ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. 42 წლის რიკარდო ბრაზილიის ნაკრებისა და "პარი სენ ჟერმენის" ყოფილი ვარსკვლავია. ის "ბორდოში" 2005 წლის შემდეგ მოღვაწეობდა.

ლორან ბლანი

ნიუკასლი თითქმის გაიყიდა

ბრიტანელმა მილიარდერმა **მაიკ ეშლიმ** "ნიუკასლის" მორიგი პორცია შეიძინა. მან 37 მილიონი გირვანქა გადაუხადა ჯორდების თავმჯდომარე **ფრედი შეპერდს** და მის კუთვნილ 28 პროცენტს დაეპატრონა. იქამდე ეშლიმ 55 მილიონად ნიუკასლელთა თავმჯდომარის **სერ ჯონ ჰოლის** 41.6 პროცენტიანი ნილიც იყიდა და აქციების თითქმის 70 პროცენტს მოუყარა თავი. კლუბის ბოლომდე დასაკუთრება დროის საქმეა. მაიკ ეშლი ბრიტანეთის უმდიდრესი ადამიანების სიაში 25-ეა. მის მოსვლას ფანები სულმოუთქმელად ელოდებიან. "ნიუკასლი", რომელიც მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე შეძლებული კლუბია, სასურველ შედეგებს ვერა და ვერ აჩვენებს. მის ყველაზე დიდ წარმატებად 1955 წლის ასოციაციის თასი და 1969 წლის ბაზრობათა თასი ითვლება. ბოლო წლებში კი მაქსიმუმს რასაც მიაღწია, პრემიერლიგის ორგზის ვიცე-ჩემპიონობა და ორჯერ ასოციაციის თასის ფინალში გასვლა იყო. 2004 წელს ჯორდებმა უეფას თასის ნახევარფინალშიც გააღწიეს, თუმცა ამაზე შორს წასვლა არ ეღირსათ.

სიენა დარჩა უმწვრთნელოდ

"სიენა" მთავარ მწვრთნელ **მარიო ბერეტას** გამოეთხოვა. კლუბი სერია A-დან გავარდნას ბოლო ტურში გადაურჩა. ის "ლაციოს" ეთამაშებოდა. მატჩის დასრულებამდე ხუთი წუთით ადრე ანგარიში 1:1 იყო, მაგრამ **პაოლო ნეგრომ** გამარჯვების გოლი გაიტანა და კლუბი მე-15 ადგილზე აასკუპა. საბოლოოდ, სიენელებმა 38 ტურში 40 ქულას მოუყარეს თავი. მათ ნაცვლად სერია B-ში "კიევომ" ამოყო თავი. უცნობია, ვინ შეცვლის ბერეტას. იტალიის ჩემპიონატი სულ რაღაც ორი კვირის დასრულებულია. სერია A-ს კლუბებში კი უკვე არაერთი მწვრთნელი შეიცვალა: **კლაუდიო რანიერიმ** "პარმა" "იუვენტუსზე" გაცვალა, **სტეფანო კოლანტუონომ** "ატალანტიდან" "პალერმოს" მიაშურა, **მარიანო პასკუალმ** "კატანიას" "უდინეზე" არჩია, **ვალტერ ნოველინომ** – "სამპდორიას" "ტორინო", ხოლო **ვალტერ მაძარი** "რეჯინადან" "სამპდორიაში" გადავიდა.

დუდუ: მოსკოვიდან რომში

მოსკოვის ცსკას ნახევარმცველმა **დუდუმ**, შეიძლება, "ლაციოს" მიაშუროს. ბრაზილიელ ლეგიონერს არმიულ კლუბთან კონტრაქტი 2009 წელს უმთავრდება. მოსკოველები კომპენსაციის სახით, 9 მილიონის მოთხოვნას აპირებენ. დუდუ ეროვნული ნაკრების კანდიდატია. მას "ფიორენტინა", "ბეტისი", "ეინდჰოვენი", "ფენერბაჰჩე" და "ოლიმპიაკოსი" აკვირდებოდნენ.

ახალი სპონსორი

რეალი ბეთ ენდ ვინს შეეკრა

"რეალმა" ახალი სპონსორული კონტრაქტი გააფორმა. მომავალი სეზონიდან სამეფო კლუბის მაისურებს ავსტრიული ინტერნეტტოტალიზატორის, Bwin-ის რეკლამა დაამშვენებს. "ბეთ ენდი ვინი" "მილანისა" და "ვერდერის" სპონსორიცაა. მიმომხილველები ბევრს ეცადნენ გარიგების ფინანსური დეტალების გამხელას, მაგრამ მხოლოდ ის შეიტყვეს, რომ მადრიდელები 15-დან 20 მილიონამდე ევროს მოიხვეჭენ, დაახლოებით იმდენს, რამდენსაც დღევანდელი სპონსორი "ბენქ სიმენსი" უხდის. ეს კომპანია გაკოტრების რეჟიმში მუშაობს. მან "რეალთან" ხელშეკრულების გაგრძელება ვერ მოახერხა, თუმცა ესპანურ გრანდს სპონსორის შოვნა არ გასჭირვებია. იმასაც შეგახსენებთ, რომ გასულ ზაფხულს "ბეთ ენდ ვინი" "ბარსელონასთან" გარიგებას ცდილობდა. კატალონიელებმა საუკუნოვანი ტრადიცია არ დაარღვიეს და მაისურებზე კომერციული რეკლამის განთავსებაზე უარი თქვეს. სამაგიეროდ, სიმბოლურ ფასად მოურიგდნენ გაეროს და უკვე ერთი წელია, ბავშვთა ფონდ უნისეფს უწევენ პოპულარიზაციას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დევიდ ბექჰემი და რუუდ ვან ნისტელროი

ინტერვიუ რუუდ ვან ნისტელროისთან

სიბელესზე დიდ ფიესტას ვგეგმავთ, მზადება უკვე დაწყებულია

ჰოლანდიელს ოქროს ბუცზე ფიქრისთვის დრო არ რჩება, მთავარი კი, რა თქმა უნდა, ჩემპიონობაა...

პრიმერა დივიზიონის წლევანდელი საუკეთესო მეგოლე, რუუდ ვან ნისტელროი "სარაგოსასთან" სასიცოცხლო მატჩს უაღრესად ოპტიმისტურად ხვდება. ჰოლანდიელ ფორვარდს ეჭვი არ ეპარება, რომ სამეფო კლუბი არაგონელებს დაამარცხებს და ჩემპიონის ტიტულს დაესაკუთრება. ვან ნისტელროის სარაგოსაში გამგზავრებამდე "დიარიო ასის" კორესპონდენტი გაესაუბრა.

- "სარაგოსასთან" მატჩის მომზადებისას უამრავი ფეხბურთელი გაკლდათ. სანაკრებო პაუზის გამო, ფაბიო კაპელოს წამყვან ფეხბურთელებთან მუშაობის საშუალება არ მიეცა.

- გეთანხმებით. საკმაოდ უცნაური სიტუაცია იყო შექმნილი. ცუდია, როცა მწვრთნელს საიმისო საშუალება არ გააჩნია, რომ სრულ შემადგენლობასთან ერთად იმუშაოს და ტაქტიკური მონახაზები შეადგინოს. სხვათა შორის, კაპელომ უკმაყოფილება ჯერ კიდევ მაშინ გამოხატა, როცა ყველა აქ ვიყავით და ნაკრებებში წასასვლელად ვემზადებოდით. ძნელი მისახვედრი არ არის, რომ ერთად ვარჯიშს უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

- მოახლოებული მატჩის შესახებ "რეალის" შესახებ ხშირად საუბრობთ?

- რა თქმა უნდა. დღეს-დღეობით სხვა სალაპარაკო თემა არც გაგვაჩნია. ყველამ ვიცით, ჩემპიონობისთვის გამარჯვება გვჭირდება. შესაძლოა, ისეც მოხდეს, რომ "ბარსელონამ" "ესპანიოლთან" ქულები დაარიგოს, მაგრამ ცხადია, ამის იმედად ვერ ვიქნებით. უკვე ათი ფინალი გამოვიარეთ. ახლა კიდევ ერთი გადამწყვეტი შეხვედრის მოგება გვმართებს. "სარაგოსასთან" გამარჯვების შემდეგ სეზონის ბოლო მატჩს ამაღლებული განწყობით ჩავატარებთ და ჩემპიონობას ოფიციალურად გავიფორმებთ. ბიჭები შევთანხმდით, რომ ბოლო ორი თამაშიც ისევე უნდა წარვმართოთ, როგორც წინა ათი დაპირისპირება.

- ბექჰემი ინგლისის ნაკრებიდან მიკრო ტრავმით დაბრუნდა. როგორ ფიქრობთ, მოასწრებს დროულად გამოჯანმრთელებას?

- ამის დიდი იმედი მაქვს. მჯერა, "ლა რომარედაზე" ითამაშებს და როგორც ყოველთვის, დიდ დახმარებასაც გაგვიწევს. დევიდის მენტალიტეტიდან გამომდინარე, სრული სერიოზულობით შემიძლია განვაცხადო, რომ აუცილებლად გავა მოედანზე. ის უფრო სერიოზულ ტრავმებსაც არ შეშინებია.

- სამეფო კლუბის ხელმძღვანელობა ინგლისის საფეხბურთო ასოციაციის წინააღმდეგ გალაშქრებას ხომ არ გეგმავს?

- არ მგონია, ინგლისელებს ვუჩივლოთ. ნაკრებში თამაში და პატრიოტული ვალის მოხდა ყველა ფეხბურთელს სურს. ბექჰემი იძულებით არავის წაუყვანია. როცა მოედანზე გადიხარ ვერავინ მოგცემს საიმისო გარანტიას, რომ ტრავმას არ მიიღებ. მე ჩემს აზრზე ვრჩები და ვაცხადებ, რომ დევიდი "სარაგოსასთან" ნებისმიერ შემთხვევაში ითამაშებს.

- ხომ არ აჯობებდა, კაპელოს პარასკევის ვარჯიში საღამოს ჩაეტარებინა. ამ დროისთვის მის განკარგულებაში ყველა ფეხბურთელი იქნებოდა...

- რატომ, ახლა უკვე სრული შემადგენლობით ვართ შეკრებილები. ვარჯიში საკმაოდ ნაყოფიერი და სასარგებლო გამოდგა.

- როგორ გგონიათ, რომელ ტურში გახდებით ჩემპიონები? თქვენც ფიქრობთ, რომ კვანძი 17 ივნისს გაიხსნება?

- ჩემი აზრით, "ბარსელონა" და "სევილია" ორივე შეხვედრას მოიგებენ. აქედან გამომდინარე, სამეფო კლუბი ბოლო ტურში გახდება ჩემპიონი. გულშემატკივრებს ძალიან საინტერესო უქმეები ელით.

- როგორი ფეხბურთის თამაშია საჭირო იმისთვის, რომ "სარაგოსას" მოუგოთ და პირველი ადგილი შეინარჩუნოთ?

- უკვე მოგახსენეთ. ისევე უნდა ვითამაშოთ, როგორც განვლილ ტურებში. "რეალი" წინა შეხვედრებში ფანტასტიკურად გამოიყურებოდა. მიხარია, რომ სტაბილურად ვასპარეზობთ. "სარაგოსა" ძლიერი გუნდია, მაგრამ ჩვენ უფრო ძლიერები ვართ და მას აუცილებლად დავამარცხებთ. ერთი სული მაქვს, მატჩი როდის დაიწყება.

- ხუან რამონ კალდერონმა ოფიციალურად განაცხადა, რომ არიენ რობერის გადაბირება სურს. რას გვეტყვით ამის შესახებ?

- სიმართლე გითხრათ, ახლა ტრანსფერებზე ფიქრისთვის დრო არ მრჩება. თავში, მხოლოდ და მხოლოდ, პრიმერა დივიზიონის ბოლო ორი ტურის შეხვედრები მიტრიალებს. შესაძლოა, ვინმეს გაუკვირდეს, მაგრამ დღეს საერთოდ არ მაინტერესებს რა მოხდება მომავალ სეზონში. ივლისსა და აგვისტოში ყველა დაინახავს, რომელ ფეხბურთელებს დაიმატებენ სამეფო კლუბის ხელმძღვანელები.

- თქვენი აზრით, კაპელომ დირექტორატის სიმპათიის დაბრუნება თუ შეძლო? გააგრძელებს ის მუშაობას?

- რამდენადაც ვიცი, ფაბიო "რეალთან" კიდევ ორწლიანი კონტრაქტითაა დაკავშირებული. დღეს ის ჩვენი მწვრთნელია. სხვას ვერაფერს მოგახსენებთ. მიატოვიჩთან და კალდერონთან ამ თემაზე არასოდეს მისაუბრია.

- ბექჰემმა "რეალის" რენესანსში მთავარი როლი შეასრულა?

- უდავოდ. ბექსი სამეფო კლუბიდან საჩემპიონო ტიტულით წასვლაზე ოცნებობს. ეს ყველას ნატვრაა. ინგლისელმა კიდევ ერთხელ დაუმტკიცა მსოფლიოს, რომ გენიალური ფეხბურთელია. თამაში ისე არ ჩაივლის, რომელიმე თანაგუნდელს გოლი არ გაატანინოს. მისი პასები წარმატების წინაპირობაა. დევიდი დაცვაშიც ძალიან სასარგებლოა.

- რონალდოს "მილანში" გაყიდვის შემდეგ, საზოგადოებას ეჭვი გაუჩნდა, რომ გუნდის შემტევი პოტენციალი მნიშვნელოვნად შესუსტდებოდა. ამ პროგნოზის საპირისპიროდ, ფანტასტიკურად ათამაშდით და პრიმერა დივიზიონის საუკეთესო ბომბარდირთა დავაში ერთპიროვნულად დანინაურდით. წარმოიდგენდით, რომ მადრიდულ გრანდში ჩატარებული პირველივე სეზონი ამდენად შთამბეჭდავი იქნებოდა?

- გულწრფელად რომ გითხრათ, არ მეგონა, ამდენს თუ შევძლებდი. როცა ახალ კლუბში და მით უმეტეს, ახალ ქვეყანაში მიდიხარ, სრულიად განსხვავებულ ატმოსფეროში ხვდები. გარემოსთან შესაგუებლად დრო გჭირდება. მიხარია, რომ ადაპტაციასთან დაკავშირებული პრობლემები უმოკლეს დროში გადავლახე და მრავალი მნიშვნელოვანი გოლი შევაგდე. რა თქმა უნდა, ვიცოდი, რომ სერიოზული სირთულეები შემხვდებოდა, მაგრამ ამავდროულად იმასაც ვაცნობიერებდი, რომ ცხოვრებამ ახალი მაცდუნებელი გამოწვევა გამომიგზავნა. ცხადია, სამეფო კლუბში თამაშის განუმეორებელ შანსს ხელიდან არ გავუშვებდი. მადლობა ღმერთს, ყველაფერი კარგადაა...

- საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ჩემპიონის ვინაობას მართლაც ბოლო ტურრი გაარკვევს. საინტერესოა, ხანგრძლივი კარიერის განმავლობაში ამდენად დაძაბული სეზონი თუ ჩაგიტარებიათ?

- არა, ჩემს ცხოვრებაში ასეთი რამ პირველად ხდება. ჩვენ საფეხბურთო ემოციებით ვცოცხლობთ და ეს უდიდესი ბედნიერებაა. ფანტასტიკურ ქვეყანაში, ჩემპიონატში, ქალაქსა და კლუბში მოვხვდი.

- ხომ არავის უთქვამს, რომ წლების წინათ სამეფო კლუბმა ბოლო ტურში ზედიზედ ორჯერ დაკარგა ჩემპიონობა? ორივეჯერ "ტენერიფესთან"...

- წარმოდგენა არ მქონდა. პრინციპში ამას ახლა არანაირი მნიშვნელობა არ აქვს. მაშინ სულ სხვა ხალხი თამაშობდა და ჩვენ არაფერ შუაში ვართ. საქმის კეთება განუზომელ, ენით გამოუთქმელ სიამოვნებას გვანიჭებს. 17 ივნისისთვის სიბელესზე დიდ ფიესტას ვგეგმავთ, მზადება უკვე დაწყებულია...

- შაბათსვე რომ გახდეთ ჩემპიონები, მოესწრება ზეიმის ორგანიზება?

- სპონტანურობაში დიდი ხიბლია. მთავარია, ჩემპიონები გავხდეთ. ფიესტა კი ნებისმიერ შემთხვევაში დაუვიწყარი იქნება...

- სამი გოლი გჭირდებათ იმისთვის, რომ კარიერაში პირველად "ოქროს ბუცს" დაეუფლოთ. ეს ჯილდო მეორეხარისხოვანია, თუ?

- "ოქროს ბუცი" ერთგვარი პრემია, დამატებითი ჯილდო იქნება. უპირველესი ამოცანა კი ჩემპიონობაა. წინასწარ ვერაფერს იტყვი. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. სიმართლე გითრათ, "ოქროს ბუცზე" საერთოდ არ ვფიქრობ. თანახმა ვარ, "სარაგოსას" თუნდაც იკერ კასილიასის გოლით მოვუგოთ (იცინის). მერწმუნეთ, თუ შევნიშნავ, რომ თანაგუნდელი ჩემზე ოდნავ უკეთეს პოზიციაზე იმყოფება, არ გავრისკავ და მას პასს მივაწვდი.

- მხოლოდ გამარჯვება გაძლევთ ხელს. ხომ არ ფიქრობთ, რომ შეკვეთით მოგება ფსიქოლოგიურ წნეხთანაა დაკავშირებული?

- რა დროს ფსიქოლოგიური წნეხია? ეს დრო უკვე გამოვიარეთ. ახლა ისღა დაგვრჩენია, ბოლო თამაშები მოვიგოთ და მიღწეულით დავტკბეთ. სრული სერიუზულობით ვამბობ, რომ არანაირი წნეხი არ გვემუქრება. აბსოლუტურად თავისუფლად ვითამაშებთ...

ილია ნიკოლაიშვილი

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი. XXXVI ტურის წინ

დღეს პრიმერა დივიზიონს ნათელი მოეფინება

დღეს

ბარსელონა-ესპანიოლი
სარაგოსა-რეალი
ატლეტიკო-სელტა
ბეტისი-ოსასუნა
სოსიედადი-რასინგი
ლევანტე-ვალენსია
ვილიარეალი-ბილბაო
მალიორკა-სევილია

ხვალ

ხეტაფე-ჰინანატიკი
დეპორტივო-რეკრეატივო

დიახ, 37-ე ტურში კვანძი უნდა გაიხსნას. შაბათის შემდეგ უფრო გასაგები და მისახვედრი გახდება, რომელ გუნდს რა ბედი ერგება. "ხიმნასტიკი" ჯერჯჯერობით ერთადერთია, რომელიც უძლიერესთა ლიგას გამოემშვიდობა. შესაძლოა, მას დანარჩენი ორი კლუბი ამავე ტურში შეემატოს. რაც მთავარია, ამ უქმეებზე ჩემპიონობისთვის ბრძოლაში სიახლეებს ველით. თუ სამივე ლიდერი მოიგებს, სტატუს კვო შენარჩუნდება, მაგრამ ისიც ცხადი იქნება, რომ "რეალს" ხელს ვეღარაფერი შეუშლის. სამეფო კლუბი ბოლო ორთაბრძოლაში მშობლიურ "სანტიაგო ბერნაბეუზე" "მალიროკას" შეხვდება და წარმოუდგენელი იქნება, ვერ მოიგოს. ასე რომ, მადრიდული გრანდის უპირველესი კონკურენტის ერთადერთ ხელჩასაჭიდ იმედად "სარაგოსა" რჩება.

არაგონელებთან მატჩის მოსამზადებლად ფაბიო კაპელოს დრო თითქმის არ ჰქონდა. სანაკრებო შეხვედრების გამო სამეფო კლუბის ძირითადი შემადგენლობის თითქმის ყველა მოთამაშე საკუთარ ეროვნულ გუნდში წავიდა. ისინი მხოლოდ ხუთშაბათს დაბრუნდნენ, მაგრამ იმდენად დაღლილები იყვნენ, რომ პარასკევამდე ვერ ივარჯიშეს. კაპელოსთვის ყველაზე შემაშფოთებელი დევიდ ბექჰემის მდგომარეობაა. ბრიტანელი ვარსკვლავი ინგლისის ნაკრებიდან მიკრო ტრავმით დაბრუნდა. მას მარცხენა ტერფი ტკივა. მიუხედავად ამისა, ბექსი არაგონაში მაინც გაემგზავრა. ჟურნალისტებს მან პირდაპირ განუცხადა, თუ საჭირო გახდება, გამაყუჩებელ ინექციას გავიკეთებ და მოედანზე გავალო.

ვიქტორ ფერნანდესი და მისი ბიჭები ძალიან ოპტიმისტურად არიან განყობილები. მათ არ ავიწყდებათ, რომ მადრიდელებისთვის "სარაგოსა" ყოველთვის უხერხული მეტოქე იყო. არაგონელებს იმედი აქვთ, რომ ტრადიცია ამჯერადაც არ დაირღვევა. გუნდის უკლებლივ ყველა ფეხბურთელი გამარჯვებაში ბოლომდეა დარწმუნებული. მათი მოტივაციის განმტკიცებას უეფას თასის საგზურის მოპოვების ცხოველი სურვილი განაპირობებს.

კაპელოზე არანაკლებ დიდი პრობლემა ფრანკ რიიკაარდს აწუხებს. როგორც იცით, "ხეტაფესთან" მატჩში **რონალდინიომ** წითელი ბარათი მიიღო. კატალონიური გიგანტის იურისტებმა ფედერაციის სააპელაციო კომიტეტში სარჩელი შეიტანეს, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწიეს. ამის შემდეგ მათ ესპანეთის სპორტსმენთა დისციპლინარულ ნაციონალურ ბიუროში იჩივლეს. "ბარსას" მესვეურები დღემდე ცდილობენ დაამტკიცონ, რომ რონალდინიო **ბელენგერის** პროვოკაციაზე წამოეგო. სასწაული უნდა მოხდეს, რომ გაუჩოს "ესპანიოლთან" მატჩში მონაწილეობის უფლება დართონ. ამასობაში, რიიკაარდს თითქმის თვენახევრიანი პაუზის შემდეგ **რაფა მარკესი** დაუბრუნდა. სამედიცინო გამოკვლევისას დამტკიცდა, რომ მექსიკელი მცველი აბსოლუტურად გამოჯანმრთელდა. ბოლო ვარჯიში მარკესმა სრული დატვირთვით ჩაატარა. თუ ჰოლანდიელი მწვრთნელი საჭიროდ ჩათვლის, რაფა ძირითად შემადგენლობაში იასპარეზებს. რიიკაარდი განაცხადში შემდეგ ფეხბურთელებს ჩაწერს: **ვალდესი, ჟორკერა, პუიოლი, ტურამი, ოლეგერი, ვან ბრონკჰორსტი, ძამბროტა, მარკესი, მოტა, ჩავი, ინიესტა, დეკუ, ჟიული, მესი, გუდიონსენი, ესკერო, ეტოო.** ბატონ ფრანკს დიდი იმედი აქვს, რომ განაცხადში რონალდინიოს შეყვანის უფლებაც მიეცემა.

საკადრო პრობლემები აქვს ჩემპიონობის კიდევე ერთ მაძიებელს. "სევილიის" მთავარ მწვრთნელს, ხუანდე რამოსს სამედიცინო შტაბიდან შემაშფოთებელი ინფორმაცია აცნობეს. საქმე ის არის, რომ "მალიორკასთან" მატჩში ანდალუსიურ კლუბს **ფრედერიკ კანუტე** და **ალექსანდრ კერჟაკოვი** ვერ დაეხმარებიან. ორივე ფორვარდს ტრავმა აწუხებს. სენიორ რამოსი ამ ამბით უკიდურესად შეშფოთებულია, თუმცა მიაჩნია, რომ მის ბიჭებს ნამყვანი თავდამსხმელების გარეშეც შეუძლიათ სამი ქულის მოპოვება.

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. რეალი	36	22	6	8	61-37	72
2. ბარსელონა	36	21	9	6	71-30	72
3. სევილია	36	21	7	8	64-34	70
4. ვალენსია	36	20	5	11	52-35	65
5. სარაგოსა	36	16	10	10	52-40	58
6. ატლეტიკო	36	16	9	11	42-35	57
7. ვილიარეალი	36	16	8	12	44-43	56
8. ხეტაფე	36	14	10	12	38-30	52
9. რეკრეატივო	36	14	8	14	48-49	50
10. რასინგი	36	12	13	11	42-46	49
11. მალიორკა	36	14	6	16	40-44	48
12. ესპანიოლი	36	12	12	12	43-48	48
13. დეპორტივო	36	11	11	14	27-39	44
14. ოსასუნა	36	12	7	17	45-47	43
15. ლევანტე	36	9	12	15	33-49	39
16. ბეტისი	36	7	16	13	34-44	37
17. ბილბაო	36	9	10	17	41-59	37
18. სოსიედადი	36	8	9	19	29-44	33
19. სელტა	36	8	9	19	35-56	33
20. ხიმნასტიკი	36	6	7	23	32-64	25

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაიერნი. დიდი ტრანსფერების შემდეგ

ტონი და რიბერი, 100-მილიონიანი პაკეტი ვარსკვლავებისთვის

მერე რა, რომ ჩემპიონთა ლიგაში არ ითამაშებენ...



ლუკა ტონი, ბომბდამშენი

მსოფლიოს ჩემპიონმა **ლუკა ტონიმ** სერია A-ში პირველი კონტრაქტი 23 წლის ასაკში გააფორმა (ვიჩენცასთან). ამის შემდეგ კი "ბრეშიაში" მოხვდა, სადაც **რობერტო ბაჯოს** მხარდამხარ თამაშობდა - როგორც ამბობს, "ღვთაებრივი ცხენისკუდასგან" ბევრი რამ ისწავლა. ტონის მომდევნო გაჩერება "პალერმო" იყო. ამ გუნდის მაისურით 45 თამაშში 30 გოლი გაიტანა, მერე კი "ფიორენტინაში" მოხვდა. ლუკას ისეთივე მეტსახელი აქვს, როგორიც ლეგენდარულ **გერდ მიულერს** ჰქონდა: "ბომბდამშენი". იტალიის ეროვნულ ნაკრებში 27 მატჩი აქვს ჩატარებული (12 გოლი). 10 წელია, რაც ფოტომოდელ **მარტა ჩეკეტოსთან** ერთად ცხოვრობს (27 წლისაა).

ტონის სიმაღლე 1.94 მეტრია, წონა 94 კილოგრამი. 1997 წელს ლუკა საფეხბურთო კარიერის დასრულებაზე ფიქრობდა, რადგან პერსპექტივას ვერ ხედავდა. სწორედ მარტა გახლდათ ის ადამიანი, ვინც ტონის კარიერის დასრულება გადააფიქრებინა. ტონი, რომელიც მხატვრის შვილია, ბოლონიასთან ახლოს მდებარე სოფელ სტელაში დაიბადა. მას მიზანდასახული, გაწონასწორებული და პრაგმატულად მოაზროვნე ადამიანის სახელი აქვს.

ფრანკ რიბერი, ნაიარევი სახე

24 წლის **ფრანკ რიბერი**, რომელსაც სამფეროვნებში 14 თამაში აქვს ჩატარებული, საფრანგეთში **ზინედინ ზიდანის** მემკვიდრედ მიიჩნევა. შარშან ის ზიზუსთან ერთად მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი გახდა. ისევე, როგორც ზიდანი, რიბერიც მუსულმანია. ისლამი მან 2002 წელს, მეუღლის სიყვარულის გამო მიიღო. მისი ცოლი **ვაჰიბა ბელჰამია**, რომელიც ალჟირელი გახლავთ. წყვილს 2 წლის ქალიშვილი ჰყავს. რიბერის მუსულმანური სახელი ასე ჟღერს: ბილალ.

სახის მარჯვენა მხარეს იარები აქვს, რაც ბავშვობის დროინდელ ავარიას ახსენებს. 2 წლის იყო, როცა მამასთან ერთად იმ ავარიაში მოყვა, რომელმაც ეს იარები დაუტოვა. პლასტიკურ ოპერაციაზე ჯიუტად ამბობს უარს.

პირველი პროფესიული კონტრაქტი რიბერიმ 2004 წელს "მეცში" მიიღო. 2005 წელს 5 მილიონი ევროს სანაცვლოდ ის "გალათასარაიში" გადავიდა, სადაც თურქეთის თასი მოიგო. ამის შემდეგ ის უფასოდ გადავიდა მარსელის "ოლიმპიკში".

"ბაიერნის" გენერალური მენეჯერი **ული ჰაინესი** გუშინწინ გამართულ პრესკონფერენციაზე, რომელზეც მიუნხენურმა გიგანტმა ორი სუპერვარსკვლავი წარადგინა, ძალიან ამაყი და ბედნიერი იყო. ენაჭარტალა ულის საერთოდ, გაბრაზებაც იოლად ემჩნევა ხოლმე და სიხარულიც. შესაბამისად, ჩვენს გერმანელ კოლეგებს ჰაინესის სახეზე უდიდესი თვითკმაყოფილებისა და სიამაყის გრძნობის შემჩნევა არ გაუჭირდათ. თამამად შეიძლება ითქვას, რომ "ბაიერნის" შეფს აქვს იმის საფუძველი, მინიმუმ სეზონის დაწყებამდე გაჯგიმულმა იაროს - მან სიტყვა შეასრულა და მიუნხენური კლუბისთვის ძალიან სამარცხვინო სეზონის შემდეგ, მიუნხენში ორი სუპერფეხბურთელი ჩაიყვანა - ფრანგი დრიბლიორი, ფლანგის მცველების რისხვა **ფრანკ რიბერი** და იტალიური საგოლე მანქანა **ლუკა ტონი**. რიბერიმ შეტევის მარჯვენა ფლანგზე უნდა იბატონოს და ჩაწოდებებით მოამარაგოს ტონი, რომელიც მეტოქის საჯარიმოში დაიდებს ბინას, მზად იქნება, ბურთს ხან მარჯვენა ფეხი დაუხვედროს, ხან მარცხენა, უფრო ხშირად კი თავით გადაგზავნოს მონინააღმდეგის კარში - ლუკას მთავარი კოზირი ხომ სიმაღლე (1.94) და თავია.

30 წლის იტალიელი მეცხრე ნომრით იასპარეზებს და აღსანიშნავია, რომ **ჯოვანი ელბერის** შემდეგ, გოლეადორის ეს ნომერი არცერთ ღირსეულ თავდამსხმელს აღარ ჰქონია. ერთადერთი ფეხბურთელი, რომელსაც ლეგენდარული ბრაზილიელის შემდეგ ცხრანომრიანი მაისურა ემოსა, ირანელი **ვაჰიდ ჰაშემიანი** გახლდათ - ერთ-ერთი ყველაზე სამარცხვინო ფეხბურთელი "ბაიერნში" და უფასოდ ყველაზე სამარცხვინო ცხრიანი. "ბაიერნის" ქომაგები უკვე ამბობენ, სეზონში მინიმუმ 20 გოლი გარანტირებული გვაქვსო, რადგან ტონი, რომელსაც ბოლო წლებში გრანდიოზული მაჩვენებელი აქვს, სწორედ რომ გოლების გარანტიაა. თანაც, სერია A-ში ბომბარდირობას მიჩვეულს, წარმოუდგენელია, ბუნდესლიგაში გოლების გატანა რომ გაუჭირდეს. 24 წლის რიბერისაც დიდი პატივი ხვდა წილად - ის **მეჰმეთ შოლის** ნომრით (7) იასპარეზებს, რაზეც ბავარიული გიგანტის ქომაგებს გული ოდნავადაც არ სწყდებათ. მათი აზრით, შოლის ნომერს იდეალური პატრონი გამოუჩნდა.

ტონი 11 მილიონი ევრო ღირდა, რიბერი კი 25 მილიონი. ამას დაუმატეთ მათი ხელფასები და ისიც გაითვალისწინეთ, რომ ორივე მათგანმა ოთხწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი და გამოდის, რომ ტონისა და რიბერის ოთხწლიანი პაკეტი რეკორდმაისტერს დაახლოებით 100 მილიონი ევრო უჯდება. აი, ფორმულაც: (ტონი + რიბერი) x 4 = 100 მილიონი.

როგორც ხედავთ, მიუნხენელები აღარ ხუმრობენ და სხვა რამ არც იყო მოსალოდნელი, რადგან მხოლოდ და მხოლოდ, უეფას თასის საგზურის მოპოვება ამ გუნდისთვის სერიოზული შეურაცხყოფაა. შარშან ბავარიელებმა **ლუკას პოდოლსკი, დანიელ ვან ბუიტენი** და **მარკ ვან ბომელი** შეიძინეს. ამ კომპანიაში ვან ბომელი სუპერვარსკვლავი იყო. ტონი და რიბერი კი, ჰოლანდიელზე გაცილებით ძლიერები არიან. და ვიღას ახსოვს, რომ რეკორდმაისტერმა მომავალი სეზონისთვის **სოსა, ჰამით ალთინთოფი** და **იან შლაუდრაფიც** გადაიბირა? ფაქტობრივად, აღარავის.

"ძალიან ვამაყობ იმით, რომ მსოფლიო დონის ორი ვარსკვლავი შევიძინეთ. ამისთვის უდიდესი ძალისხმევა დაგვჭირდა. სეზონის დასრულების შემდეგ პირობა დავდეთ, რომ სერიოზულ ინვესტიციებს განვახორციელებდით და გუნდის სერიოზული გაძლიერებისთვის ფულს არ დავინანებდით. პირველი შედეგი სახეზეა - ტონისა და რიბერის "ბაიერნის" მაისურები უჭირავთ," - განაცხადა ჰაინესმა პრესკონფერენციაზე.

მერე მიკროფონი რიბერიმ იგდო ხელთ: *"ბაიერნს" ძალიან ცუდი სეზონი ჰქონდა, რის შემდეგაც კლუბმა მომავალი სეზონისთვის სერიოზული მიზნები დაისახა. დიდი მადლობა იმისთვის, რომ ჩემი გადმობირება ასე ძალიან გინდოდათ, თავს დაფასებულად ვგრძნობ. საუკეთესო გერმანულ კლუბში თამაში ჩემთვის დიდი პატივია. "ბაიერნზე" ვილი სანიოლმა ყველაფერი მიამბო. მითხრა, რომ აქ შესანიშნავი ატმოსფერო და მუდმივად ჩინებული განწყობაა. ეს ჩემთვის, როგორც ახალგაზრდა ფეხბურთელისთვის, ძალიან მნიშვნელოვანია."*

რიბერის შემდეგ სიტყვა ტონიმ ითხოვა: *"ის, რომ დღეს "ბაიერნის" ფეხბურთელი ვარ, კარლ-ჰაინც რუმენიგეს დამსახურებაა. იმისთვის, რომ ამ გუნდის მაისურა მომერგო, "ბაიერნმა" დიდი ფული დახარჯა. მინდა, რომ სამაგიერო გოლებით გადაგიხადოთ და ყველაფერს გავაკეთებ, რომ მოედანი უგოლოდ არცერთ თამაშში არ დავტოვო. გერმანიის ჩემპიონობა და უეფას თასის მოგება მინდა - ეს არის ჩემი მიზანი პირველ სეზონში!"* ტონის, რა თქმა უნდა, ჰკითხეს, ნუთუ, თქვენთვის პრობლემას არ წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ჩემპიონთა ლიგაში ვერ ითამაშებთო, რაზეც იტალიელმა ასეთი პასუხი გასცა: *"ჩემპიონთა ლიგის გარეშე როგორმე ერთ წელიწადსაც გავძლებ. ჩემი კონტრაქტი ოთხწლიანია."*

"ბაიერნი" 29 ივნისს შეიკრიბება. ცნობილი გახდა, რომ ტონი გუნდს მოგვიანებით შეუერთდება, რადგან ტრავმირებულია. რეკორდმაისტერი შეკრებას ჰონგ-კონგში გაივლის და იტალიელი გუნდს ვერც ამ შეკრებაზე გაჰყვება. არც რიბერის და არც ტონის, გერმანულად ერთი სიტყვაც კი არ ესმით. იტალიელი ჩვენს გერმანელ კოლეგებს დაპირდა, რომ უახლოეს მომავალში გერმანულის მასწავლებელს დაიქირავებს.

"ბაიერნის" ტრანსფერები რიბერითა და ტონით არ ამოწურულა. "ზე რობერტოსთან შეთანხმება მიღწეულია. ბრაზილიელი ჩვენთან ორწლიან კონტრაქტს გააფორმებს," - აცხადებს ჰაინესი. გასარკვევია **მიროსლავ კლოზეს** საკითხი. დიდი შანსია, რომ ბრემენელი მიუნხენში ახლავე გადაბარგდეს. ტონი: *"კლოზე? იმედია, ისიც გადმოვა. მირო შესანიშნავი ფეხბურთელია!"*

გოტფრიდ ლენცი

დალესანდრო სრულფასოვანი სარაგოსელია

არგენტინელი ფლეიმეიქერი **ანდრეს დალესანდრო** 1 ივლისიდან "რეალ სარაგოსას" სრულფასოვანი ფეხბურთელი გახდება. როგორც იცით, ეს უკანასკნელი ესპანურ კლუბში "ვოლფსბურგიდან" გახლდათ განათხორებული. "სარაგოსას" ხელმძღვანელებმა ახალგაზრდა არგენტინელის კონტრაქტის გამოსყიდვა გადაწყვიტეს და გერმანულ კლუბს დაახლოებით 5 მილიონ ევროს გადაუხდიან. "სარაგოსამდე" დალესანდრო "პორტსმუთში" გახლდათ განათხოვრებული (2006 წლის იანვრიდან 30 ივნისამდე). არგენტინელს ბუნდესლიგაში 61 თამაში აქვს ჩატარებული (8 გოლი). ამ სეზონში კი, "სარაგოსას" მაისურით 34 მატჩი ჩაატარა (2 გოლი).

პანტელიჩი, ბერლინიდან ჩელსიში?

ინგლისური გამოცემა "თაიმსი" იტყობინება, რომ ლონდონის "ჩელსიმ" ბერლინის "ჰერტას" სერბ თავდამსხმელს, **მარკო პანტელიჩს** დაადგა თვალი. მეტიც, ხსენებული გამოცემის ცნობით, არისტოკრატები ბერლინულ კლუბს პანტელიჩის სანაცვლოდ 4 მილიონ ევროს სთავაზობენ. შეგახსენებთ, რომ მარკო პანტელიჩი "ჰერტას" ამ სეზონში 14 გოლით შეეწია. თუ ტრანსფერი შედგა, სერბი ფორვარდი მეოთხე ფეხბურთელი იქნება, რომელიც "ჩელსიმ" ერთი წლის განმავლობაში ბუნდესლიგიდან გადაიბირა. ლონდონელებმა შარშან, ზაფხულში **მიხაელ ბალაკი** (ბაიერნიდან) და **ხალიდ ბულარუზი** (ჰამბურგიდან) გადაიყვანეს, ახლა კი **კლაუდიო პისაროს** გაუფორმეს კონტრაქტი.

ვოლფსბურგმა დი ნატალე მოისურვა

ფელიქს მაგათის დანიშვნის შემდეგ, "ვოლფსბურგი" სატრანსფერო ბაზარზეც გააქტიურდა. როგორც ჩვენი გერმანელი კოლეგები იტყობინებიან, "მგლებს" "უდინეზესა" და იტალიის ნაკრების თავდამსხმელის, **ანტონიო დი ნატალეს** გადაბირებაც სურთ. 29 წლის დი ნატალემ იტალიის ჩემპიონატში 11 გოლი გაიტანა, ოთხშაბათს კი, ლიტვასთან შეხვედრაში "სკუადრა აძურას" ძირითად შემადგენლობაში ითამაშა. "ბილდის" ცნობით, "ვოლფსბურგი" მზადაა, უდინურ კლუბს 6 მილიონი ევრო გადაუხადოს.

"გერმანული ფეხბურთი ძალიან მიყვარს. შანსი იმისა, რომ კარიერა "ვოლფსბურგში" გავაგრძელო, ძალიან დიდია. ვიცი, რომ ამ გუნდის თავკაცად ფელიქს მაგათი დაინიშნა, რაც თავისთავად იმას ნიშნავს, რომ "ვოლფსბურგს" გაისად დიდი ამბიციები ექნება." - ამბობს დი ნატალე "ვოლფსბურგერ" ალგემაინე ცაიტუნგისთვის" მიცემულ ინტერვიუში.

გერმანიის ლიგის თასის კალენდარი

გერმანიის ლიგის თასის წლევანდელი გათამაშება სტარტს 21 ივლისს აიღებს. როგორც იცით, ამ ტურნირში 6 გუნდი მონაწილეობს. ნლეუულს პირველად მოხდება ისე, რომ ლიგის თასზე მეორე ბუნდესლიგის გამარჯვებული გუნდი, ამ შემთხვევაში "კარლსრუე" ისაპარეზებს. ნილისყრა გუშინწინ გაიმართა. პირველ ეტაპზე "შალკე" "კარლსრუეს" დაუპირისპირდება, მეოთხეადგილოსანი "ბაიერნი" კი მესამეადგილოსან "ვერდერს". ჩემპიონი "შტუტგარტი" და გერმანიის თასის მფლობელი "ნიურნბერგი" ნახევარფინალში არიან. შვაბები 25 ივლისს "ვერდერსა" და "ბაიერნს" შორის გამარჯვებულს შეხვდებიან, ფრანკები კი, შესაბამისად, "შალკესა" და "შტუტგარტს" შორის მოგებულს (24 ივლისს). ფინალი 28 ივლისს გაიმართება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ ფრანც ბეკენბაუერთან

ყველაზე მეტად ტერორისტების გვეშინოდა

კაიზერი გვიმხელს, რომ ერთ-ერთი შეტყობინების თანახმად, ნიურნბერგის სტადიონს აფეთქებას უპირებდნენ...

ზუსტად ერთი წლის წინათ მსოფლიოს ჩემპიონატის გახსნის ცერემონიასა და უდიდესი საფეხბურთო ზეიმის პირველ შეხვედრას ველოდებოდით. დიახ, გერმანია 2006-ის სტარტიდან დღეს ზუსტად ერთი წელი შესრულდა - მუნდიალიდან, რომელიც იტალიელებმა მოიგეს. სამხრეთი აფრიკა 2010-მდე სამი წელია დარჩენილი. "ბილდისთვის" მიცემულ ინტერვიუში გასული მუნდიალის მთავარი ორგანიზატორი ფრანც ბეკენბაუერი არაერთ საინტერესო დეტალს იხსენებს.



კაიზერმა მუნდიალისას დაქორწინებაც მოასწრო

- ჰერ ბეკენბაუერ, ზუსტად ერთი წლის წინათ მთელი გერმანია უდიდესი საფეხბურთო ზეიმის დაწყებას მოუთმენლად ელოდა. საინტერესოა, ნერვიულობდით თუ არა პირადად თქვენ, როგორც მსოფლიოს ჩემპიონატის მთავარი ორგანიზატორი?

- სიმართლე გითხრათ, ეჭვი არ მეპარებოდა, რომ ყველაფერი კარგად იქნებოდა, რადგან მუნდიალის საორგანიზაციო კომიტეტს ყველაფერი უმაღლეს დონეზე ჰქონდა მომზადებული. თუმცა არ დაგიმალავთ, რომ მაინც გვეშინოდა, რაიმე გაუთვალისწინებელ პრობლემას არ ეჩინა თავი. 8 ივნისს ყველანი ერთმანეთს ვეკითხებოდით, ხომ არაფერი დაგვავიწყდა, ხომ არაფერი გამოგვრჩა და ა.შ. განსაკუთრებით ტერაქტების შიში გვქონდა.

- იყო იმის საფუძველი, რომ ტერორისტებს თავი ეჩინათ?

- დიახ, რა თქმა უნდა. მაგალითად, მივიღეთ შეტყობინება, რომ ნიურნბერგის სტადიონზე უდიდესი ტერაქტი მზადდებოდა. საბედნიეროდ, ასეთი რამ არ მომხდარა, თუმცაღა უსაფრთხოების ზომები უმაღლეს დონეზე იყო დაცული. გვეშინოდა, რომ ქალაქის ქუჩებში იქნებოდა აფეთქებები, რადგან თითქმის ყველა დიდ ქუჩაზე დიდი ეკრანები იყო დამონტაჟებული, სადაც ყოველდღიურად ათიათასობით ქომაგი იყრიდა თავს. 8 ივნისს ძალიან ვნერვიულობდი, მაგრამ როცა მეორე დილა გათენდა, უკვე ძალიან მშვიდად ვიყავი.

- სახლში თუ გაქვთ ისეთი რამ, რაც მუნდიალს გახსენებთ?

- სუვენირების შეგროვება არ მიყვარს. მსოფლიოს ჩემპიონატს ჩემი მეუღლე ჰაიდი და ბავშვები მახსენებენ. როგორც გახსოვთ, ჰაიდი და მე გერმანიასა და შვედეთს შორის მერვედფინალური მატჩის მეორე დღეს დავქორწინდით.

- ქორწილი მაინცდამაინც ამ დღეს რატომ დაგეგმეთ?

- მინდოდა, რომ ჩემს ქორწილს დიდი გამოხმაურება არ მოჰყოლოდა. მაგრამ შეცდომა დავუშვი და რამდენიმე ადამიანს ჯერ კიდევ მუნდიალის დაწყებამდე ვუთხარი, ამა და ამ დღეს ვიქორწინებ-მეთქი. მათ კი "ჩამიშვეს" და საბოლოო ჯამში ყველაფერი ისე არ გამოვიდა, როგორც მინდოდა. ყველა ღონე ვიხმარე იმისათვის, რომ ქორწილზე დიდი აჟიოტაჟი არ ყოფილიყო, მაგრამ ამას მაინც ვერსად გავექეცი. ესეც არ იყოს, 23 ივნისი დედაჩემის დაბადების დღეა, რომელიც 2006 წელს გარდაიცვალა და ჩემ მიერ ორგანიზებულ მუნდიალს ვერ მოესწრო.

- როგორ ფიქრობთ, მოესწრებით კიდევ ერთ მუნდიალს გერმანიაში?

- შესაძლოა, ევროპის ჩემპიონატს მოვესწრო, რომელიც გერმანიაში ჩატარდება. მსოფლიოს ჩემპიონატს ჩვენს ქვეყანაში კი, ვეღარ ვნახავ. თუკი ევროპის ჩემპიონატის მონაწილე გუნდების რიცხვს 24-მდე გაზრდიან, ასეთი ტურნირის ორგანიზება ევროპის ბევრ ქვეყანას გაუჭირდება. რაც შეეხება მუნდიალს - გერმანია მას ალბათ მინიმუმ 50 წელი უნდა ელოდოს.

- ხომ შეიძლება, რომ 2010 წელს სამხრეთ აფრიკას ხელი შეეშალოს?

- ეს თემა უკვე ამოწურულია. მსოფლიო უნდა დაიქცეს იმისათვის, რომ მუნდიალი სამხრეთ აფრიკაში არ ჩატარდეს. თუკი მართლაც რაიმე გაუთვალისწინებელებელ შემთხვევას ჰქონდა ადგილი, მაშინ მსოფლიოს ჩემპიონატს ინგლისელები ან ამერიკელები ჩაატარებენ.

- დროის უკან დაბრუნება რომ შეგეძლოთ, რას ინატრებდით?

- პირველ რიგში იმას, რომ გერმანიის ნაკრები ფინალში გასულიყო, მაგრამ ნახევარფინალური დრამა იტალიელებთან იმდენად ლამაზი და გულისამაჩუყებელი იყო, რომ ვერც იმ წამებს შეველევი, მიუხედავად იმისა, რომ გერმანია დამარცხდა. შესანიშნავი გრძნობა იყო, როცა პორტუგალიასთან მოგებული თამაშის შემდეგ ჩვენი კანცელერი გადამეხვია. მოკლედ, დროის უკან დაბრუნება რომ შემეძლოს, მხოლოდ და მხოლოდ ფინალს გავიმეორებდი.

- რატომ?

- ...რომ ზიდანისთვის კიდევ ერთი შანსი მიმეცა. ზიზუს ასეთი სამარცხვინო გამოთხოვება არ დაუმსახურებია. ერთი სიტყვით, მუნდიალზე არაფერს შევცვლიდი, გარდა იმ ერთი მომენტისა, როცა ზიდანი მატერაცის თავს ურტყამს.

- გაიხსენეთ ის მომენტი...

- ზიდანსა და მატერაცის არ ვუყურებდი, რადგან თამაში არ შეჩერებულა. უცებ, გავიხედე და იტალიელი ძირს ეგდო. როგორც ჩანს, მეოთხე მსაჯმა მომენტი განმეორებით ნახა, რის შემდეგაც ყველაფერი მთავარ არბიტრს უთხრა.

- ზიდანზე ნაწყენი ხართ?

- ძალიან გავბრაზდი და ვერ ვიჯერებდი, რომ ასეთმა დიდმა ფეხბურთელმა ასეთი რამ ჩაიდინა. მიუხედავად იმისა, რომ მატერაციმ ძალიან ცუდი სიტყვები უთხრა, ასე არ უნდა მოქცეულიყო. მაგრამ ზიზუ ისეთი კაცია, რომ მას ყველამ ყველაფერი აპატია. მათ შორის მეც.

- ახლა ფიფას საფეხბურთო კომისიის შეფი ხართ. შეგიძლიათ, წესები შეცვალოთ?

- შეცვლა არ შემიძლია, მაგრამ შეთავაზება ჩემს კომპეტენციაში შედის.

- მუნდიალის შემდეგ იურგენ კლინსმანს თუ ესაუბრეთ?

- არა. კლინსისთან საუბრის მიზეზი არ მქონია.

- კლინსმანი, ისევე, როგორც რუდი ფიოლერი, 1990 წელს თქვენს ხელში გახდა მსოფლიოს ჩემპიონი. მოგვიანებით ორივე მათგანი გერმანიის ნაკრების თავკაცად დაინიშნა. რუდისთან თუ გაქვთ ურთიერთობა?

- რა თქმა უნდა. ფიოლერი გერმანიაში ცხოვრობს და "ლევერკუზენში" მუშაობს, რის გამოც მასთან ხშირი კავშირი მაქვს. იურგენი კი კალიფორნიაშია, გერმანიაში იშვიათად ჩამოდის. მან ბუნდესგუნდში უდიდესი სამუშაო გაწია და მოკლე დროში ნაკრებს წარმოუდგენელი პროგრესი განაცდევინა.

- ტორსტენ ფრინგსი იტალიასთან დისკვალიფიცირებული იყო. როგორ გგონიათ, რომ ეთამაშა, ფინალში გავიდოდით?

- ფრინგსის სახით გუნდს უმნიშვნელოვანესი ფიგურა აკლდა, ეს ცხადია. როცა დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს, ზეპ ბლატერს ვესაუბრე, მაგრამ ფიფამ აპელაციაზე უარი გვითხრა, რადგან ვიდეოფირზე აშკარად ჩანდა, რომ ტორსტენი არგენტინასთან მატჩის შემდეგ მუშტებს იქნევდა. ფრინგსი დამნაშავე იყო და მისი დასჯა სამართლიანი გადაწყვეტილება გახლდათ. ტორსტენმა ეს თავის თავს უნდა დააბრალოს.

- ვინ იხეირა ყველაზე მეტად მუნდიალიდან?

- ყველამ! პირველ რიგში კი გულშემატკივრებმა - მათ ჩინებული სანახაობა იხილეს. მთავარი მიზანიც ეს იყო - ფეხბურთს ხომ გულშემატკივრებისთვის თამაშობენ...

გოტფრიდ ლენცი

რობერტო კარლოსი

რობერტო კარლოსი

დიდი ერთმოყვარე

"რეალში" გატარებული 11 სეზონის შემდეგ, 34 წლის რობერტო კარლოსმა მადრიდი დატოვა. ესპანური გრანდის შემადგენლობაში კარლოსმა სამჯერ გაიმარჯვა ჩემპიონთა ლიგაში და ამდენჯერვე გახდა ესპანეთის ჩემპიონი. ამას გარდა, მისი იქ ყოფნისას, კლუბმა ოთხი პრეზიდენტი და ათი მწვრთნელი გამოიცვალა. მოდით, გავიხსენოთ ბრაზილიელი ლატერალის პირნეული კარიერა...

ხელგაშლილი ლორენსო სანსი

სამეფო კლუბში **რობერტო კარლოსის** ერას **ფაბიო კაპელომ** დაუდო სათავე. სწორედ იტალიელი მწვრთნელი ჩაუდგა სათავეში "რეალს" 1996 წელს და კლუბის მაშინდელი პრეზიდენტი **ლორენსო სანსი** დაარწმუნა, რომ 23 წლის მცველის ტრანსფერი უნდა გამოესყიდა. მაშინ, კარლოსი "ინტერში" თამაშობდა და... კაპელოც ტკბებოდა მისი თამაშით. სიმბოლურია, რომ ჩვენი გმირის ესპანური ბიოგრაფიის თავიც დონ ფაბიოს ხელმძღვანელობით თავდება.

რობერტო კარლოსის ევროპული კარიერა სერია A-ში "ფალსტარტით" დაიწყო. "ნერაძურის" მწვრთნელი **როი ჰოჯსონი** "პალმეირასიდან" გადმობარგებულს გულმოდგინედ "კეტავდა" ნახევარდაცვის ფლანგზე და "ექსკლუზიური გარბენებისთვის" სივრცეს უხშობდა. სანსმა კი ყურადღებით მოუსმინა კაპელოს, რომელმაც ახალგაზრდა ბრაზილიელის ნამდვილი პოტენციალი დაინახა და 6 მილიონი დოლარიც არ დაინანა. ეს თანხა ორჯერ აღემატებოდა ერთი წლით ადრე "პალმეირასის" მიერ მიღებულ თანხას...

სამეფო კლუბის ინჩადა აღფრთოვანებით შეხვდა კაპელოს პროტეჟეს. კარლოსზე ცნობილი იყო ის, რომ წელიწადნახევრის წინათ მან "სელესაოს" მარცხენა ფრთაზე ადგილი მემკვიდრეობით მიიღო **ბრანკოსგან**, რომ 100 მეტრის გარბენისთვის მას 11 წამზე ნაკლები სჭირდება და ისიც კი, რომ მისი მარცხენათი დარტყმულ ბურთს შეუძლია, საათში 150 კმ სიჩქარე განავითაროს. ინჩასებს საკუთარი თვალით უნდა ენახათ ეს ყველაფერი. 1996/97 წლების სეზონის მესამე ტურში კარლოსმა საუცხოოდ წარუდგინა თავი "სანტიაგო ბერნაბეუზე" შეკრებილ მაყურებელს, როცა "ბეტისს" ფანტასტიკური გოლი გაუტანა. მიუხედავად იმისა, რომ კარისკენ გაგზავნილი ბურთის სიჩქარე საათში 140 კმ-ს უდრიდა, ესეც საკმარისი იყო იმისთვის, რომ მადრიდს ახალბედა აღფრთოვანებით მიეღო.

კარლოსის სადებიუტო სეზონი ჩემპიონის ტიტულით დაგვირგვინდა, მომდევნო კი ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვებით. თუმცა ევროტრიუმფი უკვე გერმანელი **იუპ ჰაინკესის** ხელმძღვანელობით მოხდა. 1997 წლის ზაფხულში **სილვიო ბერლუსკონიმ** კაპელოს ისეთი წინადადება შესთავაზა, რაზეც უარს ვერ იტყოდა. მოკლედ, კაპელო "მილანში" დაბრუნდა. სანსი ძლიერ განიცდიდა იტალიელთან განშორებას, ის დიდხანს ვერ პოულობდა მის შემცვლელს. ჰაინკესი კი ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვების "საპასუხოდ" დაითხოვეს. **ხოსე ანტონიო კამაჩომ** სამი კვირის განმავლობაში ვერც მოასწრო შეგირდების გაცნობა, **გუუს ჰიდინკს** კი სანსმა მხოლოდ 1999 წლის თებერვლამდე გაუძლო. მწვრთნელთა მისვლა-მოსვლამ მაინც ვერ შეარყია "რეალში" რობერტო კარლოსის მყარი პოზიცია. ის და **რაული** კლუბის ურყევ ბურჯებად რჩებოდნენ...

ბზარი ურთიერთობაში

2000/01 წლების სუპერსეზონი, როცა რობერტო კარლოსი და მისი მეგობრები საუკეთესონი გახდნენ არა მარტო ესპანეთში, არამედ ევროპაშიც, ვერ დაეხმარა ლორენსო სანსს, ახალი საპრეზიდენტო ვადით აერჩიათ. მისმა შემცვლელმა **ფლორეტინო პერესმა** ამოირჩია საკუთარი, გალაქტიკური გზა სატრანსფერო ბაზარზე. მოთამაშის სარგებლიანობა ფასდებოდა არა სათამაშო ღირსებებით, არამედ კომერციული პერსპექტივისა და პოპულარობის მხრივ, და უპირველეს ყოვლისა, აზიურ ბაზარზე. თუმცა ახალ პირობებშიც კი კარლოსი შეუცვლელი და განუმეორებელი დარჩა.

2003 წელს რობერტო კარლოსისა და "რეალის" ხელმძღვანელობას შორის ბზარი გაჩნდა. პერესმა მოულოდნელი ნაბიჯი გადადგა - კარისკენ მიუთითა **ვისენტე დელ ბოსკეს**, რომელმაც ის-ის იყო, ოქრო მოიგო, ერთი წლით ადრე კი ჩემპიონთა ლიგაც. პერესის პოლიტიკაში გაურკვევლობამ და კონტრაქტის გახანგრძლივებაზე გაჭიანურებულმა საგამ წარმოშვა ხმები, "სანტიაგო ბერნაბეუსთან" კარლოსის დამშვიდობების შესახებ. "ინტერი" და "ჩელსი" მზად იყვნენ, დიდი სიამოვნებით მიეღოთ ბრაზილიელი, მიუხედავად იმისა, რომ იმ მომენტში 30 წელს გადააბიჯა...

სამეფო კლუბთან კონტრაქტი კარლოსმა მაინც მიიღო, მაგრამ ამასთან ერთად, დაიწყო "რეალის" დაცვის მარცხენა ფლანგზე მისი მემკვიდრის ძიება. თუმცა ბრაზილიელი კვლავ არწმუნებდა **კარლუშ კეირუშსაც, ხოსე ანტონიო კამაჩოსაც, ვანდერლეი ლუქსემბურგოსაც** და მათ შემცვლელებსაც, რომ კლუბისთვის მეტად სასარგებლო მოთამაშე იყო. პერესის მხრივ, **ეშლი კოულით, ჯანლუკა ძამბრატითი, მაქსველით** და სხვა ცნობილი ფიგურებით დაინტერესების შესახებ ათასგვარი ინფორმაციის ფონზე, რობერტო კარლოსი კლუბის ყველაზე სტაბილურ მოთამაშედ რჩებოდა. როგორც იტყვიან, მას ძვრას ვერ უშვებოდნენ...

სჭირდება კარლოსს თურქეთის სანაპირო?

მადრიდიდან ასაბარგებლად კარლოსი ჯერ კიდევ შარშან ზაფხულში მოემზადა. მას სულაც არ შთააგონებდა ახალი პრეზიდენტის **რამონ კალდერონის** არჩევის შედეგად დაწყებული ცვლილებები. ათი წლის შემდეგ "სანტიაგო ბერნაბეუზე" დაბრუნებულ ფაბიო კაპელოსაც კი აღარ ჰქონდა ყოფილ პროტეჟესთან ძველებურად თბილი დამოკიდებულება. "ფენერბაჰჩესთან" პირადი შეთანხმებისა და ყველა დეტალის გარკვევის შემდეგ, კარლოსმა აღმოაჩინა, რომ თურქულ კლუბს არ სურდა "რეალისთვის" მისი სატრანსფერო თანხის გადახდა. მან გადაწყვიტა, დალოდებოდა ზაფხულს, როცა სამეფო კლუბთან კონტრაქტს ყავლი გაუვიდოდა...

სეზონის მიმდინარეობისას, კალდერონმა ბრაზილიაში კარლოსის "კლონი", ახალგაზრდა **მარსელო** მონახა, მაგრამ "ასლი" ჯერ ვერც კი შეედრება "ორიგინალს". თავისი თამაშით უფრო მეტ პატივისცემას იმსახურებს **მიგელ ტორესი** (ამასწინათ, თბილისში ესპანეთის ახალგაზრდული ნაკრების შემადგენლობაში ითამაშა), რომელიც, როგორც ჩანს, დიდი ბრაზილიელის მემკვიდრეობას მიიღებს...

ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ კარლოსი კიდევ სამ-ოთხ წელს ითამაშებდა ისეთ გუნდებში, როგორებიცაა "ბეტისი" ანდაც "ვილიარეალი", მაგრამ ჩანს, ეს კლუბები ფინანსურად ძლიერნი არ არიან. ასეა თუ ისე, 34 წლის ლატერალმა ნათელი კვალი დატოვა ესპანურ ფეხბურთში და სამეფო კლუბის ისტორიაში ერთ-ერთ უდიდეს ფეხბურთელად იქცა...

მოამზადა დავით ჩუბინიძემ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

GEORGIA

კალათბურთი



სტეფანია: NBA-ს დესპანი ჩინეთში

როგორც ყველა კალათბურთელი, აქტიური კარიერის დარსულების შემდეგ ვლადიმერ სტეფანია სპორტის საყვარელ საქმიანობაში დარჩენაზე დაფიქრდა და ორიგინალურ საქმესაც მიაგნო - NBA-ს სათაო ოფისში საერთაშორისო განყოფილების მიერ წამოწყებულ საქმიანობაში ჩაერთო. ამ საქმეზე ვოვა თავად გვესაუბრება, ჩვენი მხრიდან კი დავძენთ, რომ მას კარიერა ჯერ არ დაუსრულებია...

- მწვრთნელი მყავს დაქირავებული და მასთან ერთად თითქმის ყოველდღე ვვარჯიშობ. ზოგჯერ დღეში ორჯერაც ჯანმრთელობის მხრივ თავს კარგად ვგრძნობ, მაგრამ ისე არ ვარ, რომ მაღალ დონეზე ვითამაშო.

- ამ დონემდე მიღწვას მომავალი სეზონის წინ თუ შეძლებ?

- სწორედ მაგას ველი, თორემ ევროპის დაბალი დონის გუნდში დღესაც შემიძლია თამაში.

- ისევ NBA-ში აპირებ კარიერის გაგრძელებას?

- მომავალ კლუბზე არ ვფიქრობ. მით უმეტეს, რომ ისიც არ ვიცი, ფეხი თამაშის საშუალებას მომცემს თუ არა. გუშინწინ სპრინტი ვირბინე და კმაყოფილი დავრჩი, მაგრამ ვგრძნობ, რომ რაღაც მაკლია. პროგრესი იმდენად სწრაფი არ არის, როგორც მე მსურს. მუხლის ტკივილი ხანდახან თავსაც მახსენებს.

- როგორც გავიგე, NBA-ში დაგიწყია მუშაობა...

- შეიძლება ითქვას, რომ ფეხი შევდგი, მაგრამ ეს მხოლოდ მუშაობის დაწყების მცდელობაა. თუ მეც კმაყოფილი დავრჩი და NBA-ს ოფისის წარმომადგენლებიც თანამშრომლობა მაშინ გაგრძელდება.

- რა საქმეს აკეთებ?

- ჩინეთში გასამართი კემპების ორგანიზატორიც ვიქნები, მწვრთნელიც... მოკლედ, ხან ჩასტვენა მომიწევს, ხან რჩევა-დარიგებების მიცემა და ხან დოკუმენტებისშ ევსება.

- ეს საქმე ვინ შემოგთავაზა?

- თავიდან დავიწყებ. თებერვლის შემდეგ ფორმის აღდგენის პროცესი ცოტა შენელდა. ამიტომ გადავწყვიტე ნიუ იორკში NBA- მთავარ ოფისში მივსულიყავი. ვუთხარი - თამაშს აღარ ვაპირებ და მინდა, კალათბურთში დავრჩე, 7 წელიწადია აქ ვცხოვრობ და გამოცდილება მაქვს. თუ რამეში გამოგადგებით, ხომ კარგი, თუ არა - ჩემი გზით წავალ-მეთქი. თავიდან ალმაცერად შემომხედეს და მითხრეს - მოვიფიქრებთო. ზუსტად ორ დღეში დამირეკეს და ოფისში დამიბარეს. მეორე მისვლაზე NBA-ს საერთაშორისო ორგანიზაციის პრეზიდენტს შევხვდი და ავუხსენი, რომ საჭირო გაკვეთილებს ახლაც ვიღებ, 6 ენა ვიცი და კავშირებიც მაქვს... ამის მერე პრეზიდენტს ინტერესი აშკარად დაეტყო და მკითხა - რა საქმეს შეუდგებიო? ავტომექანიკოსს კერვა რომ დაავალო, ასეთ სიტუაციაში აღმოვჩნდებოდლი, რომ მეთქვა - დილიდან საღამომდე ოფისში ვიჯდები-მეთქი. საბოლოოდ შევთანხმდით, რომ საცდელი ვადით ჩინეთის კემპებზე უნდა გავემგზავრო, მწვრთნელიც ვიყო, მენეჯერიც და ორგანიზატორიც. რთული სამუშაო იქნება, მაგრამ ერთ ადგილას დილის 9 საათიდან საღამოს 6-მდე ჯდომას კი მერჩივნა.

- ჩინეთში როდის მიემგზავრები?

- განრიგი სწორედ დღეს მივიღე. ღონისძიება 4 ივლისს იწყება და 5 აგვისტომდე გასტანს. იგი რამდენიმე ქალაქს მოიცავს.

- 5 აგვისტოს მერე რას აპირებ?

- შემდეგ კორეაში იმართება კემპი, მას იორდანია და ისრაელი მოსდევს, მაგრამ იმ დროს საქართველოს ნაკრების შეკრება ემთხვევა და მინდა, თბილისში ჩამოვიდე. თუმცა აგვისტომდე დიდი დროა და ჯერ გადაწყვეტილი არაფერი მაქვს.

- ნაკრებთან ერთად მომზადება რომ შემოგთავაზონ?

- როგორც უკვე აღვნიშნე, აგვისტოს გეგმებზე ჯერ არ ვფიქრობ, თუმცა ნაკრებთან ერთად თავი უფრო გვერდიდან წარმომიდგენია - მინდა მოთამაშეებს გვერდში დავუდგე და ჩემი გამოცდილება გავუზიარო, რადგან მიმაჩნია, რომ დღესდღეობით ზღურბლთან ვდგავართ - თუ A დივიზიონში წლეულს ვერ გადავედით, საქმე კატასტროფულად გვექნება. ამიტომ, ვისაც რითი შეუძლია, ნაკრებს იმით უნდა დაეხმაროს.

ვაჟა სიმონიშვილი

საქართველოს ნაკრები

ვინ არის მელვინ სენდერსი?

ახალი ქართველი, რომელიც წლეულს არ დაგვეხმარება

შემონდ უილიამსისა და ტაირონ ელისის შემდეგ საქართველოს მოქალაქეობა მესამე ამერიკელმა მიიღო. ახალი ქართველის სახელია **მელვინ სენდერსი**. იგი 1981 წელსაა დაბადებული, 196 სმ. სიმაღლისაა, მსროლელადაც შეუძლია თამაში და მსუბუქ ფორვარდადაც.

ვიდრე მის განვლილ კარიერაზე მოგახსენებდეთ, გეტყვით, რომ სენდერსის გაქართველების ამბავი სრულიად შემთხვევით "პო ორტეზის" საიტზე აღმოვაჩინე: გუნდის შემადგენლობაში ერთ-ერთი კალათბურთელის გვერდით ფრანგული შრიფტით "GEO" ეწერა. ვიდრე გვარს დავხედავდი, გავიფიქრე, ეგებ ჰერბერტმა საქართველოს ნაკრების რომელიმე წევრი თავისთან მიიწვია-მეთქი, მაგრამ გვარი ამერიკული აღმოჩნდა - სენდერსი.

როგორც აღმოჩნდა, იგი საფრანგეთში იანვარში ჩავიდა და მალე გუნდის ლიდერადაც იქცა (ჩემპიონატში 12 მატჩი ჩაატარა, საშუალოდ 12.2 ქულას, 3.4 მოხსნასა და 1.8 პასს აგროვებდა). მანამდე, მელვინი ამერიკაში "სან ანტონიოს" ღირსებას იცავდა (ამ სეზონში სულ 4 მატჩი ჩაატარა), ევროპაში კი "მონტეპასკისა" და ბელგიურ "ოოსტენდეში" ცდიდა ძალებს.

ახლა მთავარ კითხვას ვუპასუხოთ - ითამაშებს თუ არა სენდერსი საქართველოს ნაკრებში? სავარაუდოდ, მელვინი წლეულს არ დაგვეხმარება, რადგან ფიბა-ს კანონმდებლობით, ნებისმიერ ნაკრებს მხოლოდ ერთი ნატურალიზებული კალათბურთელის დამატების უფლება აქვს. ჩვენთან კი უკვე თამაშობს **ტაირონ ელისი**, რომელსაც "ნაპოლის" შემადგენლობაში კარგი სეზონი ჰქონდა.

მაშ, რატომ გახდა საჭირო სენდერსისთვის საქართველოს პასპორტის მიცემა? ამ კითხვით კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტ **ბესიკ ლიპარტელიანს** მივმართეთ...

მელვინ სენდერსი

- გეხსომებათ, რომ შარშანწინ შემონდ უილიამსის ჩამოყვანასთან დაკავშირებით სერიოზული დაბრკოლებები შეგვხვდა. მსგავსი პრობლემებისგან თავის დაზღვევის მიზნით, საჭიროდ მივვაჩნია სათადარიგო ვარიანტის არსებობა. ამიტომ წლეულს ორი კალათბურთელის ნატურალიზება ვცადეთ. მელვინ სენდერსი გორდონ ჰერბერტმა გვირჩია და მასთან შეთანხმებას მალევე მივაღწიეთ, ხოლო მეორესთან მოლაპარაკებები ისევ მიმდინარეობს. აქვე გეტყვით, რომ სენდერსის გაქართველება იმას არ ნიშნავს, რომ ტაირონ ელისზე უარს ვამბობთ. ტაირონი წლეულს აუცილებლად ითამაშებს, ხოლო მელვინი სათადარიგო ვარიანტია. თუ გაისად ელისმა უარი გვითხრა, სენდერსი დაგვეხმარება," - გვითხრა ბესიკ ლიპარტელიანმა.

აქვე ერთ ახალ ამბავს გეტყვით - საქართველოს ნაკრების ყოფილი წევრი, **შემონდ უილიამსი** ევროპაში ბრუნდება. იგი მოლაპარაკებებს აწარმოებს ესპანურ "ვალენსიასთან" და თუ რამე მოულოდნელი არ მოხდა, იგი გაისად პირენეებზე ითამაშებს. რადგან საქმე ჯერ არაა გაჩარხული, შემონდის საქართველოს ნაკრებში დაბრუნებაზე საუბარსაც აზრი არ აქვს, მაგრამ ხომ შეიძლება უილიამსს ესპანეთში ჩამოსვლის შემდეგ ჩვენც გავახსენდეთ? ასეთ შემთხვევაში დაისმევა კითხვა: უილიამსი თუ ელისი? ...თუ სენდერსი?

ვაჟა სიმონიშვილი

გიორგი ცინცაძისა და მანუჩარ მარკოიშვილის შემდეგ, ვლადიმერ ბოისა გახდა მესამე ქართველი, ვინც წლევანდელ სეზონში ჩემპიონობისთვის იბრძოლებს თავის კლუბში.

ლეგიონერი

ბოისაც ფინალშია

როგორც იცით, ცინცაძე უკვე გახდა ესტონეთის ჩემპიონი, მარკოიშვილს კი სლოვენიურ ოქრომდე ერთი მოგება აშორებს. ამჯერად, **ვლადიმერ ბოისას** "მონტეპასკი" გავიდა იტალიის ჩემპიონატის ფინალში.

არადა, როცა გავიგეთ, რომ ნახევარფინალურ ეტაპზე, "მონტეპასკის" მეტოქე რომაული "ლოტომატიკა" იქნებოდა, გვარიანად დავეჭვდით სიენელების შანსებში. ამის საფუძველს გვაძლევდა ამ გუნდებს შორის გამართული ბოლო შეხვედრების სტატისტიკა. შარშანდელ სეზონში, "ლოტომატიკამ" მეოთხედფინალური სტადიიდან დაიფრინა ბოისას გუნდი, წლეულს კი რეგულარულ ჩემპიონატშიც ორივე მატჩი მოუგო და იტალიის თასსაც გამოთიშა.

თუმცა, რომაელთა "უხერხული" მეტოქეობა მხოლოდ ნახევარფინალის პირველ მატჩამდე გაგრძელდა. ამის შემდეგ კი "მონტეპასკიმ" დედაქალაქელების დამარცხების წამალი იპოვნა და შინ თუ სტუმრად, ზედიზედ სამჯერ მოგებით სულ ცხვირში ძმრად ამოადინა "ლოტომატიკას" ძველი წყენა.

ნახევარფინალური სერიის მეოთხე მატჩი რომში გაიმართა. თუკი "მონტეპასკი" მოიგებდა, ფინალში გადიოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, რჩებოდა სიენაში გასამართი გადამწყვეტი შეხვედრა. თუმცა, ქართველის კლუბმა საქმე იქამდე არ მიიყვანა და რომშივე მოამთავრა ყველაფერი. "ლოტომატიკამ" 50-ქულიანი ზღვარიც კი ვერ გადალახა და 49:70 წააგო.

ბოისას მონაგარი დაახლოებით იგივე იყო, რაც წინა მატჩში. საქართველოს ნაკრების კალათბურთელმა 8 წუთში, კვლავ უქულოდ დატოვა მოედანი. ამას გარდა, მან ორი ორქულიანი და ერთიც სამქულიანი ააცილა, სამი მოხსნა გააკეთა, ოთხჯერ კი დაჯარიმდა.

"მონტეპასკიში" ათი და მეტი ქულა ოთხმა კალათბურთელმა ჩააგდო. **ბაქსტერმა** და **სატომ** 15-15 ქულა მიითვალეს, **კაუკენასმა** - ერთით ნაკლები, ხოლო **სტეფანოვმა** 10 ქულა ჩააგდო.

ამრიგად, სიენელებმა სერია 3:1 მოიგეს, ფინალში არიან და ახლა მეტოქეს ელიან. მეორე ნახევარფინალში, ბოლონიის "ვიდივიჩი" უგებს მილანის "არმანი ჯინსს" – 2:1.

თამაზ როსტიაშვილი

მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, 67 წლისა გარდაიცვალა ვეტერანი ნიჩბოსანი, სპორტის ოსტატი თამაზ როსტიაშვილი.

ვარჯიში საბაიდარო ნიჩბოსნობაში 1956 წელს დაიწყო მცხეთაში. 1958-59 წლებში გახდა საქართველოს ჩემპიონი მოსწავლეთა შორის, 1957 წელს საკავშირო პირველობის მესამე პრიზიორი, ამიერკავკასიისა და მოლდოვას ჩემპიონი, მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის ვერცხლისა და ბრინჯაოს პრიზიორი. იყო ხალხთა სპარტაკიადის (1959) ფინალისტი, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი.

ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, დუშეთში, ბაზალეთის ტბაზე მუშაობდა მწვრთნელად, წვრთნიდა და დიდ სპორტში გზას უკვალავდა ნიჭიერ მოზარდებს, რომელთაგან ბევრმა არაერთგზის გამოიჩინა თავი სხვადასხვა დონის შეჯიბრებებში.

შესანიშნავი ვეტერანი სპორტსმენის, ნიჩბოსანთა თაობების აღმზრდელისა და სამაგალითო პიროვნების თ. როსტიაშვილის ნათელ ხსოვნას დავიწყებას არ მისცემენ მისი აღზრდილები, კოლეგები და მეგობრები.

მცხეთის კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამსახური, მცხეთის ნიჩბოსნობის სპორტსკოლა.

თენისი

ირაკლი ლაბაძე. დაიბადა 09.06.1981, თბილისი. ჩოგბურთი. უიმბლდონის იუნიორთა ტურნირის ფინალისტი (1998, წააგო როჯერ ფედერერთან). მონაწილეობდა გრანდ სლემის 12 ტურნირში (16 შეხვედრიდან 4 მოიგო). საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში ითამაშა დევისის თასის 7 მატჩში (8 შეხვედრიდან ყველა მოიგო). 2005 წელს გაიმარჯვა ბიელის (იტალია) ტურნირში. ორი პრესტიჟული ტურნირის - ეშტორილის (პორტუგალია) და ინდიან ველსის (აშშ) ნახევარფინალისტი (2004). საუკეთესო ადგილი მსოფლიო რეიტინგში - 42-ე (2004 წლის ივლისი). დამარცხებული ჰყავს ანდრე აგასი: 2001, შანხაი (1/16) - 7:6, 7:5.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელბურთი

სტუ-თელავი ევროთასზე ითამაშებს

საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში ზედიზედ მეჩვიდმეტედ გაჩემპიონების შემდეგ, სტუ-"თელავად" გადანათლული სტუ-"შევარდენი" თავს დასვენების უფლებას არ აძლევს. როგორც გუშინ გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ირაკლი კეკელიძემ გვითხრა, შეგირდებს კვლავ სისტემატურად ავარჯიშებს, ხოლო ახალი სეზონისთვის სამზადისი ივლისიდან დაიწყება.

- საქართველოს ჩემპიონატის დასრულების შემდეგ, ხელბურთელები ჯერ არ გამიშვია შვებულებაში. გუნდი კვლავ ყოველდღიურად ვარჯიშობს. ზაფხულის არდადეგები ერთი თვეც არ გაგრძელდება. 10 ივლისიდან გუნდს ისევ შევკრებთ და ახალი სეზონისთვის სამზადისს შევუდგებით.

- ევროთასებზე ითამაშებთ?

- ფაქტობრივად, გადაწყვეტილია, რომ ვითამაშებთ. რაკილა რეიტინგი და პირობები ჩემპიონთა ლიგაზე თამაშის უფლებას არ გვაძლევს, კვლავ ევროპის ხელბურთის ფედერაციის თასზე გამოვალთ.

- ახალი სეზონიდან საშინაო მატჩებს თელავში ჩაატარებთ თუ ისევ თბილისში დარჩებით?

- ეს და კიდევ რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი ჯერ არ გადაწყვეტილა. თვის ბოლომდე ვიმსჯელებთ გუნდის ხელმძღვანელობასთან ერთად და სამომავლო გეგმებს უფრო დეტალურად ჩამოვაყალიბებთ.

- როგორც გავიგეთ, შესაძლოა, გუნდი დატოვოთ და საერთოდ სხვა სფეროში გააგრძელოთ მუშაობა. რამდენად მართალია ეს ინფორმაცია?

- ჯერჯერობით, ვერც ამაზე გეტყვით რამეს. ჯობია, თვის ბოლოს შემეხმიანოთ, როცა უკვე ყველაფერი საბოლოოდ გადაწყვეტილი იქნება.

კობა ხატისაშვილი

ირაკლი კეკელიძე (მარჯვნივ)

ჭადრაკი

მაია ლომინეიშვილი

ინგა ჭარხალაშვილი

მაია ჩიბურდანიძის თასი

ლიდერთა სექსტეტი

მაია ჩიბურდანიძის სახელობის ტურნირზე მესამე ტურიც გათამაშდა და, მადლობა ღმერთს, ამჯერად ყოველგვარი ექსცესების გარეშე ჩაიარა - შუქი არ ჩამქრალა და არც სხვა რამ პრობლემა წარმოქმნილა. პრობლემები ბევრს საჭადრაკო დაფასთან შეექმნა და დიდი ნაწილი ქალებისგან - მათ ძლიერ ვაჟ დიდოსტატებთან ტოლსწორად ითამაშეს.

დღის გმირად **თამარ წერეთელი** უნდა ვაღიაროთ, რომელიც პირველ დაფაზე ტურნირის მესამე ნომერს, დიდოსტატ **კონსტანტინე შანავას** ხვდებოდა. თეთრებით თამარი იყო და დებიუტიც ისე გაითამაშა, საწყისი უპირატესობის შენარჩუნება შეძლო, შემდეგ განავითარა და მეტოქე გამოუვალ მდგომარეობაში ჩააყენა. წერეთელს სამიდან 3 ქულა გაუხდა და ლიდერთა ექვსეულშია.

თამარს კარგად აუბა მხარი **ინგა ჭარხალაშვილმა**, რომელიც თეთრებით **დავით ზარქუას** ხვდებოდა. ამ წყვილში ფავორიტად ზარქუა ითვლებოდა - იგი რეიტინგით მეცხრამეტეა, ჭარხალაშვილი კი - ოცდამეხუთე. რეიტინგში ჩამორჩენა არად ჩააგდო ინგამ და მშვენიერ სტილში იმარჯვა. მასაც 3 ქულა გაუხდა.

ექვსეულში ქალთა სამაიას შექმნა იყო შესაძლებელი, თუკი **სოფიკო გურამიშვილი** დიდოსტატ **გიორგი ბალათუროვს** დაამარცხებდა. სუსტი სქესის მხარეზე აქაც საწყისი უპირატესობა იყო და სოფომ დებიუტიც ნორმალურად ითამაშა, თუმც უკეთაც შეეძლო. გამოცდილმა ბალათუროვმა დროულად გააუვნებელყო თეთრების შემოტევა და მალე თავად გადავიდა იერიშზე. მცდელობა შედეგიანი გამოდგა - სოფიკომ თავის დაცვა ვერ შეძლო და მარცხი აღიარა.

ძალიან საინტერესო და რთული ბრძოლა გადახდა რეიტინგფავორიტ **ლევან ფანცულაიას** - ისიც ქალბატონს, კაცთა შორის საერთაშორისო ოსტატ **მაია ლომინეიშვილს** ხვდებოდა. თეთრები აქაც ქალბატონის არჩივი იყო. დებიუტში ლომინეიშვილმა იმარჯვა, უკეთესი პოზიცია მიიღო და ხარისხიც მოიგო, თუმც ფანცულაიამ ისეთ ვითარებაში დათმო მატერიალი, გარკვეული კონპენსაცია რომ მიელო და კონტრთამაშიც ჰქონოდა. ლევანმა ლაზიერის ფრთაზე შეუტია, ლომინეიშვილმა კი - მეფის ფრთაზე. შუა თამაშში შავებმა თითქოს გადამწყვეტ უპირატესობას მიაღწიეს და ისეთ ენდშპილში გადაიყვანეს თამაში, სადაც ორი კუ და ოთხი პაიკი ჰყავდა, თეთრებს კი ეტლი და ხუთი პაიკი. პაიკთაგან შავებს ორი ლაზიერის ფრთაზე ჰყავდა B და C პაიკები, ორიც მეფის - H და G. ლომინეიშვილს კი ერთი B პაიკი და ოთხი ერთმანეთზე გადაბმული - G, F, E და D პაიკები. ძაიან რთული იყო ასეთ პოზიციაში საბოლოო შედეგის გამოცნობა - ორივე მხარე მოგებისთვის იბრძოდა, თუმცა ლომინეიშვილმა მოასწრო და შავების მეფე მერვე ჰორიზონტალზე დატოვა - ეტლით მეშვიდე ჰორიზონტალი დაიკავა; შემდეგ H და G პაიკებიც აილო, თუმცა C პაიკის დათმობა მოუხდა. ამას ისედაც ვერ აიცილებდა თავიდან, ამიტომ აქცენტი სწორად გადაიტანა მეფის ფრთისკენ და საკუთარი პაიკები წინ წაასხა. სუსტი ფიგურები დიდ ძალად იქცნენ, ამიტომ მათ შესაჩერებლად ლევანს ძალების მოხმობა მოუწია და კი მოახერხა, მაგრამ ერთი კუს დათმობა მაინც მოუწია; მეტოქემ მისი ბოლო პაიკიც გაანადგურა და მართალია, შავუჯროვანი კუ დარჩა, მაგრამ საჭადრაკო თეორიით ერთი მსუბუქი ფიგურით შამათი არ კეთდება, ამიტომ ზავის ნიშნად ხელიც ჩამოართვეს ერთმანეთს.

ასეთივე მძაფრი ბრძოლა ჰქონდათ **ლევან აროშიძესა** და **ნინო ბაციაშვილსაც**, მაგრამ ამ შემთხვევაში თეთრებით ვაჟი დიდოსტატი იყო. თუმცა თეთრმა ფერმა არ უშველა - ქულის გაყოფა მოხდა. ბაციაშვილის კარგი თამაშიც უნდა აღინიშნოს - მიუხედავად იმისა, რომ ლიდერებში არ არის - 2 ქულა მაინც სოლიდური მონაგარია, თან უნდა გავითვალისწინოთ, რომ ძლიერ მეტოქეებთან უწევდა ბრძოლა.

კვლავ დამარცხდა **ნანა ძაგნიძე** და ამჯერად მისი მომრევი **ალექსანდრა ვახანია** იყო. სხვა დროს ასეთ შედეგს სენსაციურს ვუწოდებდით, მაგრამ ძაგნიძე წელს ვერ არის სათანადო ფორმაში და ჯერჯერობით ვერც ამ ტურნირში ხეირობს. ვახანიამ შავებით შეძლო გამარჯვება.

გამოსარჩევი სხვა პარტიებიც იყო, მაგრამ ასეთი მრავლად არის და ყველა რომ აღვწეროთ, დიდ დროს და ადგილს წაიღებს. ვიტყვით მხოლოდ შემდეგს - მეოთხე ტურისთვის 6 მოჭადრაკე ლიდერობს მაქსიმალური ქულით, 2.5 ოთხ მონაწილეს აქვს, ხოლო 2 ქულა - ოცდაშვიდს.

პირველ ოც დაფაზე: თამაზ წერეთელი-კონსტანტინე შანავა-1:0; სოფიკო გურამიშვილი-გიორგი ბალათუროვი-0:1; ლუკა პაიჭაძე-მიხეილ კეკელიძე-0.5:0.5; ბეგლარ ჯობავა-გაიოზ ნიგალიძე-1:0; ბაჩანა მორჩიაშვილი-გიგა ყუფარაძე-0:1; ინგა ჭარხალაშვილი-დავით ზარქუა-1:0; ლევან ბრეგაძე-ივერი ჭილლაძე-0:1; დავით არუთინიანი-დავით ბენიძე-0.5:0.5; მაია ლომინეიშვილი-ლევან ფანცულაია-0.5:0.5; ლევან აროშიძე-ნინო ბაციაშვილი-0.5:0.5; მაკა ფურცელაძე-თორნიკე სანიკიძე-0:1; ხვიჩა სუპატაშვილი-თამაზ მგელაძე-0.5:0.5; ულვი ბაჯარანი-ვალერიან გაფრინდაშვილი-0.5:0.5; დავით მალალაშვილი-ირაკლი ჯანიაშვილი-1:0; ალექსი ტერ-კარაპეტიანი-მალხაზ სულაშვილი-1:0; ნანა ძაგნიძე-ალექსანდრა ვახანია-0:1; არმენ ტერ-კარაპეტიანი-სალომე მელია-0:1; შოთა აზალაძე-ქეთი ნაწალაშვილი-1:0; ილლარ ბაჯარანი-ზურაბ ჯავახაძე-1:0; პარმენ გელაზონია-სალომე ხაჟომია-1:0

მეოთხე ტურში: ბალათუროვი (3)-წერეთელი (3); ჭილლაძე (3)-ჯობავა (3); ყუფარაძე (3)-ჭარხალაშვილი (3); კეკელიძე (2.5)-ბენიძე (2.5); სანიკიძე (2.5)-პაიჭაძე (2.5); ფანცულაია (2)-გელაზონია (2); მგელაძე (2)-ართუთინიანი (2); შანავა (2)-ბრეგაძე (2); ლომსაძე (2)-აროშიძე (2); ვახანია (2)-მალალაშვილი (2); სირაძე (2)-ლომინეიშვილი (2); ბოკუჩავა (2)-მორჩიაშვილი (2); მელია (2)-ხოტენაშვილი (2); ზარქუა (2)-ტიმ რილი (2); ბაციაშვილი (2)-აზალაძე (2); ნიგალიძე (2)-ალექსი ტერ-კარაპეტიანი (2); ხელაია (2)-ილლარ ბაჯარანი (2); ლორთქიფანიძე (2)-გურამიშვილი (2); გაფრინდაშვილი (1.5)-ბუცხრიკიძე (2); მინასიანი (1.5)-სუპატაშვილი (1.5)

ზვიად შათირიშვილი

პროფესიული კრივი

ბრძოლა მსოფლიოს ჩემპიონობისთვის გადაიდო

პროფესიონალი მოკრივე **კობა გოგოლაძე** WBO-ს ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონის სარტყლისთვის ბრძოლას დაგეგმილზე ორი კვირით გვიან გამართავს. ის შოტლანდიელ ფავორიტ **ალექს არტურს** 21 ივლისს შეხვდება. ორთაბრძოლა კარდიფში 7 ივლისს "ინტერნეშენალ არენაზე" უნდა გამართულიყო. 28 წლის არტურის პრომოუთერმა **ფრენკ უორენმა** განაცხადა, რომ მოლაპარაკებას აწარმოებს ტელეკომპანია ITV-სთან ამ მატჩის პირდაპირი ეთერით გადაცემის შესახებ. 21 ივლისს არტურ გოგოლაძის მატჩის გარდა, კიდევ ორი სატიტულო ორთაბრძოლა გაიმართება. შეგახსენებთ, რომ კობა გოგოლაძე 34 წლისაა, ის ზემსუბუქ წონაში გამოდის და პროფესიულ რინგზე გამართული 25 ორთაბრძოლიდან 24 მოგებული აქვს.

ნიკოლოზ ნეფარიძე



კობა გოგოლაძე

პლაჟბურთი. მსოფლიო ტური

22-ე ადგილზე

ქართულმა წყვილმა **გეორ-გიამ** ზაგრების ეტაპის სერია დაასრულა. ძირითადი ტურნირის მეორე დღეს ჩვენმა ფრენბურთელებმა ჰოლანდიელებთან **სხულისა** და **ნუმერდორთან** დათმეს შეხვედრა 1:2 (21:19, 19:21, 13:15). ხორვატიაში გეორ-გიამ 22-ე ადგილი დაიკავა, 120 სარეიტინგო ქულა და 3 ათასი ამერიკული დოლარი მოიპოვა.

თბილისის სპორტულ ბაზებზე

მძლეოსნობა. 9 ივნისი. ეროვნული სტადიონი. ეროვნული ჩემპიონატი. დასაწყისი 10:30

ფარიკაობა. 9, 10 ივნისი. ფარიკაობის დარბაზი (ვაკე). საქართველოს პირველობა. დასაწყისი 10:00

ჩოგბურთი. 9 ივნისი. კიკვიძის პარკი. გ. თოხაძის ტრადიციული ტურნირი. დასაწყისი 10:00

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩიბები

შვიდკაცა რაგბი. ევროპის სერია

ორი დღე ვაკეში

დღეს დილიდან, ვაკეში, მიხეილ მესხის სტადიონზე შვიდკაცა რაგბის ევროპული სერიის მორიგი ეტაპი დაიწყება. ტურნირში საქართველოს ნაკრებთან ერთად საფრანგეთის, აზერბაიჯანის, ბულგარეთის, საბერძნეთის, ისრაელის, მოლდოვის, უკრაინის, ბელგიისა და ლატვიის ნაკრებები იასპარეზებენ. კაფე "მსოფლიო სპორტში" გამართული პრეს-კონფერენციაც სწორედ ამ ტრადიციად ქცეულ ტურნირს მიეძღვნა. შეჯიბრება თბილისის მერიის პატრონაჟით ტარდება.

მამუკა ტყეშელაშვილი, საქართველოს ნაკრების მწვრთნელი: - - თბილიის ტურნირამდე შვიდკაცას სამ ტურნირზე ვიასპარეზეთ. პოლონეთში ევროპის სერიის ეტაპზე მეორე ადგილი დავიკავეთ, ედინბურგსა და ლონდონში კი მსოფლიოს სერიის ეტაპებზე. აქ მსოფლიოს ყველა უძლიერესი ნაკრები ასპარეზობდა და ჩვენი ახალგაზრდა მორაგბეებისთვის ძალიან კარგი სკოლა იყო. სამწუხაროდ, ტრავმის გამო დაგვაკლდება ვასილ კაცაძე, ეროვნულ ნაკრებს დაუბრუნდა ბესიკ ხამაშურიძე. მიუხედავად ამისა, თბილისის ტურნირზე წარმატების იმედი გვაქვს და ვეცდებით, შეჯიბრის მთავარი ჯილდო სტუმრებს არ გავატანოთ.

პიერ ვილპრე, ტურნირის დირექტორი: - მიმაჩნია, რომ წლეულსაც თბილისში საკმაოდ ძლიერმა შემადგენლობამ მოიყანა თავი. მე ვნახე უკრაინისა და მოლდოვის გუნდების თამაშები და ვფიქრობ, მათ რეალურად შესწევთ ძალა, კონკურენცია გაუწიონ საქართველოსა და საფრანგეთს, რომლებიც შეჯიბრების ფავორიტებად ითვლებიან. ამასთან თითოეული გუნდი ემზადება მომავალი მსოფლიოს ჩემპიონატისთვის, რომელიც 2009 წელს დუბაიში გაიმართება. ამდენად ყველა შეჯიბრი მზადების ეტაპად განიხილება.

ჩვენი მიზანია, შვიდკაცა რაგბი ისე განვითარდეს მთელ მსოფლიოში, რომ ოლიმპიურ სახეობად აღიარონ. ამისთვის გადაწყვეტილების მიღება პოლიტიკურ დონეზეა საჭირო. თანაც აუცილებელია ფართომასშტაბიანი რეკლამა. ვაჟთა რაგბის პარალელურად აუცილებელია განვითარდეს ქალთა რაგბიც.



პიერ ვილპრე

მამუკა ტყეშელაშვილი

დავით ნამგალაური, სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე: - ჩვენთვის ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევს მოვლენები რაც ქართულ რაგბიში ვითარდება. მოხარული ვართ, რომ თბილისში ყოველწლიურად ტარდება ასეთი დონის ტურნირი. რაც შეეხება სახელმწიფოს მხრიდან რაგბის დახმარებას, გაცნობებთ, რომ წლეულს ბიუჯეტიდან რაგბის კავშირისთვის 400 ათასი ლარი იყო გამოყოფილი. საქართველოს ნაკრების მსოფლიო თასზე ასპარეზობისთვის მოსამზადებლად ბიუჯეტიდან დამატებით კიდევ 800 ათასი ლარი გამოიყოფა. მსოფლიო თასის დასრულების შემდეგ კი რაგბისადმი დამოკიდებულება ხელისუფლების მხრიდან რადიკალურად შეიცვლება. ახლა ძალიან ბევრი რამაა დამოკიდებული თვითონ მორაგბეებზე. იმედი გვაქვს, რომ საფრანგეთში ისინი ღირსეულად იასპარეზებენ. ასევე დიდი იმედი გვაქვს ჩვენი შვიდკაცელების. გვჯერა, რომ თბილისის ტურნირის მოსაგებად არაფერს დაიშურებენ. ჯერი ახლა ქომაგებზეა. ერთად დავუჭიროთ მხარი ოვალური ბურთის რაინდებს.

ბესიკ ჯანგავაძე

საქართველოს ნაკრები: ვახტანგ ახვლედიანი, დავით ჟამუტაშვილი, ალექსანდრე ნიჟარაძე, ირაკლი გეგენავა (ყველა ყოჩები), ალექსანდრე თოდუა, დავით ჩიტიძე, ბექა სარდანაშვილი, ლაშა ფირფილაშვილი (ყველა ლელო), ირაკლი ჩხიკვაძე (აია), გიორგი კაჭარავა (ვანი).

A ჯგუფი: საფრანგეთი, უკრაინა, ბელგია, აზერბაიჯანი, ბულგარეთი.

B ჯგუფი: საქართველო, მოლდოვა, ლატვია, ისრაელი, საბერძნეთი.

განრიგი

დღეს	
10:00	გულგარეთი-საფრანგეთი
10:20	საბერძნეთი-საქართველო
10:40	უკრაინა-ბელგია
11:00	მოლდოვა-ლატვია
11:20	საფრანგეთი-აზერბაიჯანი
11:40	საქართველო-ისრაელი
12:00	უკრაინა-ბულგარეთი
12:20	მოლდოვა-საბერძნეთი
13:00	საზეიმო გახსნა
17:00	ბელგია-აზერბაიჯანი
17:20	ლატვია-ისრაელი
17:40	საფრანგეთი-უკრაინა
18:00	საქართველო-მოლდოვა
18:20	ბელგია-ბულგარეთი
18:40	ლატვია-საბერძნეთი
19:00	უკრაინა-აზერბაიჯანი
19:20	მოლდოვა-ისრაელი
ხვალ	
10:00	საფრანგეთი-ბელგია
10:20	საქართველო-ლატვია
10:40	აზერბაიჯანი-ბულგარეთი
11:00	ისრაელი-საბერძნეთი
ქალთა ამხანაგური მატჩი	
11:00	საქართველო-აზერბაიჯანი
სინის ნახევარფინალი	
16:15, 16:35	
თასის ნახევარფინალი	
16:55, 17:15	
ფინალები	
17:35	მე-9 ადგილისთვის
18:05	მე-7 ადგილისთვის
18:25	მე-5 ადგილისთვის
18:55	მე-3 ადგილისთვის
19:15	მთავარი ფინალი

IRB-ს ერთა თასი

აფრიკელები ათ კაცს ცვლიან

IRB-ის ერთა თასზე, კვირას, საქართველოს ეროვნული ნაკრები სამხრეთი აფრიკის გუნდს შეხვდება, რომელსაც ხან A ნაკრებს უწოდებენ, ხან მომავლის "ქურციკებს". რუმინეთში მიმდინარე ტურნირის პირველ ტურში "ბორჯღალოსნებმა" მსოფლიო თასზე მომავალი მეტოქე ნამიბია დაამარცხეს - 26:18, ხოლო სამხრეთაფრიკელებმა მასპინძლებმა გაანადგურეს - 61:7. ჩვენების წინააღმდეგ აფრიკელები ძირეულად ცვლიან შემადგენლობას 15-დან 10 სასტარტო მორაგბეს. აფრიკელებს უკაპიტნებს "ჩიტაზის" მორკინალი **ჯონათან მოკგენა**, რომელსაც აქამდე "ქურციკთა" შვიდკაცას ნაკრებისთვის უკაპიტნია. მწვრთნელმა **პიტერ დე ვილიემ** რუმინეთის მრბეველი შემადგენლობიდან მხოლოდ **ბევინ ფორტუინი**, დამრტყმელი **პეტერ გრანტი, სოლი ჩიბილიკა, ვილჰელმ სტენკამპი** და მოკუენა დატოვა. ჩვენი მეტოქის შემადგენლობა ასეთი იქნება: 15. ბევინ ფორტუნი, 14. ჰოვარდ ნობლი, 13. მარიუს დელპორტი, 12. მაიერ ბოსმანი, 11. ლუის ლუდიკი, 10. პიტერ გრანტი, 9. იანო ფერმაკი, 8. ერნსტ ჟუბერი, 7.ჯონათან მოკუენა, 6. სოლი ჩიბილიკა, 5. ნიკოლაი ბლინიო, 4. ვილჰელმ სტენკამპი, 3. სანგონი მსოლი, 2.ეშტონ კონსტანტი, 1. ბანდისე მაკუ.

რაც შეეხება საქართველოს ნაკრებს, როდესაც გუშინ ნაკრების თავკაც **მალხაზ ჭეიშვილს** შევეხმიანეთ, მან შემადგენლობის დასახელებისგან თავი შეიკავა. მწვრთნელმა გვითხრა, რომ ყველაფერი დღეს გადაწყდება, თუმცა ნამიბიასთან მატჩისგან შემდეგ ცვლილებები აუცილებლად იქნება, განსაკუთრებით შერკინების პირველ ხაზში.

ნიკოლოზ ნეფარიძე

საქართველო-ნამიბია. გიორგი ჩხაიძე ბურთისთვის იბრძვის

სარბიელზე მძლეოსნები არიან

ეროვნული სტადიონის ახალ, თანამედროვე მძლეოსნურ სექტორში გუშინ დაიწყო და დღეს დასრულდება საქართველოს ჩემპიონატი, სადაც 22 ქალაქის 300 სპორტსმენი მონაწილეობს. შეჯიბრების შედეგებს ხვალ გაგაცნობთ, მანამდე ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტორეპორტაჟს შემოგთავაზებთ. დღეს შეჯიბრება დილის თერთმეტის ნახევრიდან დაიწყება.



NBA. სუპერფინალი

ანტიფინალი

სან ანტონიო-კლივლენდი 85:76

20:15, 20:20, 24:14, 21:27

სან ანტონიო: ტ. პარკერი (27 ქ. 7 პ. 4 მ. 2 ჩ), დანკანი (24 ქ. 13 მ. 5 დ. 2 ჩ. 1 პ), ჯინობილი (16 ქ. 8 მ. 1 ჩ), ბ. ბოუენი (6 ქ. 3 მ. 1 პ), ელსონი (5 ქ. 6 მ), ორი (3 ქ. 6 პ. 1 მ. 1 ჩ), ფინლი (2 ქ. 3 მ), ვოონი (2 ქ. 1 მ. 1 პ), ობერტო (უქულოდ, 4 მ. 2 პ), ბერი, უდრიხი.

მთავარი მწვრთნელი: გრეგ პოპოვიჩი.

კლივლენდი: გიბსონი (16 ქ. 4 პ. 4 ჩ. 1 მ), ლ. ჯეიმსი (14 ქ. 7 მ. 4 პ. 1 ჩ. 1 დ), გუდენი (14 ქ. 4 მ. 1 ჩ), პავლოვიჩი (13 ქ. 5 მ), ვარეჟაო (10 ქ. 4 მ), დ. მარშალი (5 ქ. 2 მ. 1 ჩ), ჰიუზი (2 ქ. 3 მ), ილგაუსკასი (2 ქ. 6 მ. 1 პ. 1 დ), დეიმონ ჯოუნსი, სნოუ.

მთავარი მწვრთნელი: მაიკ ბრაუნი.

სერია 1:0

მოდით, წამით წარმოვიდგინოთ, რომ თამაშიდან 16-დან 12 სროლა არა **ლებრონ ჯეიმსმა**, არამედ, ვთქვათ, **ლარი ჰიუზმა** გააფუჭა. აქვს თუ არა ამ სამარცხვინო მაჩვენებელს გამართლება? არანაირი!

მაგრამ ჰიუზი თავისას ისედაც აფუჭებდა, ლებრონმა კი სუპერსერიის პირველ შეხვედრაში, კარიერაში ყველაზე სამარცხვინო საფლეიოფო მატჩი ჩაატარა. "კავალიერსის" მეგავარსკვლავს ამაზე მწირი მონაგარიც კი ჰქონია, მაგრამ ასეთ დროს, ასეთი ჩავარდნა იქნებოდა?!

ნუ "დავაბრალებთ" მის ფიასკოს, მხოლოდ და მხოლოდ, **ბრიუს ბოუენის** მართლაც რომ იშვიათი აკურატულობით ნათამაშებ დაცვას - ჯეიმსს გვერდით ბებერი **მაიკლ ფინლიც** რომ ჰყოლოდა, ლებრონი სეზონის ყველაზე რეკლამირებულ დაპირისპირებაში მაინც ანტიფაქტორი იქნებოდა.

"სან ანტონიო" სამი მეოთხედის განმავლობაში იმდენად იდეალურად იდგა დაცვაში, რომ პირველი ნახევრის ბოლოს, როდესაც ჯეიმსს საკმაოდ კარგი სასროლი პოზიცია შეექმნა, ახალგაზრდა ფენომენმა ტყორცნის ნაცვლად, ფორსირებული პასის გაკეთება არჩია და ცხადია, შედეგი არც მის ამ გადაწყვეტილებას მოუტანია.

ბოუენი აკურატულად თამაშობდა, ლებრონს კი ნელ-ნელა მუხლების კანკალი დაეტყო. "კლივლენდის" სამწვრთნელო შტაბი თავის ლიდერს გააქტიურებისკენ მოუწოდებდა, მაგრამ რად გინდა - ჯეიმსი აქტიურად მხოლოდ მსაჯებთან პოლემიკაში ერთვებოდა, უშუალოდ თამაშის მხრივ კი, მის გამოსვლაში სტაგნაცია შეინიშნებოდა.

თავისთავად, სერიისა და უშუალოდ ამ მატჩის ფავორიტი **ტიმ დანკანის** გუნდი იყო (არის კიდეც), მაგრამ "კავალიერსმა" თუ სასწრაფოდ არ გამოასწორა თამაშის ხარისხი, საბოლოო შედეგი აღმოსავლეთის ჩემპიონისთვის სამარცხვინო იქნება.

"სან ანტონიოს" გაკრიტიკება კი, მხოლოდ უმოტივაციოდ ჩატარებული უკანასკნელი მეოთხედისთვის შეიძლება, მაგრამ მოდით, ამჯერად მხოლოდ დადებითით შემოვიფარგლოთ, რადგან ბოლო 12 წუთი ბევრს არაფერს შეცვლიდა. მაქსიმუმი, რისი გაკეთებაც სტუმრებმა მოახერხეს, ეს ბოლო წუთებზე ჩამორჩენის 8 ქულამდე (72:80) შემცირება იყო.

"კლივლენდი" აგებდა სისწრაფეში, მოხსნებსა და რაც მთავარია, თამაშის ჭკვიანურად ნაყვანაში, ხოლო **გრეგ პოპოვიჩმა** კი ერთხელაც დაადასტურა, რომ უმაღლესი დონის სპეციალისტია, ხოლო მასსა და **მაიკ ბრაუნს** შორის უდიდესი ნაპრალია.

ვერანაირად ვერ შევადარებთ ლებრონისა და **მაიკლ ჯორდანის** სადებიუტო ფინალურ მატჩებს - თუ "მისმა უჰაერესობამ" 1991 წლის 2 ივნისს, "ლოს ანჯელეს ლეიკერსს" 36 ქულა მიართვა, ლებრონის მონაგარი, მისივე სტანდარტებიდან გამომდინარე, ძალიან მოკრძალებული და არაფრით გამორჩეული გახლდათ. რეგულარულისას "სპურსისთვის" ორივე მატჩის მომგებება "კავალიერსმა", ერთადერთხელ მოახერხა დაწინაურება, როდესაც **ალექსანდრ პავლოვიჩის** ზუსტი საშუალო სროლით, სტუმრები წინ 23:22 გავიდნენ და იმავე პავლოვიჩის აქტიურობით, მალევე სამი ქულითაც გალიდერდნენ. ამას პოპოვიჩის წუთშესვენება მოჰყვა, რის შემდეგაც "სპურსი" - 9:0 გაიქცა, დანკანის ანგარიშზე კი ამ მონაკვეთში 6 ქულა, 2 მოხსნა და 2 დაფარება მოვიდა. მერე და მერე კი, "სპურსი" მუდამ წინ იყო.

დანკანმა შეტევაში ბურთი ხუთჯერ მოხსნა და პირველ ნახევარში, მის ანგარიშზე მეტოქის კალათზე დაგროვილი 3 მოხსნა და 4 დაფარება იყო. ტიმმ ორჯერ **ჟიდრუნას ილგაუსკასს** დაუფარა, ერთხელ კი სამწამიანში ლებრონიც სულელის როლში დატოვა.

"სან ანტონიო" დაცვაში მარწუხებს არ უშვებდა, დანკანი და **ტონი პარკერი** კი, შეტევაში შანსს არ უტოვებდნენ გაფანტულ "კავალიერსს", რომლის ძირითადმა ცენტრმა საბოლოოდ შეხვედრა 8-დან ერთადერთი ზუსტი სროლით ჩაამთავრა.

ბოლო მეოთხედის დაწყებამდე ტონი პარკერის ანგარიშზე უფრო მეტი შედეგიანი გადაცემა (7) იყო, ვიდრე ეს მთელი "კლივლენდის" აქტივში ეწერა (5), ხოლო დასვენებულმა დანკანმა და **მანუ ჯინობილიმ** კი სულ ბოლოს ერთხელაც წაითამაშეს და ყველაფერი დასრულდა ისე, როგორც უნდა დასრულებულიყო. შეეძლო თუ არა "კლივლენდს" მოგება? ალბათ, არა.

გამოასწორებს თუ არა სტუმარი თამაშის ხარისხს? ვიმედოვნოთ, რომ გამოასწორებს. ეს ხომ, ისევ და ისევ, სერიას, ჩვენ და ტელეკომპანია "იმედის" ერთგულ მაყურებელს წაადგება. შეგახსენებთ, რომ ფინალების ყველა მატჩს "იმედი" პირდაპირ ეთერში სთავაზობს თავის მაყურებელს.

ტიმ დანკანი: *"ერთი თამაშის მოგება ჩვენთვის ჩემპიონობის მოლოცვის არანაირ საბაბს არ გაძლევთ. "კლივლენდი" ძალიან კარგი გუნდია, რომელსაც ლებრონის სახით უნიჭიერესი და მშიერი ლიდერი ჰყავს. ცხადია, სერიის მოგებით დაწყება სასიამოვნოა, მაგრამ ერთი გამარჯვება საბოლოო წარმატების ასპროცენტიანი გარანტია აშკარად არ გახლავთ. ყველაფერი წინ არის."*

გრეგ პოპოვიჩი: *"პირველ რიგში, "კლივლენდსა" და მის სამწვრთნელო შტაბს აღმოსავლეთის ჩემპიონობას ვულოცავ. ამ გუნდმა ღირსეულად მოიპოვა ყველაზე მნიშვნელოვან სერიაში თამაშის უფლება და დარწმუნებული ვარ, რომ მაიკ ბრაუნი სწორ დასკვნებს გააკეთებს და სერიოზულ პრობლემებს შეგვიქმნის."*

ლებრონ ჯეიმსი: *"რა უნდა ვთქვა? ვერ ვითამაშე, რადგან საკუთარ თავში დარწმუნებული არ ვიყავი. ცხადია, ამაში დიდი როლი "სპურსმაც" ითამაშა, მაგრამ სროლა რომ წაგვსვლოდა, ნახავდით, როგორ გაუჭირდებოდა "სპურსს". "სან ანტონიოში" თამაში არასოდეს ყოფილა ჩემი ოცნება, თუმცა ეს გუნდი ჩემთვის ამ ეტაპზე სტაბილურობის, გამოცდილებისა და თავდაჯერებულობის საუკეთესო მაგალითია."*

მაიკ ბრაუნი: *"კომპლიმენტები ჩემს მეგობარს, მასწავლებელსა და მსოფლიოს საუკეთესო მწვრთნელ გრეგ პოპოვიჩს. "სან ანტონიო" ჩვენი ორგანიზაციისთვის ყოველთვის სამაგალითოდ დარჩება, ხოლო შეხვედრის საუკეთესო მოთამაშე კი უდავოდ ტიმი იყო. ლებრონს თავიდან რომ ერთი-ორი სროლა გამოეყენებინა, მაშინ უფრო გაგვიიოლდებოდა წინ გაჭრილ მეტოქესთან ანგარიშში სხვაობის შემცირება. ეგ არაფერი, წაგებებზე სწავლობენ, თუმცა კარგი იქნება, თუ სერიის მეორე შეხვედრაში ისევე აგრესიულად და დაცვაში ყურადღებით ვითამაშებთ, როგორც პირველი მატჩის ბოლო მეოთხედში."*

ზურაბ თალაკვაძე



დანკანმა ლებრონი შეაშინა

ეროვნული ფორმულა

კალათბურთი

ორლანდოს ვან განდი გაწვრთნის

ბილი დონოვანის მთავარი მწვრთნელის პოსტიდან გათავისუფლების შემდეგ, "ორლანდო მეჯიქმა" ერთ დღეში ახალ სპეციალისტთან გააფორმა კონტრაქტი. მომავალ სეზონში, ამ გუნდს **სტენ ვან განდი** უხელმძღვანელებს. "ორლანდოს" თანამედროვე ისტორიაში, ეს კლუბის რიგით მეცხრე მწვრთნელი იქნება.

მხარეებმა კონტრაქტის დეტალები არ გაახმაურეს, მაგრამ Orlando Sentinel-ის ინფორმაციით, ვან განდიმ ოთხწლიან ხელშეკრულებას მოაწერა ხელი და წელინადში მისი ხელფასი 4 მილიონი დოლარი იქნება.

ვან განდი 2003-05 წლებში "მაიამი ჰიტის" მთავარ მწვრთნელად მუშაობდა, მაგრამ 2005 წლის 12 დეკემბერს, ჩემპიონატში სუსტი სტარტისა და პირადი ხასიათის მიზეზთა გამო, თანამდებობიდან გადადგა, თუმცა, დღემდე "მაიამის" სტრუქტურაში აგრძელებდა მუშაობას.

ვან განდის "ორლანდოში" გაშვების სანაცვლოდ, "ჰიტმა" წლევანდელ დრაფტში 39- ნომრის არჩევის უფლება მიიღო.

■ ■ ■

ახალი მწვრთნელი ეყოლება "სიეტლ სუპერსონიქსსაც". ამ გუნდს მომავალ სეზონში 30 წლის სპეციალისტი - **სემ პრესტი** განვრთნის. ადრე ეს უკანასკნელი მთავარი მწვრთნელის - **რიკ სუნდის** ასისტენტის მოვალეობებს ასრულებდა, რომელიც, თავის მხრივ, "სიეტლის" ხელმძღვანელებმა რეგულარულის დასრულებისთანავე გაათავისუფლეს.

"ამ პოსტზე მრავალი კანდიდატი განვიხილეთ, მაგრამ არჩევანი პრესტიზე შევაჩერეთ. მას ბევრი საინტერესო იდეა აქვს, ის მეთოდური და დისციპლინირებული მწვრთნელია. სწორედ სემის მსგავს სპეციალისტებს ეკუთვნით მომავალი ჩვენს ლიგაში", - ამბობს "სონიქსის" მფლობელი - **კლაი ბენეტი**.

ლეგიონერებმა რეკორდი დაამყარეს

"სან ანტონიო სპურსისა" და "კლივლენდ კავალიერსის" ფინალურ სერიაში უკვე დამყარდა NBA-ის ერთი რეკორდი - ლიგის ფინალში არასოდეს უთამაშია ერთბაშად 8 ლეგიონერს. "სან ანტონიოს" რიგებში არაამერიკელები არიან: ფრანგი **ტონი პარკერი,** არგენტინელები **მანუ ჯინობილი** და **ფაბრისიო ოდერტო**, ჰოლანდიელი **ფრანსისკო ელსონი** და სლოვენიელი **ბენო უდრიხი**. "კლივლენდის" რიგებში გამოდიან - ლიტველი **ჟიდრუნას ილგაუსკასი**, ბრაზილიელი **ანდერსონ ვარეჟაო** და სერბი **საშა პავლოვიჩი**.

საინტერესოა, რომ ყველა ამ ქვეყანაში ხორციელდება ფინალური სერიის მატჩების პირდაპირი ტრანსლიაციები.

არის დასწრების რეკორდი

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის წლევანდელ სეზონში (იგულისხმება რეგულარული ჩემპიონატისა და ფლეი ოფის მატჩები), დასწრების სარეკორდო მაჩვენებელი დაფიქსირდა.

NBA-ის ოფიციალური ვებ-გვერდის ინფორმაციით, 7 ივნისისთვის ამ რიცხვმა 23 362 761 მაყურებელი შეადგინა, რაც დაახლოებით ნახევარი მილიონით მეტია წინა სარეკორდო ნიშნულთან შედარებით. ადრე რეკორდად 22 935 057 მაყურებელი იყო მიჩნეული.

მაკაბი იასაიტისს უშვებს

ისრაელის ჩემპიონი - თელ-ავივის "მაკაბი" ლიტვის ნაკრების მცველის - **სიმას იასაიტისის** გუნდიდან გაშვებას აპირებს.

კონტრაქტის მიხედვით, ლიტველ კალათბურთელს კლუბთან კიდევ ორი სეზონი აკავშირებს, რომლის განმავლობაშიც, მან 1.4 მილიონი ევრო უნდა მიიღოს. მაგრამ, "მაკაბის" ხელმძღვანელობას ამ თანხის გაღება არ სურს. ამიტომაც, იასაიტისს ახალი გუნდის მოძებნა მოუწევს, სადაც, სავარაუდოდ, მას წლიური შემოსავალი 700 ათასი ევრო ექნება. კონტრაქტში მითითებულ თანხასა და რეალურ ხელფასს შორის სხვაობას "მაკაბი" დაფარავს.

ეფესმა მწვრთნელი დაითხოვა

მნიშვნელოვანი ცვლილებებით შეხვდება ახალ სეზონს თურქული "ეფეს პილსენი". კლუბის ბოსებმა მთავარი მწვრთნელის პოსტიდან გაათავისუფლეს **ოქთაი მაპმუთი**. კონტრაქტის გაწყვეტა ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე მოხდა.

საინტერესოა, რომ მაპმუთი "ეფესში" 15 წელიწადი მუშაობდა. 1992-2001 წლებში, ის მთავარი მწვრთნელის ასისტენტის ფუნქციებს ასრულებდა, რის შემდეგაც, თავად დაიკავა ეს პოსტი.

გარდა მწვრთნელის გათავისუფლებისა, "ეფესის" უფროსობამ გადაწყვიტა, კონტრაქტი არ გაუგრძელოს გუნდის ორ ლიდერს - **მარკუს ჰეისლიპსა** (26 წლის, 207 სმ) და **ანტონიო გრეინჯერს** (31 წლის, 201 სმ). სავარაუდოდ, თურქული კლუბი კიდევ ერთ ლეგიონერს - ხორვატ **ნიკოლა პრკაჩინსაც** (31 წლის, 206 სმ) გამოეთხოვება.

ლატვიელები დიდების დარბაზში

ლატვიის კალათბურთის ფედერაციის ოფიციალური ვებგვერდი იტყობინება, რომ საერთაშორისო ფედერაციის (FIBA) დიდების დარბაზში მოხვედრის კანდიტატებად, ლატვიური კალათბურთის ლეგენდები - **იულიანა სენიონოვა** და **ვალდის ვალტერსი** დასახელდნენ.

მათ გარდა, დიდების დარბაზში მოხვედრაზე კიდევ 32 ადამიანი აცხადებს პრეტენზიას, სულ კი, ფედერაცია 12 ლაურეატს აირჩევს.

საბოლოო გადაწყვეტილებას 18 ივნისს მიიღებენ, ხოლო დიდების დარბაზში შეყვანის საზეიმო ცერემონიალი 12 სექტემბერს, მადრიდში, ევროპის ჩემპიონატის ფინალის დღეს გაიმართება.

ულებზე მონაწილეთა რიცხვი იზრდება

ევროპის საკალათბურთო ლიგათა კავშირის (ULEB) გენერალურ ასამბლეაზე გადაწყდა, რომ მომავალ სეზონში, ULEB-ის თასზე მონაწილეთა რიცხვი შარშანდელზე მეტი იქნება.

როგორც ამ ორგანიზაციის ოფიციალური ვებგვერდი იუწყება, ეს საკითხი საბოლოოდ არის გადაწყვეტილი, ოღონდ ჯერ დასადგენია, თუ რამდენი გუნდი მიიღებს მონაწილეობას ULEB-ის თასის გათამაშებაში. ეს მოგვიანებით გახდება ცნობილი.

ფორმულა 1

სად ჩატარდება საფრანგეთის გრან-პრი?

როგორც ცნობილია, ფორმულა 1-ის მფლობელმა - **ბერნი ეკლსტოუნმა** გამოაცხადა, რომ ამიერიდან, ფრანგულ "მანი-კურზე" ამ ქვეყნის გრან-პრი აღარ გაიმართება. ამის შემდეგ, ფრანგებმა ეროვნული ეტაპის სხვაგან ჩასატარებელი ადგილის ძებნა დაიწყეს.

გაჩნდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ვერსალის მთავრობა ახალი ტრასის აშენებას აპირებს. ამ ცნობას კომენტარი გაუკეთა საფრანგეთის კულტურის მინისტრმა, წარსულში ვერსალის მერმა - **კრისტინა ოლბანელმა**. ის დარწმუნებული არ არის, რომ პატარა ქალაქი გრან-პრის დროს დიდი რაოდენობით ტურისტების შემოსევას გაუძლებს.

NHL. სტენლის თასის ექო

საერთო საქმე

ანაჰაიმის რიგებში სტენლის თასი ძმებმა, სკოტ და რობ ნიდერმაიერებმა მოიპოვეს



ძმები ნიდერმაიერები

ᲘᲡᲘᲜᲘ ძალიან განსხვავებულები არიან. **სკოტი** დაცვაში თამაშობს, **რობი** - შეტევაში. სკოტს უკვე ოთხი სტენლის თასი აქვს მოგებული, რობის ანგარიშზე კი, ერთი ტიტულია. მათ თამაშის სტილიც განსხვავებული აქვთ. სკოტს უფრო რბილი სრიალი ახასიათებს, რობი კი, ცოტათი მოუხეშავი, მოუქნელი და უხეშიცაა... მათ საერთო გვარი - **ნიდერმაიერი** აერთიანებს. ისინი ძმები არიან. მათ დედას კი, **კეროლი** ჰქვია.

კეროლი ფინალურ სერიაში "ანაჰაიმის" ყველა საშინაო შეხვედრას დაესწრო. ის "ჰონდა სენტერის" მე-12 რიგში იჯდა, ყოველი მატჩის წინ, სახეს ხელისგულებით იფარავდა და რაღაც ლოცვას ჩურჩულებდა. მატჩის ბოლოს კი, კანადელი ᲐᲔᲜᲡᲘᲝᲜᲔᲠᲘ, როგორც ბავშვი ისე დახტოდა - "დაქსმა" ყველა საშინაო მატჩი მოიგო და სტენლის თასიც მოიპოვა.

2003 წელს, ანალოგიური სიტუაცია იყო. მაშინაც "იხვები" ფინალში გავიდნენ, ოღონდ სერიაში მათი მეტოქე "ნიუ ჯერსი დევილზი" გახლდათ, რომლის რიგებსაც სკოტ ნიდერმაიერი იცავდა. საპირისპირო ბანაკში იყო უმცროსი ძმა - რობი. დედის გული ორად იხლიჩებოდა. ვისთვის ექომაგა - უფროსი თუ უმცროსი შვილისთვის? კეროლმა რობი აირჩია. ამერიკელი ჟურნალისტები გაოგნებულნი იყვნენ ასეთი გულახდილობით. სკოტი არ გაბრაზდება? დედამ ასე ახსნა თავისი გადაწყვეტილება: *"რობის არასოდეს არაფერი მოუგია, სკოტის კი, უკვე ორი თასი აქვს"*. მაგრამ, ამჯერადაც უფროს ძმას გაუმართლა. მან ისევ ჩაიტანა სტენლის თასი მშობლიურ ქალაქ კრანბრუკში. რობმა თქვა, რომ არ ეჭვიანობს, მაგრამ მას გარკვეული გეგმა აქვს მომზადებული.

მომდევნო წელიწადს, ძმები მსოფლიო თასზე სათამაშოდ კანადის ნაკრებში მიიწვიეს. სხვათა შორის, სწორედ იმ ტურნირზე მოიგო რობმა თავისი პირველი ტიტული (კანადელებმა ფინალში ფინეთს სძლიეს). მაგრამ ეს სხვა თემაა. ნიდერმაიერებმა მოილაპარაკეს, რომ NHL-ის რომელიმე კლუბში ერთად ითამაშებდნენ. როგორ უნდა გაეკეთებინათ ეს? ძალიან მარტივად. ლოკაუტის შემდეგ, ბევრ ჰოკეისტს დაუმთავრდა კონტრაქტი. მათ შორის იყო სკოტიც, რომელიც შეუზღუდავი თავისუფალი აგენტი გახდა. მას კარიერის გაგრძელების მრავალი ვარიანტი ჰქონდა. და მან რობის "ანაჰაიმი" აირჩია. "ნიუ ჯერსის" გენერალურ მენეჯერ **ლუ ლამორელოს** თავზე თმები რომ ჰქონოდა, გამწარებული ყველა ღერს სათითაოდ დაიძრობდა. მან ხომ გუნდის საუკეთესო მცველი დაკარგა! მაგრამ უფროს ნიდერმაიერს უკვე მიღებული ჰქონდა გადაწყვეტილება.

"ანაჰაიმის" მმართველმა - **ბრაიან ბურკმა** სწრაფად მოაგვარა საქმე. სკოტს 4-წლიანი კონტრაქტი გაუფორმა, რომლის ღირებულებაც 27 მილიონ დოლარს უტოლდებოდა. ახალი ხელშეკრულება გაფორმდა რობ ნიდერმაიერთანაც - 8 მილიონი დოლარი იმავე ოთხ წელიწადში. თითქმის ხუთი წელიწადი ერთ გუნდში - ეს ხომ ნამდვილი ზღაპარი იყო!

"ბოლოს როდის ვითამაშეთ ერთად? ძალიან ძნელი გასახსენებელია, - სკოტ ნიდერმაიერი ჭაღარა წვერს აწვალებს, რომელშიც ის არაბ ტერორისტს მოგაგონებთ. - *ალბათ, 15-16 წლის წინათ. შემდეგ, ჩვენი გზები გაიყარა. ნორმალურად ერთმანეთს მხოლოდ ზაფხულში ვხედავდით. დღეს კი... იცით, თავიდან გავიცანი ჩემი უმცროსი ძმა. როგორც აღმოჩნდა, ის გასახდელში ძალიან ბევრს ლაპარაკობს. და მუდმივად მასხრად მიგდებს. რა თქმა უნდა, არ ვბრაზდები"*.

ისინი ძალიან განსხვავებულები არიან. სკოტი დაქორწინებულია, მას სამი შვილი ჰყავს. რობს ქორწილი ამ ზაფხულს აქვს დაგეგმილი. სკოტი - ჰოკეის ეროვნულ ლიგაში ერთ-ერთი ყველაზე პატივსაცემი მოთამაშეა, თუმცა, ბევრი ლაპარაკი არ უყვარს. რობი პირიქით, გაუჩერებლივ ლაპარაკობს... სამაგიეროდ, ნიდერმაიერებს ერთი საერთო ამოცანა ჰქონდათ და მათ ის კარგად შეასრულეს. ერთად მოიპოვეს სტენლის თასი.

ᲤᲚᲘᲐᲜᲘ ᲛᲐᲢᲩᲘᲡ ᲚᲘᲓᲔᲠᲔᲑᲘ

ᲑᲝᲛᲑᲐᲠᲓᲘᲠᲔᲑᲘ (ᲒᲝᲚᲘ+ᲞᲐᲡᲘ)	
ᲐᲚᲔᲥᲡᲘᲡᲝᲜᲘ (ᲝᲢᲐ)	22 (14+8)
ᲰᲘᲢᲚᲘ (ᲝᲢᲐ)	22 (7+15)
ᲡᲐᲔᲪᲐ (ᲝᲢᲐ)	22 (7+15)
ᲚᲘᲓᲡᲢᲠᲘᲝᲛᲘ (ᲓᲔᲢ)	18 (4+14)
ᲒᲔᲢᲪᲚᲐᲤᲘ (ᲐᲜᲐ)	17 (7+10)
ᲓᲐᲪᲘᲣᲙᲘ (ᲓᲔᲢ)	16 (8+8)
ᲰᲔᲠᲘ (ᲐᲜᲐ)	15 (6+9)
ᲡᲔᲚᲘᲐᲜᲘ (ᲐᲜᲐ)	15 (5+10)
ᲞᲠᲝᲜᲒᲔᲠᲘ (ᲐᲜᲐ)	15 (3+12)
ᲑᲠᲘᲔᲠᲘ (ᲖᲐᲤ)	15 (3+12)

ᲒᲝᲚᲘᲐᲚᲝᲠᲔᲑᲘ

ᲐᲚᲔᲥᲡᲘᲡᲝᲜᲘ (ᲝᲢᲐ)	14
Ე. ᲛᲐᲙᲓᲝᲜᲐᲚᲓᲘ (ᲐᲜᲐ)	10
ᲓᲠᲣᲠᲘ (ᲖᲐᲤ)	8
ᲯᲝᲜᲢᲐ (Ბ-ᲯᲘᲠ)	8
ᲓᲐᲪᲘᲣᲙᲘ (ᲓᲔᲢ)	8
ᲒᲔᲢᲪᲚᲐᲤᲘ (ᲐᲜᲐ)	7
ᲛᲝᲠᲘᲜᲘ (ᲐᲜᲐ)	7
ᲞᲐᲠᲘᲖᲘ (Ბ-ᲯᲘᲠ)	7
ᲡᲐᲔᲪᲐ (ᲝᲢᲐ)	7
ᲰᲘᲢᲚᲘ (ᲝᲢᲐ)	7

ᲐᲡᲘᲡᲢᲔᲜᲢᲔᲑᲘ

ᲰᲘᲢᲚᲘ (ᲝᲢᲐ)	15
ᲡᲐᲔᲪᲐ (ᲝᲢᲐ)	15
ᲚᲘᲓᲡᲢᲠᲘᲝᲛᲘ (ᲓᲔᲢ)	14
ᲞᲠᲝᲜᲒᲔᲠᲘ (ᲐᲜᲐ)	12
ᲑᲠᲘᲔᲠᲘ (ᲖᲐᲤ)	12
Ჯ. ᲢᲝᲠᲜᲢᲝᲜᲘ (Ს-ᲮᲝᲚ)	10
ᲡᲔᲚᲘᲐᲜᲘ (ᲐᲜᲐ)	10
ᲒᲔᲢᲪᲚᲐᲤᲘ (ᲐᲜᲐ)	10
ᲒᲝᲛᲔᲡᲘ (Ბ-ᲯᲘᲠ)	10

ᲤᲝᲠᲛᲣᲚᲐ 1. ᲙᲐᲜᲐᲓᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲞᲠᲘᲖᲘᲡ ᲬᲘᲜ

არავითარი ფავორიტიზმი

ᲤᲝᲠᲛᲣᲚᲐ 1-ის ისტორიაში ყველაზე წარმატებული ახალბედა, "მაკლარენის" ბრიტანელი პილოტი **ლუის ჰემილტონი** ამბობს, რომ გუნდი მას ზუსტად იმავე ხარისხის ტექნიკით უზრუნველყოფს, როგორითაც მსოფლიოს ორგზის ჩემპიონს, ესპანელ **ფერნანდო ალონსოს**.

კანადის დიდი პრიზის წინ ჩატარებულ პრესკონფერენციაზე, ჰემილტონმა გაკვირვება გამოთქვა იმის გამო, რომ მონაკოს დიდი პრიზის შემდეგ მის მიერ გაკეთებულ განცხადებას დიდი აუიოტაჟი მოჰყვა. მონაკოში, რბოლის შემდგომ პრესკონფერენციაზე, ალონსომ განაცხადა, რომ რბოლის მინურულს, გუნდის ხელმძღვანელობისგან მითითება მიიღო, დაეგდო ტემპი.

მის ნათქვამს შედეგად მოჰყვა საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის სადისციპლინო კომისიის მიერ მომხდარის გარჩევა. თუ "მაკლარენის" ქმედებაში ფავორიტიზმი დამტკიცდებოდა, გუნდს სოლიდური სანქციები ემუქრებოდა. მაგრამ ყველაფერმა "მშვიდობიანად" ჩაიარა, ხმები კი დიდი პრიზების ქარავანს კანადაში ჩაჰყვა.

"გუნდი მე და ალონსოს აბსოლუტურად იდენტურ მანქანებს გვიმზადებს. გარდა ამისა, ძალიან კმაყოფილი ვარ იმ გუნდით, რომელსაც ჩემი მანქანა აქვს ჩაბარებული. ისინი ფერნანდოს პერსონალზე, თუ უკეთესი არა, არაფრით ნაკლებნი არ არიან. ყველას ერთი მიზანი გვამოძრავებს - გამარჯვება. ამ ჯგუფში სუსტი წერტილი არ არსებობს. ყველა ძალიან მონდომებული და თავისი საქმის მცოდნენი არიან. ვფიქრობ, იმისთვის, რომ რბოლის მოგება შევძლო, გარკვეული დროა საჭირო. ერთ რამეში კი დარწმუნებული ვარ, ეს მალე მოხდება. ვინ გახდება ჩემპიონი? ამას სეზონის ბოლო გვეტყვის", - ამბობს 22 წლის ახალბედა, ვინც პირველი ხუთი ეტაპიდან ოთხი მეორე, ერთი კი მესამე ადგილზე დაასრულა.

შეგახსენებთ, რომ კანადური დიდი პრიზის წინ, "მაკლარენის" პილოტებს თანაბარი (38) ქულები აქვთ და ჩემპიონატის ლიდერის პოზიციას იყოფენ. ოღონდ, ალონსოს უპირატესობას ის ფაქტი ანიჭებს, რომ მას ორი რბოლა აქვს მოგებული.

ჰემილტონი აღიარებს, რომ მონაკოში გამარჯვებას ალონსო იმსახურებდა. მან შესანიშნავად ირბოლა და რომ არ მოეგო, უსამართლობა იქნებოდაო. "რაც შემეხება მე, ჯერ პატარა ვარ და გარწმუნებთ, ჩემი დროც მალე დადგება", - ამბობს ბრიტანელი.

მერაბ ლორთქიფანიძე

9 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ. ᲨᲐᲑᲐᲗᲘ

ᲘᲠᲔᲚᲘ

16:30 კალათბურთი. NBA ACTION. მიმოხილვა.

I ᲐᲠᲮᲘ

23:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-ესპანიოლი (LIVE).

HTB-ᲞᲚᲘᲡᲘ (ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ)

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 ლიბერტადორესის თასი. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი. სანტოსი (ბრაზილია)-გრემიო (ბრაზილია).
14:10 საფეხბურთო კლუბი.
15:00 FUTBOL MUNDIAL. საერთაშორისო ტელეჟურნალი.
15:30 კოპა ამერიკას ნინ.
16:30 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:45 ლიბერტადორესის თასი. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი. ბოკა ხუნიორსი (არგენტინა)-დეპორტივო კუკუტა (კოლუმბია).
18:35 პირდაპირი ხაზი.
19:35 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
19:55 ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. საფრანგეთი-საქართველო.
21:40 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
22:00 ტოქ-შოუ - 2:1.
22:55 ესპანეთის ჩემპიონატი. სარაგოსა-რეალი (LIVE).
00:55 ესპანეთის ჩემპიონატი. მალიორკა-სევილია.

SPORT 1 (ᲣᲙᲠᲐᲘ�ნᲐ)

07:05 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. ფინალი. ე. დემენტიევა (რუსეთი)-ა. რეზაი (საფრანგეთი). სტრასბური. საფრანგეთი.
08:30 სპორტდოსიე
09:00 სპორტინფორმი.
09:10 ფეხბურთი. აშშ-ის ჩემპიონატი. MLS. კოლორადო-დინამო (Ჰიუსტონი).
10:55 სპორტინფორმი.
11:06 მძლეოსნობა. IAAF-ის გრან-პრი. ტურინი. იტალია.
13:11 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
13:41 სპორტის სამყარო.
14:11 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. ნორვეგია-უნგრეთი.
15:56 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი. ბოკა ხუნიორსი (არგენტინა)-დეპორტივო კუკუტა (კოლუმბია).
17:41 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
18:11 Ჰოკეი. სტენლის თასი. ფინალი. V მატჩი. ოტავა-ანაᲰაიმი.
20:00 ცურვა. Fina Mare Nostrum. საფრანგეთი (LIVE).
21:46 ფეხბურთი. Barca TV. ანდრეს ინიესტა.
22:32 აფროსნობა. ამერიკის თასი.
23:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. სარაგოსა-რეალი (LIVE).
00:55 წყალბურთი.
01:10 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. პალმეირასი-ბოტაფოგო (LIVE).
03:05 ფეხბურთი. აშშ-ის ჩემპიონატი. MLS. კოლორადო-დინამო (Ჰიუსტონი).
04:50 მძლეოსნობა. IAAF-ის გრან-პრი. ტურინი. იტალია.
06:55 სპორტის ისტორია.

EUROSPORT

10:30 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. მიმოხილვა.
10:45 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩები.
11:45 ფეხბურთი. 21-წლამდელთა საერთაშორისო ფესტივალი. 1/2 ფინალი. ტულონი. საფრანგეთი.
12:45 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. 1/2 ფინალი. მამაკაცები.
14:30 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. კატალონიის გრან-პრი. კვალიფიკაცია.
17:00 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. ფინალი. ქალები. ჟუსტინ ანენი (ბელგია)-ანა ივანოვიჩი (სერბეთი) (LIVE).
19:15 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. მიმოხილვა.
19:30 მულტისპორტი.
20:00 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური. მამაკაცები. ფინალი. ხორვატია (LIVE).
21:00 ფეხბურთი. 21-წლამდელთა საერთაშორისო ფესტივალი. მე-3 ადგილისთვის. კოტ დ'ივუარი-პორტუგალია. ტულონი. საფრანგეთი (LIVE).
22:45 საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
23:00 ფეხბურთი. 21-წლამდელთა საერთაშორისო ფესტივალი. ფინალი. საფრანგეთი-ჩინეთი. ტულონი. საფრანგეთი (LIVE).
01:00 ბრძოლა წესების გარეშე.
02:45 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. ფინალი. ქალები. ჟუსტინ ანენი (ბელგია)-ანა ივანოვიჩი (სერბეთი).
03:45 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. მიმოხილვა.

EUROSPORT-2

09:30 ახალი ამბები.
12:00 ამერიკული ფეხბურთი (დარბაზებისთვის). რეგულარული ჩემპიონატი. იუტა-კოლორადო.
13:00 ფეხბურთი. 21-წლამდელთა საერთაშორისო ფესტივალი. 1/2 ფინალი. ტულონი. საფრანგეთი.
14:15 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. შვედეთი-ისლანდია.
15:00 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. საფრანგეთი-საქართველო.
15:45 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. ლიტვა-იტალია.
16:30 კალათბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ფლეი ოფი. 1/2 ფინალი. III მატჩი.
18:00 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური. ქალები. 1/2 ფინალი. ხორვატია (LIVE).
19:00 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური. მამაკაცები. 1/2 ფინალი. ხორვატია (LIVE).
20:00 მულტისპორტი.
20:30 არმ-რესტლინგი.
21:00 ბილიარდი. პული. ევროტური. გერმანია.
22:00 ფრენბურთი. მსოფლიო ლიგა. საკონტინენტთაშორისო ეტაპი. საფრანგეთი-აშშ. საფრანგეთი (LIVE).
00:00 პროფესიული კრივი. საშუალო წონა. რ. როსელია (საფრანგეთი)-გ. აეტოვიჩი (სერბეთი). საფრანგეთი.
02:00 ახალი ამბები.

10 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ. ᲙᲕᲘᲠᲐ

I ᲐᲠᲮᲘ

16:55 რაგბი. ევროპის ჩემპიონატი შვიდკაცა რაგბი. 1/2 ფინალები (LIVE).
19:15 რაგბი. ევროპის ჩემპიონატი შვიდკაცა რაგბი. ფინალი (LIVE).

HTB-ᲞᲚᲘᲡᲘ (ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ)

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-ესპანიოლი.
14:05 ამხანაგური მატჩი. ლუიშ ფიგუს მეგობრები.
15:50 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:05 ტოქ-შოუ - 2:1.
16:50 ესპანეთის ჩემპიონატი. მალიორკა-სევილია.
18:40 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
19:05 ესპანეთის ჩემპიონატი. სარაგოსა-რეალი.
20:55 არგენტინის ჩემპიონატი. ბოკა ხუნიორსი-ბელგრანო (LIVE).
22:50 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
23:05 არგენტინის ჩემპიონატი. სან ლორენსო-არსენალი (LIVE).
01:05 ევროპის ჩემპიონატი. ახალგაზრდული ნაკრებები. პორტუგალია-ბელგია. Ჰოლანდია.

SPORT 1 (ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐ)

07:05 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. ნორვეგია-უნგრეთი.
08:55 სპორტის ისტორია.
09:00 Ჰოკეი. სტენლის თასი. ფინალი. V მატჩი. ოტავა-ანაᲰაიმი.
10:50 წყალბურთი.
11:10 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. სარაგოსა-რეალი.
13:00 სპორტის სახეები.
13:30 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. პალმეირასი-ბოტაფოგო.
15:15 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი. სანტოსი (ბრაზილია)-გრემიო (ბრაზილია).
17:00 Ჰოკეი. სტენლის თასი. ფინალი. V მატჩი. ოტავა-ანაᲰაიმი.
18:50 სპორტის ისტორია.
19:00 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
19:30 მძლეოსნობა. IAAF-ის გრან-პრი. Ჰოლონეთი (LIVE).
22:32 სპორტის სახეები.
23:00 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. ფიგუერენსე-ფლამენგო (LIVE).
00:55 ფეხბურთი. უკრაინის ჩემპიონატი. მეტალურგი (დ)-ვორსკლა.
02:40 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. პალმეირასი-ბოტაფოგო.
04:24 ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. სეზონის მიმოხილვა.
05:16 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი. სანტოსი (ბრაზილია)-გრემიო (ბრაზილია).

EUROSPORT

10:30 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. მიმოხილვა.
10:45 მულტისპორტი.
11:15 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩები.
11:45 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. კატალონიის გრან პრი. ბარსელონა (LIVE).
12:45 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. კატალონიის გრან პრი. 125 cc. ბარსელონა (LIVE).
14:00 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. კატალონიის გრან პრი. 250 cc. ბარსელონა (LIVE).
15:15 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. კატალონიის გრან პრი. მოტოგრან-პრი. ბარსელონა (LIVE).
17:00 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. ფინალი. მამაკაცები (LIVE).
20:30 ველოსპორტი. პრო-ტურის სერია. "კრიტერიუმ დოფინე ლიბერე". პროლოგი. საფრანგეთი (LIVE).
21:00 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური. მამაკაცები. ფინალი. ხორვატია.
21:30 ფეხბურთი. 21-წლამდელთა საერთაშორისო ფესტივალი. ფინალი. საფრანგეთი-ჩინეთი. ტულონი. საფრანგეთი.
22:30 მოტორსპორტი. საკვირაო ტელეჟურნალი.
23:00 პროფესიული კრივი. საშუალო წონა. რ. როსელია (საფრანგეთი)-გ. აეტოვიჩი (სერბეთი). საფრანგეთი.
01:00 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. ფინალი. მამაკაცები.
02:00 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური. ქალები. ფინალი. ხორვატია.
03:00 მოტორსპორტი. საკვირაო ტელეჟურნალი.

EUROSPORT-2

09:30 ახალი ამბები.
12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-ესპანიოლი.
14:05 ამხანაგური მატჩი. ლუიშ ფიგუს მეგობრები.
15:50 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:05 ტოქ-შოუ - 2:1.
16:50 ესპანეთის ჩემპიონატი. მალიორკა-სევილია.
18:40 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
19:05 ესპანეთის ჩემპიონატი. სარაგოსა-რეალი.
20:55 არგენტინის ჩემპიონატი. ბოკა ხუნიორსი-ბელგრანო (LIVE).
22:50 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
23:05 არგენტინის ჩემპიონატი. სან ლორენსო-არსენალი (LIVE).
01:05 ევროპის ჩემპიონატი. ახალგაზრდული ნაკრებები. პორტუგალია-ბელგია. Ჰოლანდია.

SPORT 1 (ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐ)

07:05 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. ნორვეგია-უნგრეთი.
08:55 სპორტის ისტორია.
09:00 Ჰოკეი. სტენლის თასი. ფინალი. V მატჩი. ოტავა-ანაᲰაიმი.
10:50 წყალბურთი.
11:10 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. სარაგოსა-რეალი.
13:00 სპორტის სახეები.
13:30 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. პალმეირასი-ბოტაფოგო.
15:15 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი. სანტოსი (ბრაზილია)-გრემიო (ბრაზილია).
17:00 Ჰოკეი. სტენლის თასი. ფინალი. V მატჩი. ოტავა-ანაᲰაიმი.
18:50 სპორტის ისტორია.
19:00 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
19:30 მძლეოსნობა. IAAF-ის გრან-პრი. Ჰოლონეთი (LIVE).
22:32 სპორტის სახეები.
23:00 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. ფიგუერენსე-ფლამენგო (LIVE).
00:55 ფეხბურთი. უკრაინის ჩემპიონატი. მეტალურგი (დ)-ვორსკლა.
02:40 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. პალმეირასი-ბოტაფოგო.
04:24 ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. სეზონის მიმოხილვა.
05:16 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი. სანტოსი (ბრაზილია)-გრემიო (ბრაზილია).

EUROSPORT

10:30 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. მიმოხილვა.
10:45 მულტისპორტი.
11:15 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩები.
11:45 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. კატალონიის გრან პრი. ბარსელონა (LIVE).
12:45 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. კატალონიის გრან პრი. 125 cc. ბარსელონა (LIVE).
14:00 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. კატალონიის გრან პრი. 250 cc. ბარსელონა (LIVE).
15:15 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. კატალონიის გრან პრი. მოტოგრან-პრი. ბარსელონა (LIVE).
17:00 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. ფინალი. მამაკაცები (LIVE).
20:30 ველოსპორტი. პრო-ტურის სერია. "კრიტერიუმ დოფინე ლიბერე". პროლოგი. საფრანგეთი (LIVE).
21:00 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური. მამაკაცები. ფინალი. ხორვატია.
21:30 ფეხბურთი. 21-წლამდელთა საერთაშორისო ფესტივალი. ფინალი. საფრანგეთი-ჩინეთი. ტულონი. საფრანგეთი.
22:30 მოტორსპორტი. საკვირაო ტელეჟურნალი.
23:00 პროფესიული კრივი. საშუალო წონა. რ. როსელია (საფრანგეთი)-გ. აეტოვიჩი (სერბეთი). საფრანგეთი.
01:00 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. ფინალი. მამაკაცები.
02:00 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური. ქალები. ფინალი. ხორვატია.
03:00 მოტორსპორტი. საკვირაო ტელეჟურნალი.

EUROSPORT-2

09:30 ახალი ამბები.
12:00 ფეხბურთი. 21-წლამდელთა საერთაშორისო ფესტივალი. მე-3 ადგილისთვის. კოტ დ'ივუარი-პორტუგალია. ტულონი. საფრანგეთი.
13:00 ფეხბურთი. 21-წლამდელთა საერთაშორისო ფესტივალი. ფინალი. საფრანგეთი-ჩინეთი. ტულონი. საფრანგეთი.
14:30 მულტისპორტი.
15:00 მოტოკროსი. მსოფლიო ჩემპიონატი. I რბოლა. საფრანგეთი (LIVE).
16:00 ბილიარდი. პული. ევროტური. გერმანია.
17:00 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური. ქალები. მე-3 ადგილისთვის. ხორვატია (LIVE).
18:00 მოტოკროსი. მსოფლიო ჩემპიონატი. II რბოლა. საფრანგეთი (LIVE).
19:00 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური. მამაკაცები. ფინალი. ხორვატია (LIVE).
20:00 ფრენბურთი. მსოფლიო ლიგა. საკონტინენტთაშორისო ეტაპი. ბრაზილია-ს. კორეა. ბრაზილია.
21:00 ავსტრალიური ფეხბურთი.
22:30 ახალი ამბები.
23:00 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. კატალონიის გრან პრი. ბარსელონა.
23:30 ავტოსპორტი. ჩემპკარის სერია. პორტლენდი. აშშ (LIVE).
02:00 ახალი ამბები.

ᲡᲮᲔᲚᲘ ᲮᲔᲠᲮᲘ

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

ᲤᲘᲜᲔᲗᲘ

ᲚᲐᲢᲕᲘᲐ-ᲗᲐᲡᲘ	6:0

ᲘᲢᲐᲚᲘᲐ

ᲕᲘᲩᲔᲜᲪᲐᲠᲘ-ᲑᲠᲔᲨᲘᲐᲜᲔᲚᲘ	1:1

ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘ

ᲔᲡ�პᲐᲜᲔᲗᲘ

ᲤᲚᲔᲘ ᲝᲤᲘ. 1/2 ᲤᲘᲜᲐᲚᲘ

ᲑᲐᲠᲡᲔᲚᲝᲜᲐ-ᲒᲐᲡᲒᲠᲘᲚᲘ	80:78

ᲘᲢᲐᲚᲘᲐ

ᲤᲚᲔᲘ ᲝᲤᲘ. 1/2 ᲤᲘᲜᲐᲚᲘ

ᲕᲘᲖᲠᲘᲚᲘ-ᲕᲘᲚᲐᲜᲘ	81:73

 პოკერი

ბექსტრიომი მინესოტაში დარჩა

"მინესოტა უაილდის" ფინელმა მეკარე - **ნიკლას ბექსტრიომმა** კლუბთან ახალ, მრავალწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. კლუბის ვებგვერდის ცნობით, გოლკიპერის ხელფასი წელიწადში 3 მილიონი დოლარი იქნება.

შეგახსენებთ, რომ ამ ცოტა ხნის წინათ, ბექსტრიომმა NHL-ის ერთბაშად ორი პრიზი მიიღო. თანაგუნდელ და თანამპალეელ **მენი ფერნანდესთან** ერთად, ფინელი სეზონში ყველაზე ნაკლები გაშვებული შაიბის გამო დაჯილდოვდა. გარდა ამისა, მან მიიღო Bank of America-ს მიერ დაწესებული პრიზი, რომელიც დარტყმების მოგერიების საუკეთესო მაჩვენებლის მქონე მეკარეს გადაეცემა - ბექსტრიომმა გასულ რეგულარულში შაიბების 92.9 პროცენტი მოიგერია.

სტარზმა ვეტერანი შეინარჩუნა

სააგენტო "როიტერის" ინფორმაციით, "დალას სტარზმა" ერთი წლით გაახანგრძლივა კონტრაქტი ვეტერან ფორვარდ **სტიუ ბარნსთან**. მომავალ წელს, 36 წლის ჰოკეისტი 900 ათას დოლარს მიიღებს.

გასულ რეგულარულში, ბარნსმა 82 შეხვედრა ჩაატარა და 25 ქულა (13 გოლი+12 შედეგიანი პასი) დააგროვა.

ტორონტომ კრონვალი გაიფორმა

"ტორონტო მეიპლზ ლიივზმა" ოფიციალურად დაადასტურა ინფორმაცია, შვედ მცველ **სტეფან კრონვალთან** კონტრაქტის გაფორმების შესახებ. მხარეებმა ორწლიანი ხელშეკრულება გააფორმეს, რომლის მიხედვითაც, პირველ სეზონში ჰოკეისტი 475 ათას დოლარს მიიღებს, 2008-09 წლების სეზონში კი, მისი ხელფასი ნახევარი მილიონი იქნება.

კრონვალმა წლევანდელი სეზონი ამერიკის ჰოკეის ლიგაში (AHL) გაატარა, სადაც "ტორონტო მარლისის" ღირსებას იცავდა. შვედმა 47 მატჩში 3 გოლი გაიტანა და 14 შედეგიანი გადაცემა გააკეთა. კრონვალი 2002 წელს, NHL-ის დრაფტის 285-ე ნომერი იყო.

ფინალურ სერიას ტელეაუდიტორია აკლდა

"ანაჰაიმ დაქსისა" და "ოტავა სენატორზის" ფინალური სერიის მატჩებს, საშუალოდ 2.5 მილიონი მაყურებელი ადევნებდა თვალს - გვამცნობს ჰოკეის ეროვნული ლიგის ვებგვერდი. ეს 18 პროცენტით ნაკლებია შარშანდელ ფინალში დაფიქსირებულ მაჩვენებელზე, როცა ერთმანეთს "კაროლინა ჰარიკეინზი" და "ედმონტონ ოილერზი" ხვდებოდნენ.

რაც შეეხება რეკორდს, ის 1994 წლის სტენლის თასის ფინალური სერიის მეშვიდე მატჩში დაფიქსირდა. მაშინ, "ვანკუვერ კენაქსისა" და "ნიუ იორკ რეინჯერსის" შეხვედრას თითქმის 5 მილიონმა ადამიანმა უყურა.

ჩოგბურთი

პუერტა ჩოგბურთში დაბრუნდა

"როლან გაროსის" ყოფილი ფინალისტი, არგენტინელი **მარიანო პუერტა,** ორწლიანი დისკვალიფიკაციის შემდეგ კორტს დაუბრუნდა. ერთ დროს, მსოფლიო კლასიფიკაციის ათეულის წევრი, დოპინგის გამოყენების გამო იყო დასჯილი.

დაბრუნების შემდეგ, პუერტას პირველი ტურნირი, იტალიის ქალაქ მოდენაში მიმდინარე "ჩელენჯერი" გახდა, სადაც არგენტინელმა პირველ წრეში ავსტრალიელი **ჯოზეფ სირიანი** დაამარცხა და მეორე ეტაპზე ესპანელ **მარკ ლოპესს** შეხვდება.

პუერტა დოპინგის მიღებაში ორი წლის წინათ, "როლან გაროს"ზე **რაფაელ ნადალთან** წაგებული ფინალის შემდეგ გამოიჭირეს. მის სხეულში აკრძალული პრეპარატი ეთილეფრინი აღმოაჩინეს. 2005 წლის 21 დეკემბერს, არგენტინელს 8-წლიანი დისკვალიფიკაცია მისცეს, რადგან მან მეორედ ჩააგდო დოპინგტესტი. მოგვიანებით, მარიანოს სასჯელის ვადა ორ წლამდე შეუმცირეს.

როდიკი ნერვებს ველარ თოკავს

ამერიკელმა ჩოგბურთელმა **ენდი როდიკმა** ბალახის სეზონისთვის მზადება Surbiton Challenger-ის ტურნირზე დაიწყო. ის აქ წყვილთა თანრიგში თანამემამულე **რობი ჯინეპრისთან** ერთად თამაშობდა. ამ დუეტმა პირველივე წრის მატჩი წააგო ავსტრალიურ წყვილთან **კრის გუჩიონესა** და **ნათან ჰილის** შემადგენლობით.

ენდი როდიკი ისე გაცხარდა ამ წაგებით, რომ არ გამოცხადდა აუცილებელ პრესკონფერენციაზე და პირადი ლიმუზინით სასწრაფოდ დატოვა სტადიონის ტერიტორია.

ამის გამო, მსოფლიოს მესამე ჩოგანს სოლიდური ფულადი ჯარიმის გადახდა მოუწევს.

მიურეის უიმბლდონის გამოგოვება ემუქრება

ბრიტანული ჩოგბურთის ახალგაზრდა ლიდერი **ენდი მიურეი** მომავალ კვირას, ლონდონურ ტურნირს - The Stella Artois Championships-ს გამოტოვებს. სწორედ ამ შეჯიბრით იხსნება ბალახის კორტების წლევანდელი სეზონი.

სააგენტო "როიტერის" ცნობით, მიურეი ვერ ასწრებს მაჯის ტრავმის მორჩენას, რომელიც მაისის შუაში - ჰამბურის "მასტერსის" დროს მიიღო. ამ მიზეზით, ბრიტანელს შესაძლოა უიმბლდონის გამოტოვებაც მოუწიოს, რომელიც 25 ივნისს დაიწყება.

"ექიმებმა კიდევ ორი კვირით დასვენება მირჩიეს. ტრავმირებული მაჯა ალარ მტკივა, მაგრამ თამაში ჯერ ადრეა. მსუბუქად ვვარჯიშობ, სატრენაჟორო დარბაზში ვემზადები და იმედი მაქვს, ეს ყველაფერი თავის შედეგს გამოიღებს", - ამბობს მსოფლიოს მე-11 ჩოგანი.

ოლიმპიზმი

ტოკიო პირველი კანდიდატი გახდა

2016 წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის პირველი ოფიციალური კანდიდატი იაპონიის დედაქალაქი ტოკიო გახდა. ამ ქვეყნის ოლიმპიურმა კომიტეტმა უკვე გაუგზავნა შესაბამისი წერილი სოკ-ის პრეზიდენტ **ჟაკ როგეს**, რაც იმას ნიშნავს, რომ ტოკიო ოლიმპიადის მასპინძლობისთვის კიდევ ერთხელ იბრძოლებს. შეგახსენებთ, რომ ეს ქვეყანა 1964 წელს იყო ზაფხულის თამაშების დედაქალაქი.

ცნობილია, რომ საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში განაცხადის შეტანას კიდევ 6 ქალაქი გეგმავს - ბაქო, მადრიდი, პრაღა, რომი, რიო დე ჟანეირო და ჩიკაგო. განაცხადების მიღების ბოლო ვადაა - ამა წლის 13 სექტემბერი. ოლიმპიური კომიტეტის სპეციალური დელეგაცია, 2008 წლის იანვრიდან ივნისამდე, პრეტენდენტ ქალაქებში შესამოწმებელ ტურნეს მოაწყობს.

საფრანგეთის ღია პირველობა

ისევე როგორც შარშან

ქალების ნახევარფინალებისგან განსხვავებით, გუშინ საფრანგეთის ღიას კაცთა ბადის ფავორიტებმა დაძაბულ პაექრობაში მოიპოვეს ფინალში თამაშის უფლება. მაშ ასე, ამჯერადაც, ტურნირის გამარჯვებულის ვინაობას მსოფლიოს ორი საუკეთესო ჩოგბურთელის, შვეიცარიელი **როჯერ ფედერერისა** და ტურნირის ორგზის ჩემპიონის, ესპანელი **რაფაელ ნადალის** დაპირისპირება გაარკვევს.

ნადალმაც და ფედერერმაც მოსაგებად სამ-სამი სეტი იმყოფინეს, თუმცა, ამათგან, ერთის გარდა, ყველამ დაძაბულ პაექრობაში ჩაიარა. ფედერერმა ორი სეტი ტაიბრეიკზე მოიგო. სამაგიეროდ, ნადალს მეორე სეტში დაკარგული უპირატესობის დასაბრუნებლად დიდი ბრძოლა გადახდა. საერთო ჯამში კი, ჩოგბურთის იმ მოყვარულებმა იხეირეს, რომლებმაც ორივე შეხვედრას თავიდან ბოლომდე უყურეს.

როლან გაროსის ცენტრალური კორტი პირველად მსოფლიოს პირველ ჩოგანსა და მის ოპონენტს, რუს **ნიკოლაი დავიდენკოს** დაეთმო. ფედერერს ძალიან გაუჭირდა. მაგრამ მტკიცე ნერვებისა და, რა თქმა უნდა, თავისი კლასის წყალობით, მოგებული მაინც ის დარჩა. თამაშის დასრულების შემდეგ კი თავმდაბლად განაცხადა, შეიძლებოდა სამ სეტში მე წამეგო, მაგრამ გამიმართლა და ეს კარგი მოთელვა იყო ფინალის წინო.

ამ სამ სეტში ფედერერმა 45 უნებლიე შეცდომა დაუშვა. სამაგიეროდ, 14 ბრეიკ პოინტი მიიღო. თუმცა თავისი სერვის-გეიმის წაგების საშიშროების წინაშე თავადაც რამდენჯერმე იდგა. მაგალითად, ასე იყო მესამე სეტის მინურულს, როცა შვეიცარიელმა სამი ბრეიკ პოინტი მოიგერია.

მოკლედ, ფედერერი დიდი სლემის ზედიზედ მერვე ტურნირის ფინალს ითამაშებს, რაც თავისთავად, უკვე სარეკორდო მაჩვენებელია. და თუ შარშანდელისგან განსხვავებით, ნადალის დამარცხებას შეძლებს, მაშინ გახდება სულ მეოთხე ჩოგბურთელი (პროფესიული ჩოგბურთის ერაში), ვინც დიდი სლემის ოთხივე ტურნირის გვირგვინს მოირგებს. აქამდე ასეთი მიღწევით მხოლოდ ამერიკელი **დონ ბაჯი** ასევე ამერიკელი **ანდრე აგასი** და ავსტრალიელი **როდ ლეივერი** ამაყობენ.

და კიდევ, შვეიცარიელისთვის ეს იქნება დიდი სლემის მე-11 ტიტული, რითაც გაუტოლდება იმავე ლეივერსა და შვედ **ბიორნ ბორგს**. ცნობისათვის, საფრანგეთის ღია პირველობის მოუგებლად დაასრულეს თავიანთი კარიერა ისეთმა დიდმა ჩოგბურთელებმა, როგორებიც არიან ამერიკელები - **პიტ სამპრასი, ჯიმი კონორსი** და **ჯონ მაკინროი**, ასევე გერმანელი **ბორის ბეკერი** და შვედი **სტეფან ედბერგი**.

"ისევ ფინალში ვარ, მიზნამდე ერთი მოგებაღა დამრჩა. მაგრამ ყველაზე ძნელი სწორედ ეს მატჩი იქნება. ვიმედოვნებ, რომ ამჯერად მაინც შევძლებ მიზნის მიღწევას", - განაცხადა ფედერერმა, ვინც ზედიზედ მერვე სლემ-ტურნირის ფინალს რომ მიაღწია, ამით ავსტრალიელი **ჯონ ჰერბერტ (ჯეკ) კრაუფორდის** სარეკორდო მაჩვენებელი გაუთანაბრა.

"ეს მიღწევა ჩემს სტაბილურობაზე მიუთითებს. ადრე მსგავსი თვისება არ მქონდა, ახლა კი ეს ჩემს მიღწევათა ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელია. ბედნიერი ვარ, რომ ყოველთვის ვახერხებ ფინალებში გასვლას და კარგი იქნება, თუ ამჯერად საფრანგეთიდან ტიტულით დავბრუნდები", - ამბობს ფედერერი, ვისაც დიდი სლემის ზედიზედ 27 მატჩი აქვს მოგებული. თუ ორსაც მოიგებს, ამით იმავე ლეივერის მიღწევას გაიმეორებს, რომელიც ოზმა ლეგენდამ 1969-70 წლებში დააფიქსირა.

არადა, მატჩის დასაწყისი შვეიცარიელისთვის ავის მომასწავებელი იყო - დავიდენკო 4:2 და 40:0 დაწინაურდა. აქედან ფედერერიც ათამაშდა და რუსისგან განსხვავებით, სწორედ სტაბილურად კარგი თამაშით, ჯერ სეტში ანგარიში გაათანაბრა, შემდეგ კი გადამწყვეტ ბრეიკსაც მიაღწია და ხელიც მოიგო. აღსანიშნავია, რომ პირველ სეტში დავიდენკომ 11-დან მხოლოდ ერთი ბრეიკ პოინტი გამოიყენა, როცა ფედერერის შესაბამისი მაჩვენებელი ორში ორი იყო.

ნამატჩევს რუსი ჩიოდა, მეორე სეტიდან დაღლა დამეტყო და მეტოქემ, პირველ რიგში, სწორედ ამით ისარგებლაო. ეს არცაა გასაკვირი - დიდი სლემის ნახევარფინალებში თამაშს ის ნაჩვევი არაა, რასაც ვერ ვიტყვით ფედერერზე, ვისაც მეხუთე სეტშიც (თუ საქმე აქამდე მიდის) კი არ ეტყობა ხოლმე ოფლი.

დაღლის მიუხედავად, მომდევნო ორი სეტის მიწურულს, დავიდენკო სეტის მოგებაზე აწოდებდა, მაგრამ ვერცერთი შანსი ვერ გამოიყენა. ორივე შემთხვევაში, ფედერერმა შეძლო ანგარიშის გათანაბრება და ტაიბრეიკზე გაუსწორდა კიდეც მეტოქეს, რომელსაც სულ მეცხრედ შეხვდა და ამდენჯერვე მოუგო.

სარეკორდო მიღწევისთვის ნადალიც იბრძვის. თუ ფინალს მოიგებს, ის ბორგის მიღწევას გაიმეორებს, ვინც საფრანგეთის ღია 1980 წელს ზედიზედ მესამედ მოიგო. უფრო მეტიც, ნადალს როლან გაროსის კორტებზე ჯერ ერთი თამაშიც არ წაუგია, რაც უნიკალური მიღწევაა.

"სახლი მალიორკაზე მაქვს, მაგრამ როლან გაროსის ცენტრალური კორტი ჩემთვის არანაკლებ შინაური ადგილია. მე ხომ აქ ჯერ არ წამიგია და თანაც, ზედიზედ მესამედ გავედი ფინალში. ეს არაჩვეულებრივი შედეგია, რომლითაც ყოველთვის ვიამაყებ", - განაცხადა ესპანელმა, ვისაც ძალიან გაუჭირდა სერბ **ნოვაკ ჯოკოვიჩთან** მეორე სეტის მოგება.

მას პრობლემები მაშინ შეექმნა, როცა პირველ სეტს 5:2 იგებდა და სეტზეც აწოდებდა. მას ორმაგი შეცდომა საკუთარი სერვის-გეიმის წაგებად დაუჯდა, თუმცა ერთი ბრეიკი კიდევ მარაგში ჰქონდა. უფრო მეტიც, სერბის სერვისზე ორი სეტ პოინტი გამოიმუშავა, თუმცა ჯოკოვიჩმა ორივე გაანეიტრალა, მომდევნო გეიმში კი ესპანელს კიდევ ერთხელ აგემა ალიყური - ზედიზედ მეორე ბრეიკი და ანგარიში გათანაბრდა (5:5). მაგრამ ნადალმა მომდევნო გეიმშივე გაუმართა ბრძოლა და ნინა შემთხვევისგან განსხვავებით, ამჯერად ბრეიკის შანსი ხელიდან აღარ გაუშვია.

მეორე სეტში ესპანელმა ბრეიკი მეშვიდე გეიმში მოიპოვა და ამჯერად უპირატესობა ხელიდან აღარ გაუშვია. რაც შეეხება მესამე სეტს, ის ესპანელის გამანადგურებელი თამაშით დაიწყო - მან პირველი ოთხი გეიმი მოიგო და ამით, პრაქტიკულად, გადაწყვიტა თამაშის ბედი.

"როცა ფინალში მსოფლიოს ორი საუკეთესო ჩოგბურთელი ხვდება, ეს ყოველთვის დიდი მოვლენაა. როჯერი ყველა დროის საუკეთესო მეჩოგნეა და მაქსიმალურად გარჯა მომიწევს მის დასამარცხებლად. ეს ერთადერთი გზაა, თუ მისი დამარცხება გსურთ", - ამბობს ნადალი.

მერაბ ლორთქიფანიძე

ქალები

ნახევარფინალი

როჯერ ფედერერი (შვეი, 1)-ნიკოლაი დავიდენკო (რუს, 4) 7:5, 7:6(5), 7:6(7)

რაფაელ ნადალი (ესპ, 2)-ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბ, 6) 7:5, 6:4, 6:2



რაფაელ ნადალი ფინალში გავიდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა ველაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თევალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაბაძე
ლევან ჯანელიძეშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიგილაშვილი
გოგა ახალაძე
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუგინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა ველაშვილი

კორექტორა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიგილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე
(დირექტორის მოადგილე),
გივი ვეფხაიძე,
ძეთევან დიდგორიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ.: 46 34 48)
გაძარ გაჩეჩილაძე (ტ.: 899 91 87 17)
შალვა ეგანოიძე

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ გასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: **შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია**

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართები
მ. კოსტავას 14,
0108 თბილისი
ტელეფონი: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 98 23 94, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ახმეტელის 10ª,
0159 თბილისი
(დილომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ფაქსი: +995. 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge; gazeti_lelo@mail.ru
ინდექსი 66435 INDEX

გამოლის ყოველდღე, გარდა კვირისა